ივლისი 30-31 1996 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 130-131 (424-425)

ფასი 40 თეთრი




## მძიმე ბრალდებები



გუშინ საქართველოს უმაღლეს სასამართლოში აფხაზი ბოევიკის დიმიტრი ...შბას სასამართლო პროცესი დაიწყო. ...ნსასჯელს წაყენებული აქვს შემდეგი ბრალდებები: სამშობლოს ღალატი, შეიარაღებულ ბანდიტურ ფორმირებებში მონაწილეობა და ბანდიტიზმი, რის გამოც მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ან სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა ელის.

მთავარმა მოსამართლემ ვახტანგ თოდუამ აღნიშნა, რომ სასამართლო განხილვა ორ ენაზე — ქართულსა და აფხაზურზე წარიმართება, რაც საქართველოს კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

BS-PRESS

## ინციდენტი ტყვარჩელში

ქალაქ ტყვარჩელის მილიციის სამძებრო განყოფილების უფროსის ...ასლან ჯელიას და მისი ძმის მიერ ყუმბარმტყორცნიდან გასროლით ...აფეთქებულ იქნა სატრანსპორტო საშუალება, რომელშიც იმყოფებოდნენ მათი კუთვნილი ავტომანქანის გატაცებაში ეჭვმიტანილი ბესიკ ...ქვაბია და ამ უკანასკნელის მეგობარი სლავა გორჟოლია. ჯელიამ ავტომატური იარაღით დაცხრილა ეს უკანასკნელნი, რის შედეგადაც ...ნი ადგილზე გარდაიცვალნენ.

შურისძიების მიზნით, მოკლულთა ნათესავებმა გადაწვეს ჯელიების მიერ დაკავებული ქართველის სახლი, დაარბიეს მილიციის ...ობა და გადაწვეს ტყვარჩელის მილიციის უფროსის ოთარ კარხალავას კუთვნილი სახლი.

ამჟამად, ჯელიები იმალებიან, ხოლო ოთარ კარხალავა გათავისუფლებულია თანამდებობიდან.

იბერია

## ...თარებას ადგილზე გაეცნობიან

დღეს ლტოლვილთა საყოფაცხოვრებო პირობების ადგილზე ...გაცნობად ზუგდიდს გაემგზავრებიან გაეროს უმაღლესი კომისარი..., გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს ბავშვთა დაცვის ...ფონდის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, წითელი ...ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციის, ...საერთაშორისო მაშველთა კომიტეტის და საქართველოში აკრედიტე...ბული სხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მათთან ერთად ზუგდიდს ესტუმრებიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია და აფხაზეთის ...პარლამენტის დეპუტაციის წარმომადგენლები.

## „...მშვიდობო მოლაპარაკებების ყველა ...საშუალება ამოწურულია“

დღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ...დელეგაცია თამაზ ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით მოსკოვს ...გაემგზავრება. ვიზიტის მიზანია რუსეთის ოფიციალურ სტრუქტურა... ხელმძღვანელებთან შეხვედრა.

დელეგაცია შეხვდება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ...პრიმაკოვს, თავდაცვის მინისტრს ი.როდიონოვს, რუსეთის ფედერაციის ...საბჭოს თავმჯდომარეს ი.სტროევს, რუსეთის სათათბიროს ...თავმჯდომარეს გ.სელეზნიოვს, კაზაკთა ატამანს, ასევე პრეზიდენტის ...აპარატის პასუხისმგებელ პირებს. პრინციპულად დაისმება გალის ...რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი.

თამაზ ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის იმ შემთხვევაშია ...მისაღები სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში ყოფნა, თუ ...ისინი გადავლენ მდინარე ღალიძგაზე და გალის რაიონში შევლენ ...ლტოლვილები. მისივე თქმით, იგი არ მიიღებს მოსკოვში მიმდინარე ...ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების ოთხმხრივ მოლაპარაკებებში მონაწილეობას, რადგან „სამშვიდობო მოლაპარაკების ...ყველა საშუალება ამოწურულია. კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი გზა ...ძალისმიერი მეთოდია — საქართველოს კი დღეს შესწევს ...ამის უნარი“.

იფრინდა

## ...სამართლისთვის

„...ქართველიშვილის ბედი ასეთია: კაცი, რომელმაც ...ბევრი იცის, მას ვერ გაუგებს.“

რეზო კვესელავას და რეზო ესაძის

...ღიაკური წერილი იხილეთ მე—10 გვერდზე

# ტოქსიკომანია, პროსტიტუცია, განზრახ მკვლელობა, ქურდობა — ასეთია მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულების არასრული სია

- შარშან თბილისში არასრულწლოვანებმა 88 დანაშაული ჩაიდინეს, წელს კი – 150.
- სულ უფრო ვრცელდება ყველაზე იაფფასიანი "კაიფი" – ტოქსიკომანია.
- გამოვლენილია 50 არასრულწლოვანი მეძავი, რომელთაც ვენერიულ დაავადებებზე დასჭირდათ მკურნალობა.
- საგამოძიებო იზოლატორში მოზარდები უფროს დამნაშავეებთან ერთად იმყოფებიან, რაც ყოვლად დაუშვებელია.

დაწვრილებით იხილეთ მეხუთე გვერდზე

რა აქვს ნუგზარ პოლოდინაშვილს ჟურნალისტებისთვის ისეთი სათქმელი, რასაც უმკაცრესი სასჯელის შიშითაც კი არ ამბობს სასამართლოზე?

იხილეთ მე—9 გვერდზე

## გადამცემის გადაცემა, ანუ «ფრიდონ ინჯია დასაპატიმრებელი იყო»



გუშინ დიდუბის რაიონის სასამართლოში გამართულ კიტოვანი-სურგულაძე — ფეხიაშვილის პროცესზე კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია დაზარალებულის როლში წარდგა.

დაწვრილებით მე—3 გვერდზე

## დავისხათ თავზე ლაფი და ზედ ნაცარი წავიყაროთ?!




ამ თემაზე მასალა იხილეთ VII და VIII გვერდებზე

## მიღწეულია წინასწარი შეთანხმება

მიღწეულია წინასწარი შეთანხმება რუსეთისა და თურქეთის ხელმძღვანელობასთან საქართველოს ტერიტორიის გავლით რუსეთ-თურქეთის გაზსადენის მშენებლობის თაობაზე. აღნიშნულის მეშვეობით, ყოველწლიურად რუსეთიდან თურქეთში გადაიტვირთება რამდენიმე მილიარდი კუბ.მ. ბუნებრივი აირი და საქართველო ტრანზიტის საფასურს ამ ძვირფასი ნედლეულის სახით მიიღებს. ეს კი ხელს შეუწყობს ქვეყანაში ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტას.

იბერია

## „ქურდები“ ბრუნდებიან

საქართველოში კრიმინალური ელემენტების მოზღვავება გამოწვეულია იმ ფართომასშტაბიანი ოპერაციებით, რომლებიც რუსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა დაიწყეს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ გააკეთეს ერთობლივი განცხადება. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ მიიღებენ ყველა ზომას რესპუბლიკაში სტაბილიზაციის შესანარჩუნებლად. ამასთან, შსს პრესცენტრი აღნიშნავს, რომ გრძელდება რუსეთ-საქართველოს სამართალდამცავი უწყებების აქტიური თანამშრომლობა, რაზეც რუსეთის პოლიციის მიერ საქართველოდან გაქცეული დამნაშავეების დაკავების ფაქტებიც მეტყველებს.

BS-PRESS

# „ისინი კი დღემდე დუმან“

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-პოლკოვნიკმა იგორ როდიონოვმა ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია HTB-ს. გთავაზობთ ფრაგმენტს, რომელშიც როდიონოვი 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს იხსენებს.

— რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრისას შეეხეთ თუ არა თქვენი ბიოგრაფიის ამ ეპიზოდს?

— ჩემი დანიშვნისას პრეზიდენტი შეეხო ამ საკითხს იმ ასპექტით, ავნებდა თუ არა ეს საქართველოსთან ურთიერთობას.

— და რა უთხარით თქვენ?

— მე ვთქვი — „არავითარ შემთხვევაში“.

— მართალია თუ არა, რომ მაშინ, 1989 წელს, თქვენ არ ისურვეთ თქმა, თუ რა მოხდა? არ ისურვეთ პოლიტიკური მიზანშეწონილობის, გორბაჩოვისთვის ზიანის არმიყენების გამო, არ დაასახელეთ გვარი, ვინც ჯარის გამოყენების ბრძანება გასცა?

— 8 აპრილამდე მე ძალის გამოყენების წინააღმდეგი ვიყავი. ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა შეიარაღებული ძალების მონაწილეობის გარეშე. მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დაჟინებით ითხოვდა. მე მომიხდა თავდაცვის მინისტრ იაზოვთან მოსკოვში დარეკვა. ვცდილობდი დამერწმუნებინა იგი, რომ მოახლოებული ტრაგედიის თავიდან აცილება მშვიდობიანი გზებით ჯერ კიდევ შეიძლებოდა. სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა. არ ვიცი, რა ხდებოდა იმ დროს მოსკოვში, მაგრამ 8 აპრილს თავდაცვის მინისტრმა ტელეფონით მითხრა, რომ ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება მოედანზე მიტინგის შევიწროების, ლიკვიდირების, დილისთვის ობიექტების დაცვის ქვეშ აყვანის და თბილისში ვითარების აღდგენის შესახებ. ეს იყო ბრძანება. მე დარწმუნებული ვარ, რომ თავდაცვის მინისტრს ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად არ მიუღია. სისტემამ უბრძანა თავდაცვის მინისტრს, თავდაცვის მინისტრმა — მე. ვიმედოვნებდი, რომ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ვინმე პოლიტიკური ხელმძღვანელობიდან და პრეზიდენტი გამოვიდოდნენ, მისცემდნენ მომხდარს პოლიტიკურ შეფასებას, ახსნიდნენ არმიის ქმედების უფლებამოსილებას. მაგრამ ყველა გაჩუმდა და არმია საჯიჯგნად მისცეს. უნდა ითქვას, თუ ვინ მიიღო გადაწყვეტილება, ისინი კი დღემდე დუმან.

BGI

რუსეთი

# საპროტესტო აქცია ფართოვდება



რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, ზღვისპირეთის მხარეში მესამე კვირაა გრძელდება მეშახტეების გაფიცვა: გუშინ მათ კიდევ რამდენიმე ასეული მეშახტე შეუერთდა და ამჟამად, საერთო ჯამში, მხარეში უკვე ქვანახშირის მომპოვებელ საწარმოთა 30 პროცენტია გაჩერებული. თავად გაფიცვის ორგანიზატორები კატეგორიული წინააღმდეგნი არიან, რომ აქციას გაფიცვა ეწოდოს. მათი აზრით, ეს შიმშილით დასუსტებულ მეშახტეთა მიერ მუშაობაზე სტიქიურად უარის თქმაა. მათ ხომ თითქმის 6 თვეა თავისი შრომის გასამრჯელო არ მიუღიათ. ხელფასების საერთო დავალიანება კი, მარტო ზღვისპირეთში, 120 მილიარდ რუბლს აღემატება.

მეშახტეთა პროფკავშირების ტერიტორიული სამმართველო აპირებს, ამ აქციას უფრო ორგანიზებული ხასიათი მისცეს და მისი მასშტაბი გაზარდოს. იტარ-ტასის ცნობით, აქციის თითოეულმა მონაწილემ უკვე დაწერა განცხადება შიმშილობის ნებაყოფლობით დაწყების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ რაიმე რეაგირება ამ ფაქტებთან დაკავშირებით არც მოსკოვს და არც მხარის ადმინისტრაციას არ მოუხდენია.

# სავალუტო ფონდი დარწმუნებულია, რომ რეფორმები საქართველოში წარმატებით დასრულდება

- დეპუტატმა ბესო ჯუღელმა შადმან ვალავის ბოდიში მოუხადა ქართველ მეწარმეებთან შეხვედრის დროს მომხდარი ინციდენტის გამო.
- აქციზური განაკვეთების საკითხი, შესაძლებელია, 1997 წლის ბიუჯეტის შემუშავებისას განიხილონ. ამ ეტაპზე შეღავათების გაწევა დაუშვებელია.
- „ეს მეწარმეები კომუნისტური პერიოდის მსხვილ საწარმოთა დირექტორები არიან, რომელთაც ვერ შესძლეს ახალ გარემოსთან ადაპტირება“, — ამბობს თემურ ბასილია.
- ხშირად ვალუტის ერთი გადამცვლელი პუნქტი უფრო ეფექტურად მუშაობს, ვიდრე ერთი მსხვილი საწარმო.

საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე სტენლი ფიშერი და მეორე ევროპული დეპარტამენტის სამხრეთის განყოფილების ხელმძღვანელი შადმან ვალავი. სტუმრები მიიღეს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თემურ ბასილიამ, სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა. მოეწყო შეხვედრა ქართველ მეწარმეებთან.

ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრისას ისაუბრეს ენერგეტიკის სფეროში რეფორმის განხორციელების აუცილებლობაზე. აღინიშნა, რომ რეფორმა უკვე დაწყებულია, მაგრამ, ამასთანავე, აუცილებელია თანამედროვე საბანკო სისტემის არსებობა და წესრიგი საგადასახადო სფეროში. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, მოწესრიგებულმა საგადასახადო სისტემამ უნდა განაპირობოს ცივილიზებული საზოგადოების შექმნა.

+ + +

თემურ ბასილიასთან შეხვედრისას ყურადღება გაამახვილეს გასული წლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე — ფულის რეფორმაზე და პრივატიზების პროცესებზე. რაც შეეხება საბანკო სფეროს, ფაქტობრივად, პრივატიზებულია ყოფილი სახელმწიფო ბანკები. ეროვნული ბანკი ერთადერთი სახელმწიფო ბანკია ქვეყანაში. შეხვედრაზე აღინიშნა ისიც, რომ საქართველოში ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა სამართლებრივი თვალსაზრისითაც. მიღებულია მიწაზე კერძო საკუთრების კანონი. როგორც ბატონმა ბასილიამ განაცხადა, სადღეისოდ ძირითად ამოცანას სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება წარმოადგენს. იგულისხმება მსხვილი საწარმოების რეორგანიზაციის და რესტრუქტურიზაციის პროცესი.

+ + +

სტენლი ფიშერის და შადმან ვალავის შეხვედრა ქართველ მეწარმეებთან, წინა შეხვედრისგან განსხვავებით, საკმაოდ თბილ ვითარებაში წარიმართა. ქართველ მეწარმეთა სახელით, მრეწველთა კავშირის პრეზიდენტმა, პარლამენტის წევრმა ბესო ჯუღელმა ბატონ ვალავის ბოდიში მოუხადა მისი საქართველოში ბოლო ვიზიტის დროს მომხდარი ინციდენტის გამო.

მეწარმეებთან საუბრისას სტენლი ფიშერმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელია, გაგრძელდეს სტრუქტურული რეფორმები და იქვე დასძინა, რომ ეკონომიკური ზრდა თითოეული მეწარმის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო აქციზურ განაკვეთს, ექსპორტ-იმპორტის პრობლემებს. ითქვა, რომ აუცილებელია ექსპორტის გაზრდა და ადგილობრივი წარმოებისა და შიდა ბაზრის დაცვა. დღევანდელი მონაცემებით, იმპორტი ექსპორტს ორჯერ აღემატება. ამიტომ ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია სპეციალური პროგრამის შემუშავება. რაც შეეხება აქციზური განაკვეთის შემცირებას, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელთა აზრით, ამ ეტაპზე რაიმე შეღავათების გაწევა დაუშვებელია. ამ საკითხის განხილვა მხოლოდ 1997 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას გახდება შესაძლებელი.

ბატონი ფიშერის კითხვას — როგორი წარმოგიდგენიათ საქართველო 5-10 წლის შემდეგ, ქართველმა მეწარმეებმა ერთსულოვანი პასუხი გასცეს: ჩვენ ოპტიმისტები ვართ და გვჯერა, რომ საქართველო აუცილებლად აყვავდება. რა თქმა უნდა, აქ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წვლილიც იქნება.

+ + +

შაბათს, 27 ივლისს სტენლი ფიშერმა და შადმან ვალავიმ პრესკონფერენცია გამართეს. ჟურნალისტებთან შეხვედრაში მთავრობის წევრებიც მონაწილეობდნენ.

პრესკონფერენციაზე სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველმა მოადგილემ განაცხადა: „საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შეფასებისას დავრწმუნდი, რომ რეფორმები კვლავ გაგრძელდება და აუცილებლად წარმატებითაც დასრულდება“. როგორც სტენლი ფიშერმა აღნიშნა, საქართველოში იგი ორი მიზეზის გამო ჩამოვიდა. პირველი — გაცნობოდა რეფორმების მიმდინარეობას და მეორე — მას, როგორც ეკონომისტს, აინტერესებდა ჰიპერინფლაციის ისტორია. საქართველოში კი ეს მოვლენა დაფიქსირდა და ქვეყანამ მისგან თავის დაღწევა მოკლე დროში შეძლო.

რაც შეეხება რეფორმებს: სავალუტო ფონდი ყოველმხრივ უჭერს მხარს ეკონომიკური რეფორმების მაღალ დონეზე გატარებას. ფიშერის თქმით, პრივატიზაცია, ენერგოსისტემის რეფორმა, ვაჭრობის ლიბერალიზაცია წინგადადგმული ნაბიჯებია. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბიუჯეტში შემოსავლების გაზრდას. მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის — ლარის სტაბილიზაციის მიღწევა, რასაც სტენლი ფიშერი მთავრობის ეკონომიკური ჯგუფის დიდ დამსახურებად მიიჩნევს. ბატონმა ფიშერმა განაცხადა: როცა საწარმოები მძიმე სიტუაციაში ვარდებიან, ისინი მთავრობისგან შეღავათებს ითხოვენ. თუკი საწარმო სიცოცხლისუუნაროა, ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი ყოველგვარი ინდივიდუალური დათმობების წინააღმდეგია, ვინაიდან, კონკურენციის პირობებში იგი მაინც დაიღუპება.

საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებით, საკუთარი მოსაზრება გამოთქვა თემურ ბასილიამაც:

„ასეთ შეხვედრებზე ახალი კომპანიების, საწარმოების ხელმძღვანელები არასდროს ჩნდებიან. შეღავათებს მხოლოდ მსხვილი საწარმოები ითხოვენ“. მან მეწარმეები ორ კატეგორიად დაყო: პირველი — მეწარმეები, რომლებიც არანაირ შეღავათებს არ ითხოვენ და შესანიშნავად მუშაობენ. ისინი წარმოების სრული დატვირთვის ამოქმედებისთვის მხოლოდ სტაბილიზაციას და მყარ საგადასახადო კანონმდებლობას ითხოვენ და მეორე — კომუნისტური პერიოდის მსხვილ საწარმოთა დირექტორები, რომლებმაც ალღო ვერ აუღეს საბაზრო ეკონომიკას და ვერ შეძლეს ახალ გარემოსთან ადაპტირება. ბასილიას თქმით, ხშირად ვალუტის ერთი გადამცვლელი პუნქტი უფრო ეფექტურად მუშაობს, ვიდრე ერთი მსხვილი საწარმო. დღეს მიმდინარეობს ბრძოლა არსებობისთვის და გაიმარჯვებს ის, ვისაც მეტი პროფესიონალიზმი ახასიათებს.

შეკითხვაზე — თუკი მთავრობის ეკონომიკური ჯგუფის წევრები ჩაუდგებიან საწარმოებს სათავეში, გამოსწორდება თუ არა ამით სიტუაცია, — სტენლი ფიშერმა უპასუხა: „ჩემი პასუხი დადებითია, — განაცხადა მან, — მაგრამ უმჯობესი იქნება, ისინი მთავრობაში დარჩნენ. აქ უფრო საჭირონი არიან. მეწარმეები საქართველოს მრავლად ჰყავს და ამ მხრივ გაჭირვება არ შეიმჩნევა“.

საბოლოო ჯამში ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპის შედეგები დადებითად შეფასდა, თუმცა, ყველაზე მძიმე — სტრუქტურული რეფორმები ჯერ კიდევ წინაა.

შადმან ვალავის ვიზიტი კიდევ ორ კვირას გასტანს. ამ ხნის განმავლობაში გადაწყდება საქართველოსთვის ესაფის პროგრამით გათვალისწინებული კრედიტის მეორე ტრანშის გამოყოფის საკითხიც.

მასმედიასთან შეხვედრის დასასრულს თემურ ბასილიამ ჟურნალისტებს გააცნო საინფორმაციო ეკონომიკური ცენტრის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები. გამოკითხულთა 21 პროცენტი დადებითად აფასებს საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოღვაწეობას, 15 პროცენტი — უარყოფითად, 64 პროცენტს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოღვაწეობაზე.

სოციოლოგიური კვლევის შედეგებთან დაკავშირებით, სახელმწიფო მოხელეთაგან ხშირად არცთუ ქებით განებივრებულ თავისუფალ პრესაზე თემურ ბასილიამ განაცხადა: „თავისუფალმა პრესამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა წარმატებით განხორციელებულიყო ეკონომიკური რეფორმები, რასაც ვერ ვიტყვით სახელმწიფოს საინფორმაციო საშუალებებზე — ტელევიზიასა და პრესაზე“.

დიანა ბაბროშვილი

# ხელოვნება ყველას ეკუთვნის...

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი პრიმაკოვს დაგეგმილი აქვს პარიზში თავის გერმანელ კოლეგასთან კლაუს კინკელთან შეხვედრა, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომის დროს გადაადგილებული კულტურული ფასეულობების დაბრუნების თემასაც განიხილავენ.

მიმომხილველთა აზრით, ეს პრობლემა, დღეისთვის, მოსკოვისა და ბონის ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხია. დასაბრუნებელ ფასეულობათა ჩამონათვალი, რუსეთის მხრიდან, 10 ათასს აღწევს, გერმანელებისგან — 40 ათასს. ესაა, ძირითადად, ცნობილ მხატვართა ნამუშევრების ორიგინალები, ოქროს ნაკეთობები, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ანტიკური ეპოქის ქანდაკებები...

რუსეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, დღეს ერთიანი და დემოკრატიული გერმანია არ თვლის თავს ვალდებულად, პასუხი აგოს 50 წლის წინანდელ მოვლენებზე და რუსეთისთვის გამოყოფილი კრედიტის საფასურად ისტორიული მემკვიდრეობის დაბრუნებას მოითხოვს. რუსები არც იმას ივიწყებენ, რომ ორმოცდაათიანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ნებაყოფლობით გადასცა 300-ზე მეტი შედევრი. ხოლო გერმანელებმა, ომის დროს, 400-მდე საბჭოთა მუზეუმი და დაახლოებით 300 განძთსაცავი გაძარცვეს. რუსები თავიანთ სასარგებლო არგუმენტად იმასაც ასახელებენ, იმასაც, რომ ომის დროს გატანილი ბევრი რუსული რელიქვია გერმანიის, შეერთებული შტატების, იაპონიის კერძო კოლექციებში მოხვდა და მათი დაბრუნება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

გამოიღებს თუ არა რაიმე შედეგს კინკელისა და პრიმაკოვის საუბარი, მალე გაირკვევა. ისე კი, ზოგიერთი მიმომხილველი ირონიულად შენიშნავს, რომ მსოფლიოს ორი ცივილიზებული სახელმწიფო დავობს საგნებზე, რომლებზეც „საკუთრების ფორმა“ ძველთაგანვეა განსაზღვრული: ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუში უკვდავია და იგი ყველას ეკუთვნის...

ქეთი ფოფხაძე

# ლებედზე დიდი „მოთხოვნაა“

გუშინ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი შეხვდა უშიშროების საბჭოს მდივანს ალექსანდრე ლებედს. მათ განიხილეს ქვეყნის შეიარაღებული ძალების ფინანსური მდგომარეობა; პრეზიდენტმა დაავალა ლებედს, რომ ეს საკითხი უშიშროების საბჭოს მორიგ სხდომაზე დასვას. ელცინმა დაამტკიცა საბჭოს აპარატის დებულება და დაეთანხმა ლებედის წინადადებას, მის მოადგილედ ნიკოლოზ მიხაილოვის დანიშვნის შესახებ, რომელიც მანამდე ერთ-ერთი სახელმწიფოთაშორისო სააქციო კორპორაციის პრეზიდენტად მუშაობდა.

გუშინვე ლებედს საქმიანი შეხვედრა ჰქონდა პრემიერმინისტრ ვიქტორ ჩერნომირდინთან. მათ იმსჯელეს ტერორიზმთან ბრძოლასა და ჩეჩნეთში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

## „თუ სადმე იჩაგრება მშრომელი, ერთი „სამაგალითო“ ჩვენი ქვეყანაა“ — ამბობენ საქართველოს პროფკავშირების წარმომადგენლები

გუშინ თბილისში დაიწყო და სამ დღეს გასტანს ევროგაერთიანების ფონდის — ტასისის დემოკრატია — და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ერთობლივი სემინარი თემაზე — „პროფკავშირების სტრატეგია დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის“.

საქართველოში ხორციელდება ტასისის პროგრამა (150 000 დოლარით), რომელიც გულისხმობს ჩვენი ქვეყნის პროფკავშირებისთვის ცივილიზებული სახის მიცემას. პროექტის მიზანია საქართველოს პროფკავშირების დახმარება შიდა გარდაქმნების ჩასატარებლად და მშრომელთა ცნობიერებაში იმ აზრის დასამკვიდრებლად, რომ ქვეყანაში ძლიერი პროფკავშირების არსებობა დემოკრატიული საზოგადოების აშენების აუცილებელი პირობაა.

სემინარზე უცხოელი ექსპერტები წაიკითხავენ მოხსენებებს, შემდეგ კი დისკუსიებს და ტრენინგებს გამართავენ პროფკავშირების ადგილობრივ მუშაკებთან.

„კავკასიონი“

## ამ ქალაქში ყველაფერი დასწრებაზეა

„კავკასიონის“ წინა ნომერში დაბეჭდილ მკითხველის წერილზე, სადაც აღნიშნული იყო, რომ ჰუმანიტარული გზით შემოსული მედიკამენტები ადრესატამდე არ აღწევს და მავანნი წამლებით უკანონო ვაჭრობის ბიზნესში არიან ჩართულნიო, პასუხად ჯანდაცვის სამინისტრო პრესცენტრის საშუალებით განმარტავს, რომ შემუშავებული ანტიდიაბეტური პროგრამა იმის გამო, რომ ძალიან დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული, ეტაპობრივად ხორციელდება. ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, ამჟამად რესპუბლიკაში შაქრიანი დიაბეტით 72028 ადამიანია დაავადებული. მათგან 26300 ადამიანი ინსულინით მკურნალობას საჭიროებს. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ამ ადამიანების ინსულინით მომარაგება და ზაფხულის პერიოდში 15000 ინსულინის ფლაკონის შემოიტანა, რომლის მიღება მოსახლეობას შესაბამის პოლიკლინიკებში შეეძლო, მაგრამ, იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული წამალი საჭირო რაოდენობის მხოლოდ ნახევარი იყო, იგი ხელმისაწვდომი გახდა იმათთვის, ვინც სხვაზე ადრე მიაკითხა პოლიკლინიკებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მედიკამენტები შემოდის როგორც სახელმწიფოს ხაზით, ისე კომერციული გზითაც: კომერციულ აფთიაქებში გასაყიდად გამოტანილი მედიკამენტები კომერციული გზებით შემოტანილია და არავითარ კანონდარღვევას ადგილი არ აქვს — აღნიშნავს ჯანდაცვის სამინისტროს პრესცენტრი.

ბესიკ კურტანიძე

## ტურიზმს კარგი პერსპექტივა აქვს

საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ კ.სალიამ მიიღო გერმანიის ერთ-ერთი უმსხვილესი ტურისტული ჰოლდინგური კომპანიის „ტურისტიკ უნიონ ინტერნაციონალის“ (ტუი) წინადადება, 1997 წლიდან საქართველოში სასწავლო და შემეცნებითი მოგზაურობების მოწყობის შესახებ. აღნიშნული ღონისძიება შედეგია იმ მოლაპარაკებისა, რომელსაც ტურიზმის დეპარტამენტი აწარმოებდა ამ კომპანიასთან 1995 წლიდან. ტუი-ს ექსპერტები პირველად საქართველოს 1995 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ესტუმრნენ და შეხვედრები ჰქონდათ საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძესთან.

1997 წელს გათვალისწინებულია გერმანიის პრესის, რადიოს, ტელევიზიის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კორესპონდენტების მოგზაურობა საქართველოში გერმანიის მოსახლეობისთვის მათი შთაბეჭდილებების გაცნობისა და ჩვენი ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით.

# ტოქსიკომანია, პროსტიტუცია, განზრახ მკვლელობა, ქურდობა — ასეთია მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულების არასრული სია

მიმდინარე წლის ექვს თვეში ორას ოცდათექვსმეტმა არასრულწლოვანმა ჩაიდინა 344 დანაშაული, რაც გასული წლის ექვს თვეზე 59 ერთეულით, ანუ 20,7 პროცენტით მეტია. რაც შეეხება დანაშაულის ჩამდენთ, მათმა რიცხვმა 61 ერთეულით, ანუ 21,5 პროცენტით იკლო.

ასეთი სტატისტიკა მოგვაწოდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარ სამმართველოში. ჩადენილი დანაშაულისა და დამნაშავეთა სტატისტიკაში მომხდარი ცვლილება მიგვანიშნებს, რომ გაიზარდა არასრულწლოვანთა შორის ჩამოყალიბებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი.

მოზარდთა მიერ ჩადენილმა დანაშაულმა მკვეთრად იმატა წინა წლებში. ამის მიზეზი, სოციალური სიდუხჭირისა და მძიმე კრიმინოგენული ფონის გარდა, შესაბამისი სამსახურების უმოქმედობაც იყო. შს არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციაში 345 თანამშრომელი ირიცხება, რომლებიც, ძირითადად, სხვა საქმეებით იყვნენ დაკავებული.

წელს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილმა დანაშაულმა განსაკუთრებით თბილისში იმატა. შარშან თბილისში მოზარდებმა 88 დანაშაული ჩაიდინეს, წელს — 150. ყველაზე მეტად იმატა ქონებრივმა დანაშაულმა — პირადი და სახელმწიფო ქონების ქურდობამ, ავტომანქანების გატაცებამ, თაღლითობამ. გაიზარდა ხულიგნობისა და გაუპატიურების მცდელობათა რიცხვი. იყო განზრახ მკვლელობის ორი შემთხვევა. იკლო სახელმწიფო და პირადი ქონების ძარცვის, აგრეთვე, ყაჩაღობის შემთხვევებმა.

გამოვლენილია ოთხი ტოქსიკომანი — სამი ბიჭი და ერთი გოგონა. ტოქსიკომანიის ფართო გავრცელება დაიწყო რუსეთში ანტიალკოჰოლური კამპანიის დროს, ბოლო წლებში კი საქართველოშიც საკმაოდ გავრცელდა. ტოქსიკომანობა ეთერის შემცველი ნივთიერებების შესუნთქვით „კაიფის“ მიღებას ნიშნავს, რაც თავისი სიიაფის გამო ფართოდ გავრცელდა.

პოლიციის არასრულწლოვანთა და სტუდენტ ახალგაზრდებს შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლმა სამმართველომ დაიწყო ბავშვთა პროსტიტუციის პრობლემის შესწავლა. თბილისის ფარგლებში აღრიცხულია ორმოცდაათამდე არასრულწლოვანი მეძავი, რომლებსაც ვენერიულ დაავადებებზე მკურნალობა დასჭირდათ. როგორც სამმართველოში გვაცნობეს, სუტენიორებთან მათი გამოვლენა საკმაოდ ძნელია. თვით ეს უკანასკნელნიც ერიდებიან ბავშვების აყვანას, რადგან კანონის ეშინიათ: არასრულწლოვანებთან საქმის დაჭერას, შეიძლება, ბევრი გართულება მოჰყვეს, მაშინ, როცა ისედაც მშვენივრად აკეთებენ ფულს ზედმეტი რისკის გარეშე.

რა ხდება მდგომარეობის გამოსწორების მიზნით

არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლის მიზნით შეიქმნა სპეციალური პროგრამა, რომელიც, ძირითადად, ადგილობრივი ბიუჯეტებიდან უნდა დაფინანსდეს. არის საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ევროკავშირის დახმარების იმედიც.

პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით ჩატარდა არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორების ატესტაცია, გათვალისწინებულია მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების აღდგენა. შედგა ყველა დაინტერესებული უწყების ერთობლივი შეკრება. განისაზღვრა მუშაობის ძირითადი მიმართულებები — სპეციალური სააღმზრდელო დაწესებულებების შექმნა, მოზარდთა დასაქმებისა და თავისუფალი დროის ორგანიზების საკითხის მოგვარება და სხვა, მაგრამ ყველაფერი ეს სერიოზულ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

შს სამინისტროში მიმდინარე ცვლილებების დროს არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექცია სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის შემადგენლობაში დარჩა, რაც ნიშნავს, რომ მას ევალება არა მხოლოდ პროფილაქტიკური მუშაობის, არამედ ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების ჩატარებაც.

საგამოძიებო იზოლატორში მოზარდები უფროს დამნაშავეებთან ერთად იმყოფებიან, რაც დაუშვებელია. სასჯელთა აღსრულების მთავარ სამმართველოს შემუშავებული აქვს შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის ახალ მოდელზე მოწყობის პროგრამა, მაგრამ საამისო ხარჯები ჯერ არ ჩანს. საქმეს ვერ აუდის თბილისის მიმღებ-გამანაწილებელიც — წელს აქ სამასზე მეტი მოზარდი მოიყვანეს. სამტრედიაში მოქმედებს სპეციალური სასწავლებელი 11-13 წლის ბავშვებისთვის. გაჩნდა 14-18 წლის მოზარდებისთვის სპეციალური პროფსასწავლებლისა და გოგონებისთვის სასწავლებლის გახსნის იდეაც.

სერიოზული პრობლემაა ახალგაზრდების დაუსაქმებლობა, ვერც სპორტსა თუ თვითშემოქმედების წრეებში მათი ჩაბმა ხერხდება — ყველაფერი ეს ფასიანია. სისხლის სამართლის მთავარ სამძებროში ფიქრობენ, იქნებ, აღრიცხვაზე აყვანილი ბავშვების ჩაბმა მაინც მოხერხდეს რაიმე წრეებშიო.

პრობლემა ბევრია. არადა, თუ ისინი დღესვე არ გადაიჭრა, რამდენიმე წელიწადში საზოგადოებას შეემატება მოზრდილ დამნაშავეთა მთელი არმია, რომელთან ბრძოლაც ქვეყანას გაცილებით ძვირი დაუჯდება, ვიდრე დღეს მათ მოვლას სჭირდება. ამისთვის კი სპეციალური სამსახურების გააქტიურებასთან ერთად მთელი საზოგადოების ძალისხმევაც არის საჭირო.

სოზარ სუბელიანი

სასამართლო — სასამართლო

# გადამცემის გადაცემა, ანუ „ფრიდონ ინჯია დასაპატიმრებელი იყო“

გუშინ დიდუბის რაიონის სასამართლოში გამართულ კიტოვანი-სურგულაძე — ფესიუნის პროცესზე კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია დაზარალებულის როლში წარდგა.

ბატონი ფრიდონის თქმით, 1994 წლის 25 ოქტომბერს მას დაურეკა თენგიზ კიტოვანმა და კუთვნილი ტელეგადამცემის დაბრუნება სთხოვა (ეს ის ტელეგადამცემია, რომლის მეშვეობითაც თბილისის ომის დროს ზღვაზე დაბანაკებული კიტოვანი ცისფერ ეკრანზე გვევლინებოდა). უარის შემდეგ კიტოვანი პირადად ეახლა მინისტრს, თანაც უკვე კატეგორიული მოთხოვნით. ადგილი ჰქონია იარაღით დაშინებასაც. მაგრამ მინისტრს, კანონის თანახმად, ულიცენზიოდ გადაცემის უფლება არ ჰქონდა. მით უმეტეს, როცა „სხვების ნათქვამიდან ვიცოდი, რომ გადამცემი კიტოვანის არ იყო“, — ამბობს იგი. მოსამართლის განმარტებით, ტელეგადამცემის ყოფილი სარდლის საკუთრებად ცნობის რაიმე დამადასტურებელი საბუთიც არ არსებობს. ამდენად, ირაკლი სურგულაძის ადვოკატ ლილი ბააზოვას შეკითხვას, გქონდათ თუ არა სხვისი საკუთრების ხელყოფის უფლებაო, სასამართლომ აცილება მისცა. განსასჯელმა კიტოვანმა კი იხუმრა: „ფრიდონი რომ ზღვიდან ულიცენზიოდ გადასცემდა, მაშინ იყო დასაპატიმრებელი“.

შემდეგი მოწმის, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის ლევან კენჭაძის ჩვენებით ირკვევა:

ბატონ ლევანს მოახსენეს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის წევრები პასტერის ქუჩაზე იკრიბებოდნენ და ავტობუსებით დასავლეთ საქართველოსკენ მიემართებოდნენ. მას დაევალა ავტობუსების ნომრების დადგენა და მათი ნატახტრის საგუშაგოზე გაჩერება. ნატახტრის საგუშაგოსთან კოლონა შეაჩერეს, მაგრამ თენგიზ კიტოვანს უთქვამს, სახელმწიფოს მეთაურთან შეთანხმებულიაო და გზა გაუგრძელებია. ზესტაფონთან გაჩერებისას კოლონიდან გამოიყო მიკროავტობუსი „პეჟო“, რათა ჩაბარებული იარაღი ამ მანქანაში ჩაეწყოთ, ლევან კენჭაძე თვითონ ხელმძღვანელობდა იარაღის ჩაბარებას. „იარაღი ნებაყოფლობით ბარდებოდა და მიკროავტობუსებში ვაწყობდით“ — ამბობს იგი. ამასთან, თურმე, არც იარაღის ფიქსაცია მომხდარა, რაზეც განსასჯელმა კიტოვანმა ირონიულად შენიშნა „იქნებ, უშიშროებას თვითონ მოჰქონდა და აწყობდაო“.

ფესიუნის ადვოკატის შეკითხვაზე, დახსნრო თუ არა საგზაო პოლიციის შეფი „პეჟოს“ დალუქვას, ბატონმა კენჭაძემ უარყოფითად უპასუხა. აგრეთვე, თქვა, რომ პასტერის ქუჩაზე იყო თუ არა ხალხი შეიარაღებული, ყურადღება არ მიუქცევია და იარაღის ჩაბარებისას არც სროლის ხმა გაუგია.

„იმდენი ვქენი, სასამართლოზე მაინც მოგიყვანეთ“, — ასე მიესალმა თენგიზ კიტოვანი მოწმეს — შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ჯემალ მიქელაძეს. მისი ნაამბობი, ძირითადად, ფაქტის კონსტატაციას წარმოადგენდა და კიტოვანმაც აღნიშნა: „ჩვენ თქვენთან სადავო არაფერი გვაქვსო“.



ქალაქის პოლიციის უფროსის, მოწმე დემურ მიქაძის თქმით, იგი დილით ადრე მივიდა პასტერის ქუჩაზე და ვაჟკაცურად ურჩია თენგიზ კიტოვანს, გადაეფიქრებინა განზრახვა. მოვლენების განვითარების შემდეგ იგი ქალაქიდან არ გასულა, რადგან ეროვნულ-გამათავისუფლებელი ფრონტის შენობის დაცვა დაევალა.

ადვოკატები დაინტერესდნენ, ქალაქის პოლიციის უფროსმა ადგილზე რატომ არ აღკვეთა მათი მსვლელობა, რაზეც ბატონმა დემურმა უპასუხა: „...კიდევ სროლა და სისხლისღვრა აღარავის უნდაო“.

ამ ძირითადი მოწმეების დაკითხვით დასრულდა გუშინდელი სასამართლო პროცესი, რომელიც დღეს 12 საათზე განახლდება.

სოსო ბარნაბიშვილი

# სისხლის წვეთები ოლიმპიურ დროშაზე

შაბათს დილით მსოფლიოს ყველა საინფორმაციო საშუალება მხოლოდ ერთ მოვლენაზე ამახვილებდა ყურადღებას: ატლანტა, სადაც 26-ე ოლიმპიური თამაშები მიმდინარეობს, ღამით მძლავრმა აფეთქებამ შეძრა. აფეთქებას ორი ადამიანი ემსხვერპლა, 110 კი — მძიმედ დაშავდა და ქალაქის რიგ საავადმყოფოებში მოათავსეს. აფეთქების მიზეზია ნაღმი, რომელიც NBC (ამერიკული ტელეარხის) სარეკლამო ფარზე იყო დამონტაჟებული.

აფეთქებამდე 13 წუთით ადრე ქალაქის პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში ტელეფონის ზარი გაისმა. მამაკაცის ხმა იტყობინებოდა, რომ ქალაქის დაუნთაუნში მდებარე პარკში მოსალოდნელი იყო ნაღმის აფეთქება. და მართლაც, პარკში გამართული როკ-კონცერტის დროს გაისმა აფეთქების ძლიერი ხმა, რომელმაც ნამებში დამალა ღონისძიების მონაწილენი. დაბნეული და შეშინებული ხალხი ცდილობდა, სასწრაფოდ გაცლოდა უბედური შემთხვევის ადგილს. ნაწილი კი უკვე გლოვობდა ორ უდანაშაულოდ დაღუპულს.





მომხდართან დაკავშირებით, სასწრაფოდ შეიქმნა საგამოძიებო კომიტეტი. საქმის კურსში ჩადგა გამოძიების ფედერალური ბიუროც. სულ რაღაც წუთებში მდგომარეობას უკვე აკონტროლებდა ადგილობრივი პოლიცია.

შაბათს, დღისით, კომიტეტის ხუთმა წარმომადგენელმა პრესკონფერენცია მოაწყო ჟურნალისტებისთვის, რომელთაც აფეთქებიდან რამდენიმე საათის განმავლობაში საშუალებას არ აძლევდნენ, გარკვეულიყვნენ მომხდარის არსში. ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა განუცხადა მასმედიის წარმომადგენლებს, რომ საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, დადგინდა შემდეგი:

1. ოლიმპიური თამაშები გაგრძელდება იმ განრიგით, რომელიც ადრე იყო შემუშავებული და არანაირი ცვლილება თამაშების პროგრამაში არ მოხდება;
2. ქალაქში მოეწყობა დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემი ცერემონიალი;
3. ყველა დროშა დაიხრება 90 გრადუსით, რაც მომხდარის გამო მსოფლიოს საზოგადოების აღშფოთებას, დაღუპულთადმი პატივისცემასა და მათი ოჯახებისადმი თანაგრძნობის გამოცხადებას გამოხატავს.

გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ განხორციელდებოდა ქმედითი ღონისძიებები იმ ვერსიების შესამოწმებლად, რომელიც აფეთქებიდან რამდენიმე საათში შემუშავდა და დამნაშავენი აუცილებლად დაისჯებოდნენ.

დღეისთვის ამგვარი ვითარებაა: გამოძიების ფედერალურმა ბიურომ, კომპიუტერის მეშვეობითა და თვითმხილველთა ჩვენებების საფუძველზე, შექმნა რამდენიმე ფოტოპორტრეტი, რომელიც მიახლოებულია აფეთქების შემსრულებლის სახესთან. როგორც ამბობენ, ეს არის ახალგაზრდა, თეთრკანიანი მამაკაცი და სრულიად შესაძლებელია, რომ სწორედ მან დარეკა პოლიციაში აფეთქებამდე 13 წუთით ადრე. პოლიციას ღრმად სწამს, რომ სატელეფონო ზარის ავტორიცა და აფეთქების შემსრულებელიც ერთი და იგივე პირია, რომელსაც გარეშე ძალები მართავდნენ.

აფეთქების ორგანიზატორებად პოლიცია შეერთებულ შტატებში მოქმედ მრავალ ე.წ. „სახალხო ლაშქრის" ანტისამთავრობო დაჯგუფებათაგან ერთ-ერთს მიიჩნევს. აფეთქებული ნაღმის ტიპის ბომბები, როგორც ამბობენ, ფრიად „პოპულარულია" ამ დაჯგუფებებში. ამის მაგალითი პოლიციას არაერთხელ ჰქონია, განსაკუთრებით კი აპრილის აფეთქებების დროს.

თუმცა, ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ შესაძლოა, ნაღმი ინსტრუქციებს ინტერნეტის კომპიუტერული სისტემის მეშვეობით იღებდა, რომელიც ბოლო ხანებში ტერორისტთა „სახელმძღვანელოდ" იქცა. მაგრამ ისინი აქვე დასძენენ, რომ ამერიკის „სახალხო ლაშქრების" უმრავლესობა სულაც არ საჭიროებს ინტერნეტის დახმარებას.

მომხდართან დაკავშირებით, დაკითხეს ჯორჯიის შტატის უდიდეს ანტისამთავრობო დაჯგუფებათაგან ერთ-ერთი, რომლის წევრებმაც უარყვეს ატლანტის აფეთქებაში რაიმე სახის მონაწილეობა და განაცხადეს, რომ არანაირ კავშირში არ იყვნენ აღნიშნულ ტერაქტთან.

საგამოძიებო კომიტეტი აგრძელებს დაძაბულ მუშაობას, ატლანტის პოლიცია და გამოძიების ფედერალური ბიურო აქტიურად თანამშრომლობენ და, ალბათ, როგორც ისინი გვპირდებიან, უახლოეს მომავალში დაადგენენ 27 ივლისს ატლანტის პარკში მომხდარი აფეთქების მიზეზებსა და მისი ორგანიზატორების ვინაობას.

ნინო ვიბლიანი

# რატომ იქცა «ბოინგ — 747» ცეცხლის ბურთად?



გრძელდება ორი კვირის წინ ნიუ-იორკის ნაპირებთან აფეთქებული TWA-800 რეისის თვითმფრინავის ნარჩენების ძებნა. აღმოჩენილია შავი ყუთი, რომელზე დაფიქსირებული ინფორმაციის მიხედვით, გამორიცხულია ტექნიკური გაუმართაობის გამო თვითმფრინავის კატასტროფის



ვერსია. როგორც შეერთებული შტატების მაღალი რანგის ოფიციალურმა პირმა განაცხადა, მექანიკური ხარვეზი აქ არაფერ შუაშია. ამჯერად ძირითადი აქცენტი გადატანილია ასაფეთქებელ ნივთიერებაზე, რომელიც თვითმფრინავის წინა სალონში იყო დამონტაჟებული. ბომბის მექანიზმის ამოქმედების შედეგად, წინასწარ გამოითიშა ყველა ელექტრონული სიგნალი, რომელიც თვითმფრინავის სხვადასხვა წერტილებიდან ე.წ. „შავ ყუთს" მიეწოდებოდა. ამგვარად შეიძლება აიხსნას ძლიერი ხმაური მოპოვებული ჩანაწერის ბოლოში, რომლის შემდგომაც წყდება ყოველგვარი ხმა და თვითმფრინავის ფრენის

შემდგომი პერიოდ
ბურუსით, მოცულ
რჩება.
ამჯერად უპირ
ველეს ამოცანას
ლუპულთა გვამები
ნარჩენების პოვ
წარმოადგენს.
იპოვეს 150-ზე მეტ
მგზავრის ნეშტ
ნარჩენები, მაგრა
სამწუხაროდ, ზოგიერთი მსხვ
რპლი, შესაძლოა, ვერასოდ
აღმოაჩინონ.
როგორც მიიჩნევენ, თავდ
პირველად თვითმფრინავის წი
ნაწილი აფეთქდა, მეორე ნაწი
რამდენიმე წუთის განმავლობაში
აგრძელებდა ფრენას, შემდგ
კი მთელი თვითმფრინავი ცეც
ლის დიდ ბურთად იქცა.
ჯერჯერობით, როგორც
უწყეთ, თვითმფრინავის მხოლ
რამდენიმე ნაწილია ნაპოვნი.
გვარად, უბედური შემთხვევ
მსხვერპლად ქცეული თვითმფრი
ნავის ყველა ძირითადი ნაწილ
აღმოჩენამდე საბოლოო დასკვ
გაკეთება შეუძლებელია.

მამუკა ალთუნაშვილ



# კონტროლის პალატამ ყაზბეგის რაიონი რვა მილიონი ლარით დააჯარიმა

ოცდაოთხ ივლისს ყაზბეგში მცხეთა-მთიანეთის რეგიონული კონტროლის პალატის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა გაიმართა. სხდომაზე განიხილეს ყაზბეგის რაიონის 1993 წლის 1 იანვრიდან 1996 წლის 1 აპრილამდე პერიოდის ბიუჯეტის შედგენა-შესრულებისა და აგრარული სექტორის კომპლექსური რევიზიის შედეგები. როგორც რეგიონული კონტროლის პალატის თავმჯდომარემ, ბატონმა თამაზ ლომაძემ განაცხადა, მცხეთა-მთიანეთის კონტროლის პალატამ შექმნისთანავე მიზნად დაისახა რეგიონში ისეთი ტრადიციული დარგის შესწავლა, როგორიცაა მეცხვარეობა. გაირკვა, რომ მხარეში მეცხვარეობა თითქმის განადგურებულია.

## მოდი ვნახოთ ცხვარი, ვინ შეჭამა ცხვარი

როგორც ყაზბეგის რაიონის ყოფილმა ხელმძღვანელმა არჩილ შადურმა განაცხადა, ადრე ყაზბეგის რაიონში 126 ათასი ცხვარი ყოფილა. 1989 წელს რაიონის ხუთ კოლმეურნეობაზე ირიცხებოდა 82766 სული ცხვარი და თხა, რომელიც მთლიანად მოიჯარეებს გადაეცათ. 1993 წელს იჯარა გაუქმდა, მაგრამ ცხვრის დაბრუნებაზე არავის უფიქრია. 1992 წელს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს ერიცხებოდათ 71 ათასი ცხვარი, 1993 წლის იანვარში — 45 ათასი, იმავე წლის მაის-ივნისში — 16 ათასი. 1994 წლის დასაწყისისთვის ცხვრის რაოდენობამ 10800 სულამდე დაიკლო, 1995 წლის ოქტომბერში — 6 ათასამდე, 1996 წლის პირველი იანვრისთვის კი არც ერთი სული ცხვარი აღარ იყო დარჩენილი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონტროლის პალატა შემოწმებას შეუდგა, დაიწყეს ცხვრის დაბრუნება, თუმცა, საკმაოდ უხალისოდ — საერთო ჯამში დაბრუნდა 1607 სული.

„- ცხვარი ვისაც ებარათ, მათვე შეჭამეს!" — იოლად ამოხსნა ამოცანა არჩილ შადურმა, თუმცა, საქმე ასე მარტივად გადასაჭრელი სულაც არ აღმოჩნდა. კოლმეურნეობათა ყოფილი თავმჯდომარეები და აგრომრეწვის ყოფილი თავმჯდომარე გურამ ჯამარჯაშვილი დაწვრილებით მოგვყვნენ იმ სიძნელეების შესახებ, რასაც განვლილ წლებში განიცდიდნენ. ყიზლარის საძოვრებიდან გადმორეკვის დროს ათასობით ცხვარი მოიტაცეს დაღესტნის, ინგუშეთისა თუ ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე, უამრავი სული დაიხოცა ვაგონებით გადმოზიდვის დროსაც. 1992 წლის გაზაფხულზე ცხვარი 520 დახურული ვაგონით გადმოიყვანეს. მგზავრობა 80 საათი გაგრძელდა, დახიცხული ცხვარი ათასობით იხოცებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ ზოგიერთი ვაგონი მოწამლული აღმოჩნდა. „მთელი გზა რკინიგზის გასწვრივ თეთრად იყო მოფენილი" — თქვა სნოს კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ ვასილ ლუდუშაურმა.

ბევრმა მოიჯარემაც ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და იჯარით მიღებული ცხვარი მიისაკუთრა. შედეგად, თითქმის 83 ათასი ცხვრიდან ხუთიოდე წელიწადში არც ერთი სული არ დარჩა. კონტროლის პალატამ დათვალა დანაკლისი, რომელმაც, გაორმაგებული საბაზრო ფასებით, თითქმის, 8 მილიონ ლარს მიაღწია. თანხის გადახდა რაიონს, მაშინდელ მოიჯარეებს, სოფლის მეურნეობის ყოფილ ხელმძღვანელებს — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და აგროსამრეწველო განყოფილების გამგეებს დაეკისრათ, რევიზიის მასალები კი, დამატებითი რეაგირებისთვის სამხარეო პროკურატურას გადაეცა. თუმცა, სხდომის მსვლელობისას გაირკვა, რომ მთელი პასუხისმგებლობის რაიონისთვის დაკისრება არ იქნებოდა სამართლიანი.

## „თევზი თავიდან ყარსო"

გურამ ჯამარჯაშვილმა შექმნილი მდგომარეობის გამო პასუხისმგებლობის მოზრდილი ნაწილი ხელისუფლებას დააკისრა. „სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კოლმეურნეობების ნაცვლად, ჯერ კოოპერაციების შექმნა დაგვავალა, სამ თვეში კი ისიც გაგვაუქმებინა — „კერძო საკუთრების შესახებ კანონს ეწინააღმდეგებაო". რადგან მოიჯარეები ცხვარს არ აბრუნებდნენ, საქმე რამდენჯერმე გადავეცით პროკურატურას, მაგრამ მან რეაგირება არ მოახდინა. 1992 წლის შემოდგომაზე პროკურატურისთვის გადაცემული მასალები 1994 წლის 26 დეკემბერს დამიბრუნეს — „სრულყოფილი მასალა არ არის, გთხოვთ გაარკვიოთო". ორი წლის შემდეგ რა უნდა გამერკვია. როცა მოიჯარეები, ყამარაული და მალანია ცხვრითურთ გაიქცნენ, პოლიციას მივმართე, მაგრამ არაფერი გააკეთა. 1991 წელს სამი ბრიგადა შვიდი ათასი ცხვრით ჩრდილო ოსეთში დარჩა. პრემიერმინისტრ თენგიზ სიგუას ვთხოვეთ, ეშუამდგომლა ვლადიკავკასის ხელისუფალთა წინაშე, მაგრამ არც იმან გააკეთა რამე. სოფლის მეურნეობის სამინისტროც არაფერს გვეხმარებოდა. მინისტრის მოადგილე კოზმანაშვილს მოხსენებითი ბარათიც კი დავუწერე, თქვენი სახით სოფელს პატრონი არა ჰყავს — მეთქი, მაგრამ არაფერმა გაჭრა".

ჯემალ კობაიძე — ზამთრის საძოვრების ყოფილი უფრო
„მაშინდელმა მინისტრმა ქით
ვამ პირდაპირ გვითხრა — შე
ვით კოლმეურნეობების შემოწ
ბას, უკვე დაიშალაო. რომ
ვუშვით, რაღას იზამდა ხალ

## რატომ ვერ დააბრუნ ყაზბეგმა სესხები

„ყაზბეგის რაიონის მეურ
ობებმა 1993-95 წლებში დ
ოდენობით სახელმწიფო სესხ
აილეს, თუმცა, ცნობილი
რომ რაიონის აგრარული
ტორი მაშინ გადახდისუუნ
იყო" — ნათქვამია კონტრო
პალატის დადგენილების პრო
ტში, თუმცა, გურამ ჯამარჯ
ვილმა პასუხისმგებლობა ა
რადაც ხელისუფლებას გადა
სრა. „მაშინ ცხვარიც იყო
მატყლიც და ვალის დაფარ
შეგვეძლო, მაგრამ არავინ
ბარა. ამის მაგიერ ხელისუფ
ბამ ორი მილიონი დოლ
ღირებულების მატყლი შემო
და უცხოეთიდან მსუბუქი მ
ველობის საწარმოების ასამ
ვებლად" — თქვა მან.

## ყაზბეგელთა ბიუჯეტის უცნაურობანი

ყაზბეგის რაიონის ბიუ
ტის აბსურდულობის ყველა
უანსის ჩამოთვლას ცალკე
ლი დასჭირდებოდა, ამი
მხოლოდ ზოგიერთ მომენ
შევჩერდებით. ადგილობრივ
უჯეტის საშემოსავლო ნაწი
მოგების გადასახადის ხვედ

იხილეთ მე–5 გვერდ

# მხოლოდ ფაქტები

ესპანეთი

## «სიკვდილი ფიესტას მეორე მხარეა»



საშინელი ტრაგედია დატრიალდა შაბათს ესპანეთში, აზარტული ...ანახაობის მოყვარული ათასობით ადამიანის თვალწინ — ვალენსი...ში, კორიდას დროს, გამძვინვარებულმა ხარმა რქებზე ააგო ...ტადორი ფრანსისკო გატკისი, რომელიც იმწამსვე გარადიცვალა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბრძოლის წინ ეს ხარი ...ჯიბრებიდან მოხსნეს, რადგან კარგად არ ჰქონდა რქები დაბლა...ებული. მაგრამ ბოლო მომენტში, იგი მაინც გაუშვეს არენაზე.

გატკისი კვირას დაასაფლავეს. სამგლოვიარო ცერემონიალზე ...რთი წლის წინ დაღუპული ერთ-ერთი ტორეადორის, ელსორას ...ტყვები გაიხსენეს: „სიკვდილი ფიესტას მეორე მხარეა“...

...რდილოეთ ირლანდია

## ...მაინც შიშობენ...

გუშინ ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხთან დაკავშირებული ...მშვიდობო მოლაპარაკების პირველი სხდომა გაიმართა, რომელშიც ...ადასწვა პოლიტიკური პარტიების ლიდერები და მნიშვნელოვანი ...ოლიტიკური ფიგურები მონაწილეობდნენ. ყველა მონაწილემ სხდო...ს დასაწყისშივე იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკებათა ეს რაუნდი ...ვის კვალს დაამჩნევს რეგიონში არსებულ ვითარებას. მოსალოდ...ლია, რომ დელეგატები ხელს მოაწერენ დოკუმენტებს, რომლებშიც ...ავალი კომპრომისი იქნება გათვალისწინებული.

მოლაპარაკებებს, როგორც ადრე ვიუწყებოდით, შეერთებული ...ატების წარმომადგენელი, შუამავალი ჯორჯ მიტჩელი ხელმძღვა...ნობს. განსაკუთრებული ყურადღება, როგორც თავმჯდომარემ ...ნიშნა, განიარაღების საკითხს დაეთმობა, თუმცა, მოლაპარაკებებზე ...ლანდიის რესპუბლიკური არმიის პოლიტიკური ფრთის „შინ ...ნის“ არდასწრება აშინებს ყრილობის მონაწილეებს, ვინაიდან ...ი მხრიდან გამორიცხული არ არის ახალი მოულოდნელი ...რტყმები.

მიუხედავად ამისა, დელეგატები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ...ჩქარონ სამშვიდობო პროცესის სწრაფი პროგრესირება.

ბოსნია

## საშიში ბოიკოტი

ევროკავშირის წარმომადგენელმა ბოსნიაში მიქაელ შტაინერმა განაცხადა, რომ დასავლეთი არ გამოიჩენს ტოლერანტულ დამოკიდებულებას ხორვატთა მიერ მოსტარის არჩევნების ბოიკოტისადმი. იგი ამბობს, რომ ქალაქის ორი ნაწილის დამაკავშირებელი ხიდის ერთ მხარეს გამაგრებულნი არიან „ეთნიკური განგსტერები“, რომლებიც პროტესტს უცხადებენ ადგილობრივი არჩევნების შედეგებს (განმარტებისთვის მოგახსენებთ, რომ მუსლიმებმა მოსტარის არჩევნებში 21 ადგილის მოპოვებით გაიმარჯვეს ხორვატთა 17 ადგილის წინააღმდეგ).

ევროკავშირმა ხორვატებს 4 აგვისტომდე მისცა ბოიკოტის შეწყვეტის ვადა, მაგრამ მდგომარეობა საკმაოდ დაძაბულია და როგორც შტაინერი აცხადებს, იოლი არ იქნება პროგრესის მიღწევა. მისი თქმით, ეს ბოიკოტი უარყოფითად იმოქმედებს ბოსნიის საყოველთაო არჩევნებზეც, რომელიც 14 სექტემბრისთვისაა დაგეგმილი.

ჩინეთი

## «ატომური პაუზა»

გუშინ ჩინეთმა ერთ-ერთ პოლიგონზე ბირთვული იარაღის მორიგი გამოცდა მოაწყო.

რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, რიგით 44-ე აფეთქებამ, შესაძლებელია, მკვდარი წერტილიდან დაძრას განიარაღების საკითხებზე მოწყობილი კონფერენცია, რომელიც გუშინ გაიხსნა ჟენევაში. საქმე ისაა, რომ პეკინმა გამოცდის დამთავრებისთანავე, ატომური იარაღის გამოყენებაზე მორატორიუმი გამოაცხადა, ბირთვული შეიარაღების სრული აკრძალვის, ლიკვიდაციის სურვილი გამოთქვა და მსოფლიო თანამეგობრობას შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტის ხელმოწერისკენ მოუწოდა.

თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ პეკინმა, უბრალოდ, დაასრულა აუცილებელ გამოცდათა ციკლი და, ჯერჯერობით, თანახმაა, მხარი დაუჭიროს „ატომურ პაუზას“.

გუშინვე, იაპონელმა აქტივისტებმა, ბირთვულ აფეთქებასთან დაკავშირებით, ჩინეთის საელჩოს წინ ტოკიოში საპროტესტო პიკეტი მოაწყეს.



ჩემი აზრით



ირინე დეკანოიძე

## ბუმერანგი

„სულო, ნუ ელტვი მარადიულ სიცოცხლეს,
რისი ძალიც გაქვს, შეეცადე, ის ამოწურო.“

პინდარე. „პითიური სიმღერები“.

„რისი ძალიც გაქვს“, იმის ამოწურვის მცდელობა, მისკენ მისწრაფება მხოლოდ გენიოსების „ჭირვეულობა“ როდია. ნიჭი, შესაძლებლობები ყველა ადამიანს სხვადასხვა აქვს, მათი რეალიზების სურვილი, მოთხოვნილება კი — ერთნაირი. ვერრეალიზება, ვერამოწურვა, ვერშეძლება გენიოსზეც და ჩვეულებრივ მოკვდავზეც ერთნაირი სიმძაფრით ზემოქმედებს. თუმცა, შესაძლებელია, ეს უკანასკნელნი ნაკლებად აცნობიერებდნენ ამას.

ცხოვრება მართლაც ხანმოკლეა, გზა სრულყოფილებისკენ — გრძელი; ადამიანი პიროვნებად უნდა იქცეს, შექმნას საკუთარი ნატურა, საკუთარ თავში აღმოაჩინოს თავისი საკეთებელი, ამ საკეთებელში — თავისი თავი; ჰქონდეს საქმე, რომელიც მისი სულის, მისი სხეულის ნაწილია და, რომლის საშუალებითაც ბოლომდე დაიხარჯება.

არსებობს კი დღეს საქართველოში ამის პირობები?

ვფიქრობ, რომ არა და ამიტომაცაა ახლა ჩვენს გვერდით საკმაოდ ბევრი „უნებლიე უსაქმური“, იძულებულნი რომ გახდნენ, ისეთ სამსახურში იმსახურონ, სადაც მხოლოდ კარგად უხდიან და მეტი არაფერი. ამიტომაც საქმე მხოლოდ ხელებით კეთდება და არა — გულით; ან ისინი, საერთოდ რომ ვერსად მუშაობენ; საქმის კეთების ძალაც შესწევთ და სურვილიც, მაგრამ ვერაფრით გამოუნახავთ ის „ხელის წამკვრელი“ კაცი, ყოველთვის რომ იყო საჭირო საქართველოში და ახლა — მითუმეტეს.

საქართველოში დღეს ბევრი ან საერთოდ არაფერს აკეთებს, ან აკეთებს იმას, რასაც არ უნდა აკეთებდეს... ეს კი მათთვის ძალიან დიდი ფსიქოლოგიური ტრავმაა.

სწორედ აქ წყდება „მე“-ს რეალიზების ხანგრძლივი პროცესის ძირითადი ეტაპი; სწორედ აქედან იწყება კონფლიქტი საკუთარ თავთან, გარშემო მყოფებთან. ჩნდება არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელიც ან მთლიანად აბეჩავებს ადამიანს, ყველაფრისადმი პასიურ შემგუებლად აქცევს, ან აგრესიულად განაწყობს, ჩააბუდებს მასში დამანგრეველი ძალის იმ უარყოფით ენერგიას, რომელსაც საშიშროების წინაშე მდგარი ადამიანის სიმაძლრით გამოწვეული ბედნიერება ჰქვია.

საკუთარ ფიქრებთან მარტო დარჩენასაც გაურბის, რადგან არ უნდა კიდევ ერთხელ დააფიქსიროს, რომ მისი გაუსაძლისი ყოფა ძალიან ჩამოგავს ჯოჯოხეთში მოხვედრილი სიზიფეს ფუჭსა და უიმედო ჯაფას, კიდევ ერთხელ დაებადოს კითხვა: ღირს კი ცხოვრება იმად, რომ იცხოვრო?! მაგრამ სულში ჩაგუბებული ტკივილი რომ ასე ადვილად არ გადის სხეულიდან, რომ ილექება?! მის დასაფარავად სახეზე მორგებული ნიღბის დიდხანს გაძლებაც რომ ჭირს?!

ესაა ავადმყოფი საზოგადოების საბედისწერო სიმპტომი და დამნაშავის ძებნა, იქნებ, საჭიროც აღარ არის...

ისე ნუ გამიგებთ, თითქოს სამსახურების სათაკილო და პრივილეგიურ კატეგორიებად დაყოფის პროპაგანდას ვეწეოდე. უბრალოდ, ერთ ქრესტომათიულ ჭეშმარიტებას მინდა გავუსვა ხაზი: ცხოვრებაში ყველას თავისი ადგილი აქვს და მისი დაკავება პრობლემად არ უნდა იქცეს...

„უნებლიე უსაქმურობის“ პრობლემა ისე თვალშისაცემად არ ტივტივებს ჩვენი ყოფის ზედაპირზე, როგორც უხარისხო პურის, უფულობის, უშუქობის... მაგრამ, ადრე თუ გვიან, საქართველო გემოზე დანაყრდება, მაგრამ ვეღარ განიწმინდება. დამშეული კუჭის ერთ დღეში ხორაგით ამოვსება შეიძლება, სულში გაჩენილი ნაპრალისა — არა, და ეს სატკივარიც წინ ცუდად დაგვიხვდება, ბუმერანგივით უკან დაგვიბრუნდება.

ზედმეტ სენტიმენტალობად და არა პილატესავედ ხელის დაბანად მეჩვენება იმის თქმა, რომ დამნაშავე ვართ ყველა, მე, შენ, ის...

მე პასუხს ვითხოვ ნაკლებად სიტუაციისგან, და მეტად იმათგან, რომლებმაც საკუთარი სურვილით იკისრეს პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის მომავალზე...

# კონტროლის პალატამ ყაზბეგის რაიონი რვა მილიონი ლარით დააჯარიმა

...მეორე გვერდიდან

...1994 წელს 28,3 ...ცენტს შეადგენდა, ...5 წელს კი 3 პრო...ს. 1993-94 წლებში ...კურ პირთა საშემოსა... გადასახადის ხვედრი...წილმა 66,3 პროცენტი ...გინა, 1995 წელს კი ... გადასახადის ხვედრი...წილი 10,6 პროცენტით ...აზღვრა. საბოლოოდ, ... წელს საშემოსავლო ...ახადის ხვედრითი წი...ბიუჯეტის შესრულება... 2,8 პროცენტს შეად... 1995 წლის გეგმაში ... გადასახადმა 70,4 ...ცენტი შეადგინა, შეს...ბულ ბიუჯეტში კი — ...როცენტი.

...მდგომარეობა არც ... წელს შეიცვალა, რა... პირველი კვარტლის ...ბის შესრულების მო...ბიც მეტყველებს. ფი... პირთა საშემოსავლო ...ახადიდან ადგილობ... ბიუჯეტის შემოსავ... გეგმა 294,6 პროცე... შესრულდა, გარემოზე ...ბიუჯეტების გადასახადი ...0,2 პროცენტით, მო... გადასახადი — 56,6 ...ცენტით, დამატებული ...ღირებულების გადასახადი ...0,5 პროცენტით!

### „ყაზბეგში რუსული რუბლი დომინირებს“ —

ნათქვამია დადგენილებაში, — „რაც საგადასახადო ინსპექციის არაეფექტურ მუშაობაზე მეტყველებს“. თამაზ ლომაძე: „ყაზბეგში ლარი ვერ დამკვიდრდა ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად, აქ რუსული ფული უკეთ მუშაობს“.

რაიონის გამგებელმა ირაკლი ბურდულმა ჩვენთან საუბრისას უარყო ეს ბრალდება. „მცდარი ინფორმაციაა, — თქვა მან, — რაიონში არ ტრიალებს რუსული ფული. სასაზღვრო რაიონია და ღამის საათებში მეზობელი ქვეყნებიდან გადმოსულმა მძღოლებმა, შეიძლება, რუსული ფული გადაიხადონ. ამის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირებულია და გადაცემულია სასამართლოს, მაგრამ, ძირითადად, ლარი მოქმედებს და მე ამის თავდებად ვდგები“.

რაიონის გამგებლის „თავდებობის“ მიუხედავად, პირველივე ბენზინის ჩასასხმელ სადგურზე რუსული ფული მოგვთხოვეს, თანაც დღისით-მზისით და ჩვენივე ქვეყნის მოქალაქეებმა.

### როგორ ნაწილდებოდა ნორმირებული პროდუქტი

1994-95 წლებში რაიონის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო მოსახლეობისთვის გამოყოფილი ფქვილისა და სანათი ნავთის ათვისება, თუმცა, რაც აითვისა, ისიც არაპროპორციულად განაწილდა. თუ გუდაურის საკრებულოში სულზე 82,5 კილოგრამი ფქვილი განაწილდა, გორისციხის საკრებულოში სულზე მხოლოდ 28 კილოგრამი ერგოთ.

გაირკვა ისიც, რომ ორმოც თეთრად ღირებული ნორმირებული შაქარი მოსახლეობისთვის სამოც თეთრად მიუყიდიათ, რის შედეგადაც სხვაობამ 1300 ლარი შეადგინა. მოსახლეობას გაზრდილ ფასში მიეყიდა ნავთიც და ფქვილიც, რის გამოც რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარისა და მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი განსახილველად გადაეცა რაიონის გამგეობას, რევიზიის მასალები კი შემდგომი რეაგირებისთვის სამხარეო პროკურატურას გადაეგზავნა.

### „ყველა თავის საზღაურს მიიღებს“

განვლილი წლების დაუსჯელობის ატმოსფერომ მრავალი ადამიანი აიყოლია. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებშიც და რიგით მოქალაქეთა შორისაც ბევრს ეგონა, რომ რაც უნდა ჩაედინა, ყველაფერი შერჩებოდა და პასუხი არასდროს მოეთხოვებოდა. სინამდვილეში, აღმოჩნდა, რომ არავის საქმიანობა უკვალოდ არ გამქრალა და თავის საზღაურს ყველა მიიღებს — ხელისუფალიც და რიგითი მოქალაქეც. ყოველ შემთხვევაში, ბატონმა თამაზ ლომაძემ განაცხადა, რომ აპირებს მკაცრად დააყენოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი.

სხვათა შორის, გაისად მცხეთა-მთიანეთის კონტროლის პალატა ყაზბეგის რაიონის გამგეობებს შეამოწმებს. ასე რომ, თუ ვინმეს ბიუჯეტთან ანგარიში აქვს გასასწორებელი, ურჩევნია, დროზე გაასწოროს.

სოზარ სუბელიანი



ჩემი აზრით

გიორგი ასანიშვილი

# სეპარატიზმი თუ თვითგამორკვევის უფლება

**XX საუკუნის მსოფლიოში რამდენჯერმე მოხდა პოლიტიკურ ღირებულებათა გადაფასება. თუ საუკუნის დასაწყისში კაცობრიობას უფრო მეტად სოციალური, კლასობრივი პრობლემები აღელვებდა, ასწლეულის შუა პერიოდიდან დაიწყო სხვადასხვა იდეოლოგიური დოქტრინების მქონე საზოგადოებების გლობალური კონფრონტაციის ეპოქა, უკანასკნელ ხანს კი წინა პლანზე ეროვნულ-ეთნიკური დაპირისპირების პრობლემატიკამ წამოიწია.**

90-იანი წლების დასაწყისში ერთაშორისი კონფლიქტების არნახულ ზრდას მსოფლიო მოუმზადებელი შეხვდა. ეს მოხდა არა იმიტომ, რომ მსგავსი კონფლიქტები მისთვის ახალი და უცნობი მოვლენა იყო, არამედ იმის გამო, რომ მანამდე ეთნოკონფლიქტების მართვა-რეგულირების საერთაშორისო სისტემა ემყარებოდა შეუვალ პოსტულატს: „მსოფლიო წესრიგის" მთავარი კონსტრუქტორების — აშშ-სა და საბჭოთა კავშირის — შიდაპოლიტიკურ სტაბილურობას. სსრკ-ს დაშლას კი ბალანსირების ამ გარანტის მნიშვნელოვანწილად შესუსტება მოჰყვა.

დღეს გაჩაღებული ეთნოკონფლიქტების უმეტესი ნაწილი დამოუკიდებლობის მოთხოვნისა და ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგით მიმდინარეობს. ერის თვითგამორკვევა კი სხვა არაფერია, თუ არა ამა თუ იმ ეთნოსის მიერ თავისი ბუნებრივი ინსტინქტის — დაიკავოს მის გარემომცველ ეთნოსებს შორის ოპტიმალურად ხელსაყრელი მდგომარეობა — რეალიზაცია. ერის ასეთი მისწრაფება თავისთავად სულაც არ არის გაკიცხვის ღირსი, მაგრამ დღევანდელ სინამდვილეში ზოგიერთი ეთნოსი ცდილობს ოპტიმალურად ხელსაყრელი მდგომარეობა მაქსიმალურად ხელსაყრელი მდგომარეობით შეცვალოს, რაც უკვე მეზობელ ეთნოსებთან დაპირისპირების, მათთან კონფლიქტში შესვლის წინაპირობაა.

სამწუხაროდ, დღეისთვის არ არსებობს საერთაშორისო საზოგადოების მიერ ერთხმად აღიარებული და საერთაშორისო სამართლით გამაგრებული, ყველა მხრისთვის მისაღები მკვეთრი გამიჯვნა ერის თვითგამორკვევასა და სეპარატიზმს შორის, არ არის გარკვეული, თუ სად მთავრდება ერთი და იწყება მეორე. მაგრამ ერთი რამ ნათელი და უცილობელია: საერთაშორისო ინსტიტუტები, გაეროს ჩათვლით, არ ცნობენ ერის თვითგამორკვევის უფლებას, თუ ეს უფლება საფრთხეს უქმნის იმ სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, რომელშიც ეს ერი ცხოვრობს.

საკითხისადმი ასეთ მიდგომას, რაც, ფაქტობრივად, სახელმწიფოთა შორის ამჟამად არსებულ საზღვრებს აკანონებს, არ ეთანხმებიან ეთნოკონფლიქტების „ინიციატორი" სეპარატისტული ძალები. ამიტომ, ახლო მომავალში, გარკვეული ავტორიტეტის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებს დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რათა თავიდან აიცილონ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ეპიდემიასავით მოდებული „დამოუკიდებლობის ბაცილით" გამოწვეული დამანგრეველი პროცესები.

ეს სულაც არ გახლავთ საშიშროების გაზვიადება ან ჩვენი სურვილის რეალობად გამოცხადება. უცილობელი ფაქტია, რომ მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა პოლიეთნიკურია. ეს კი პერსპექტივაში, თუ მსგავსი პროცესები უმართავი გახდა, ამ საშიშროებას ადვილად აქცევს რეალობად. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ის ქვეყნები, რომლებიც გუშინ თვალს ხუჭავდნენ სეპარატიზმის ყოველგვარ გამოვლინებაზე და შეძლებისდაგვარად კიდევაც თანაუგრძნობდნენ მას, დღეს უკვე თავად დადგნენ ანალოგიური პრობლემების წინაშე.

დღეს ეთნიკურ წინააღმდეგობებს დანგრევის პირამდე მიჰყავთ მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები, რის შესახებაც ერთი კვირის შემდეგ გაზეთის „ამავე ადგილას" ვისაუბრებთ

## მხოლოდ ფაქტები

ინგლისი

### მეტრო ლონდონშიც ჩერდება. თუმცა, სხვა მიზეზით

ლონდონის მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ ჯერჯერობით ვერ მიაღწია სამუშაო დროის ერთი საათით შემცირებას, რასაც, გუშინ, ინგლისის დედაქალაქში ყველაზე ფართომასშტაბიანი გაფიცვა მოჰყვა. დილის ცხრა საათისთვის ხაზზე მხოლოდ ოთხი მატარებელი მოძრაობდა, მაშინ როცა, ამ დროისთვის, მათი რიცხვი, ჩვეულებრივ, 440-ს აღწევს ხოლმე.

ამან ლონდონში ნამდვილი საავტომობილო ქაოსი გამოიწვია.

თურქეთი

### ხანძარი მეზობლის «სახლში»

თურქეთის დასავლეთ ნაწილში ძლიერი ხანძარი მძვინვარებს, რომელმაც მარტო ორ პროვინციაში ორ ათას ჰექტარამდე ტყის ნაკვეთი მოიცვა. მაღალი ტემპერატურა და ძლიერი ქარი ხანძრის სამხრეთით გავრცელების საშიშროებას ქმნის.

კორეა

### გლეხი და სერჟანტი — სხვადასხვა მიმართულებით



გუშინ სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კორეას გადასცა სერჟანტი, რომელიც ორივე ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა. „ჩავარდნილმა რეზიდენტმა" ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ჩრდილოეთის კომუნისტურ რეჟიმს არაფრით გაცვლის სამხრეთულ კაპიტალიზმზე. სამშობლოში „შპიონ" სერჟანტს როგორც გმირს, ისე შეხვდნენ. ეს გასაგებიცაა, რადგან სახეზეა უკუპროცესი: მარტო წელს სამხრეთ კორეაში 30-მდე ჩრდილოელი მოქალაქე გაიქცა. მათ შორის იყო გლეხი, რომელმაც შეძლო სქელ ბურუსში დანალმული ოთხკილომეტრიანი დემილიტარიზებული ზონის ფეხით გავლა.



ოფიციალური პასუხი

# ნუ შეგვიყვანთ მკითხველს შეცდომაში (ნიკო ფიროსმანის იუბილე ნორმალურად მზადდება)

**1996 წლის 3 ივლისს გაზეთ „კავკასიონში" დაიბეჭდა ჟურნალისტ ნელი კობაიშვილის წერილი „ისევ არ უმართლებს ნიკალას", რომელიც ნიკო ფიროსმანაშვილის იუბილეს გადახდას ეხება და მკითხველის აშკარად შეცდომაში შეყვანის მცდელობაა. ალბათ, არც ღირდა ამ წერილზე რეაგირება და კულტურის სამინისტრო სწორად მოიქცა, რომ იგი უყურადღებოდ დატოვა. მაგრამ, აი, 15 ივლისს გაზეთმა „ახალი თაობა" გამოაქვეყნა ამავე ჟურნალისტის ინტერვიუ კიდევ უფრო ყალბი პათოსის შემცველი სათაურით: „იუნესკოს ფულით ფიროსმანს მივაგოთ პატივი თუ მხატვრებისთვის კოტეჯები ავაშენოთ?" (ინტერვიუ ჩამოართვა ნინო რატიშვილმა). შინაარსობრივად ორივე პუბლიკაცია არსებითად მსგავსია, შეიცავს არაერთ სიყალბესა და დეზინფორმაციას, რომლებზეც რეაგირება, ვიმეორებ, ზედმეტი იქნებოდა, რომ არა საზოგადოების გარკვეული ნაწილის შეშფოთება, რომელსაც არ შეიძლება, ანგარიში არ გაეწიოს. რამდენადაც მე საიუბილეო სამთავრობო კომისიის და იუბილეს მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის წევრი ვარ, ამასთან ვხელმძღვანელობ იმ დაწესებულებას, სადაც ფიროსმანის ნამუშევართა უდიდესი ნაწილი ინახება, თავი მოვალედ მივიჩნიე, საზოგადოებრიობისთვის მიმეწოდებინა ინფორმაცია საქმის რეალური ვითარების შესახებ.**

**დავიწყებ გაზეთ „ახალი თაობის" პუბლიკაციის სათაურში გატანილი და ნ.კობაიშვილის პირველ წერილში საგანგებოდ აღნიშნული საკითხით, რამდენადაც საზოგადოების შეშფოთება (ზოგ შემთხვევაში — აღშფოთება) სწორედ ამ საკითხმა გამოიწვია. ორივე პუბლიკაციაში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს, იუნესკომ 60 ათასი დოლარი გამოყო და აქ კი, ადგილზე, კულტურის სამინისტროს თაოსნობით, ეს თანხა, ნაცვლად ფიროსმანის იუბილესი, „მხატვრებისთვის კოტეჯების აშენებას" ხმარდება; თანაც, არაა განმარტებული, რა კოტეჯებზეა საუბარი. ზოგმა ისე გაიგო, რომ საკითხი ეხება ლამის საგარაკო კოტეჯებს. მთელი სურათი ყალბია! იუნესკოს არავითარი ფული არ გამოუყვია, არც 60 ათასი და არც 10 დოლარი!!**

**სინამდვილეში საქმე შემდეგშია: იუნესკოსთან თანამშრომლობის ეროვნულმა კომისიამ იუნესკოს მიმართა რამდენიმე თხოვნით, რომელთა ნაწილი სწორედ ფიროსმანის სახელთანაა დაკავშირებული. 1995 წლის 11 ოქტომბრის წერილით (№157/95) კომისია იუნესკოსგან ითხოვდა მირზაანში, ფიროსმანის სამშობლოში, საერთაშორისო შემოქმედებითი ცენტრის შექმნაში დახმარებას, ცენტრისა, სადაც გათვალისწინებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მხატვართა შეკრება, მათი დასვენება, მათთვის სამუშაო პირობების შექმნა, შეხვედრების, პლენერების, კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებათა ჩატარება. განა ეს ცუდი საქმეა?! განა ეს ხელს არ შეუწყობს ფიროსმანის პოპულარიზაციას მსოფლიო მასშტაბით?! აი, სწორედ ასეთი ცენტრისთვის ითხოვა იუნესკოსთან თანამშრომლობის ეროვნულმა კომისიამ 60 ათასი დოლარი. მაგრამ მთავარი სიყალბე, იცით, რა არის? ისაა, რომ ამ თხოვნაზე კომისიას ჯერ პასუხი არ მიუღია და, როგორც აღვნიშნეთ, იუნესკოს არც არავითარი თანხა არ გამოუყვია. მაგრამ დეზინფორმაცია კიდევ ერთ რამეშია:**

**დავუშვათ, იუნესკომ გამოყო თანხა მირზაანში საერთაშორისო ცენტრის შექმნისთვის. ხომ არ ჰგონია ვინმეს, მათ შორის, ნ.კობაიშვილს და ნ.რატიშვილს, რომ ჩვენზე იქნება დამოკიდებული, ამ თანხას როგორ და სად გამოვიყენებთ? ნურას უკაცრავად, იუნესკოს მიერ მიზნობრივად გამოყოფილი თანხა შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ პროექტს, რომლისთვისაც ის გამოყოფილია. მაშ, რატომ ვატყუებთ მკითხველს, რატომ შეგვყავს შეცდომაში საზოგადოებრიობა?!**

**შეიძლება შეგვედავონ, კომისიას რომ აღნიშნული ცენტრისთვის თანხა არ ეთხოვა, იუნესკო საიუბილეოდ გამოყოფდა თანხას. ესეც მცდარი მტკიცება იქნება — ამგვარი ცენტრის დაარსება და იუბილეს გადახდა იუნესკოს პრაქტიკით სრულიად სხვადასხვა რიგის პროექტებია და ერთმანეთს ხელს ვერ შეუშლის.**

**ამრიგად, მკითხველმა მტკიცედ უნდა იცოდეს, რომ მირზაანში შემოქმედებითი ცენტრის დაარსებას არავითარი კავშირი არა აქვს ფიროსმანის იუბილესთან, ამ ცენტრისთვის იუნესკოს ჯერ არავითარი თანხა არ გამოუყვია, არც თვით იუბილესთვის იუნესკოს არავითარი თანხა არ გაუღია და არც გაიღებს. იუნესკოს საიუბილეო კალენდარში ფიროსმანის იუბილეს შეტანა თავისთავად დიდმნიშვნელოვანი ამბავია, ფიროსმანის საერთაშორისო აღიარების ილუსტრაციაა, მაგრამ იუბილეს ორგანიზაცია და დაფინანსება მთლიანად ჩვენმა სახელმწიფომ უნდა იკისროს. რასაკვირველია, ფიროსმანის იუბილე უნდა აღვნიშნოთ, ფართოდ და მაღალ დონეზე, მაგრამ მისი მასშტაბების განსაზღვრისას ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გადამხდელი ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ხალხი იქნება. ზომიერება არ უნდა დავკარგოთ!**

**ნ.კობაიშვილი უკმაყოფილოა იუბილესთვის მზადებით და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს, ამ მიმართულებით არაფერი კეთდება. როგორც აღვნიშნე, კონკრეტულ საკითხებზე კამათს არ ვაპირებ, მკითხველს კი ვამცნობ, რომ იუბილეს აღსანიშნავი ღონისძიებები ფრიად ფართოა და მრავალფეროვანი, ხოლო ამაზე დიდი მასშტაბების მოთხოვნა ჩვენს პირობებში არა მხოლოდ არარეალურია, არამედ ზნეობრივად გაუმართლებელიც.**

**საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ ღონისძიებათა რეალიზაციისთვის ფართო მუშაობაა გაშლილი, შექმნილია სამთავრობო კომისია კულტურის მინისტრის თავმჯდომარეობით. დიახ, სამთავრობო კომისია! ჟურნალისტმა კი უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფოს დღევანდელ სტრუქტურაში კულტურის დარგში უმთავრეს სამთავრობო ინსტანციას კულტურის სამინისტრო წარმოადგენს. სამთავრობო კომისიაში შეყვანილია ყველა საჭირო უწყება — საგარეო საქმეთა სამინისტრო, მასობრივი საინფორმაციო სამსახურები, ქალაქის მერია, ფინანსთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ავტოტრანსპორტის სამინისტრო და სხვა უწყებები. კომისიის 21 წევრიდან 15 შესაბამისი უწყების პირველი პირია. მაშასადამე, ყალბია ნ.კობაიშვილის მტკიცება, თითქოს „კულტურის სამინისტრომ საიუბილეო ღონისძიებებში არ ჩართო არც ერთი უწყება". ასევე ყალბია ნ.კობაიშვილის განცხადება, რომ სამინისტრომ „შეგნებულად ჩამოიშორა ედუარდ შევარდნაძის დემოკრატიისა და აღორძინების ფონდი". როგორ ჩამოიშორა, როდესაც საიუბილეო კომისიაში ამ ფონდის თავმჯდომარე — ბატონი ნ.ფოფხაძე შეყვანილი?!**

**საიუბილეო კომისიის შემადგენლობა, ღონისძიებათა გეგმა, სათანადო ხარჯთაღრიცხვები წარედგინა ქვეყნის პრეზიდენტს და მისგან დამტკიცების შემდეგ მთელი სტრუქტურა ამოქმედდება. მანამდე კი შექმნილია მუშა ჯგუფი (სხვათა შორის, მისი წევრი ნ.კობაიშვილიცაა), რომელიც უკვე მოქმედებს და ბევრი რამეც კეთდება. საინტერესოა, სხვა რა უნდა გაკეთდეს იუბილეს მომზადების ამ ეტაპზე?! რაც შეეხება იუბილეს საერთაშორისო მასშტაბებს, ამ მიმართულებითაც დაგეგმილია კონკრეტული ღონისძიებები, გათვალისწინებულია უცხოელი სტუმრების მოპატიჟება და ჩართვა საიუბილეო პროცესში.**

**მაშასადამე „ნიკალას, დიახაც უმართლებს" არაა საჭირო მისი სახელით სპეკულირება, მით უფრო, რომ საკმაოდ გამჭვირვალედ ჩანს ნ.კობაიშვილის პირადი განაწყენება იმით, რომ ის ამჯერად საიუბილეო კომისიაში არაა გათვალისწინებული. მისი საგაზეთო წერილისა და ინტერვიუს შემდეგ მე პირადად, დავრწმუნდი, რომ არამცთუ კომისიაში, სამუშაო ჯგუფშიც არ იყო გამართლებული მისი შეყვანა.**

**აბსოლუტურ უტაქტობად მიმაჩნია კულტურის მინისტრისთვის 1989 წელს ეროვნული საგანძურის მიმართ „უპასუხისმგებლო დამოკიდებულების" დაბრალება, მით უფრო, რომ აქაც ჟურნალისტი მცდარ ინფორმაციას აწვდის მკითხველს. საგანძურის სან-დიეგოში გამოფენაზე გატანის შესახებ აქცია მზადდებოდა სან-დიეგოს მერიის და ხელოვნების მუზეუმის უშუალო მოლაპარაკების დონეზე და არა მინისტრის გადაწყვეტილებით, ხოლო როდესაც მიღწეული შეთანხმება ჩაიშალა, მინისტრის პოზიცია სრულიად გასაგები და გამართლებული იყო. აქვე აღვნიშნავ, რომ ჟურნალისტმა, როგორც ჩანს, არ იცის … ფაქტისადმი არაერთგვაროვანი დამო… კიდებულება სპეციალისტების მხრი… დან. ყველა როდი ამართლებს სან-დი… ეგოში გამოფენის ჩაშლას. ხოლო რაც არ იცი, იმაზე არ უნდა წერო!**

**მე აღარაფერს ვამბობ ნ.კობაიშვი… ლის იმ მტკიცებაზე, რომ იუბილეს გრან… დიოზული მასშტაბით ჩატარება ნიკალ… ვინმე მზრუნველს გამოუჩენს და … სურათების ვითომცდა საცალ… მდგომარეობას უშველის. ამ გზით არ… ხელოვნების მუზეუმის პირობებს ეშვე… ლება რამე და არც ფიროსმანის სურა… თებს. არსებობს სამისო სხვა საშუალე… ბები და ვისაც ეს ევალება, ამას აკეთე… კიდეც, ხოლო ადამიანი, რომელიც ამ… კიცებს, რომ რესტავრაცია სურათებს… აზიანებს, ამ საკითხებში საერთოდ არ… და ჩაერიოს.**

**ამრიგად, აღნიშნული პუბლი… ციები რეალურ ვითარებას არ ასახ… და მკითხველის დეზინფორმაციას … ვევს. ფიროსმანის იუბილე მზადდე… იგი ჩატარდება, ოღონდ შესაბამ… თვით ფიროსმანის სახელისათვის … დროის და ჩვენი პირობებისათვის შე… ფერის ჩარჩოებში და არა იმ გაუ… თლებელი გრანდიოზული პომპეზუ… რობით, რომელსაც ჟურნალისტ… ითხოვს.**

ნოდარ ლომოურ…

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერ სივრცეში ან კოსმოსის (წესრიგის) ელემენტები სჭარბობს, ან — ქაოსის. იმ სივრცეს, რომლის შესახებაც დღეს გიამბობთ, მრავალი ფაქტორი აწესრიგებს. უპირველეს ყოვლისა, ნივთები, რომლებიც ამ სივრცეშია განლაგებული; შემდეგ — ატმოსფერო, რომელსაც ნივთების სწორედ აქ მოცემული ერთობლიობა ქმნის; აგრეთვე, კულტურული ცხოვრების ტრადიცია, რომელიც მეყსეულად იგრძნობა; და, რაც ყველაზე მთავარია, ამ სივრცის პატრონ-პატრონი — უმშვენიერესი ქალბატონი, რომელიც იმდენად მომხიბვლელია, რომ სრულებით არ სჭირდება ასაკის დამალვა — 81 წლის ქალბატონი ელენე ვაჩნაძე-გამრეკელი.

ამ მოწესრიგებულ სივრცეს 1954 წლის 14 აპრილის შემდეგ ცნობილი ქართველი მხატვრის, ირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმი ჰქვია. სწორედ ამ სახლში იკრიბებოდნენ მწერლები, მსახიობები, რეჟისორები, საზოგადო და რელიგიური მოღვაწეები ბატონი ირაკლი გამრეკელის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგაც. სახლს განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა დიასახლისი — ქალბატონი ელენე.

სხვათა შორის, სახლ-მუზეუმს მუდამ მრავალი მნახველი ჰყავდა. აქ მოდიოდნენ ჩვენებურებიც და უცხოელებიც. ქალბატონი ელენეს გემოვნებას ყველა აღტაცებაში მოჰყავდა.

მაგრამ ამ მშვენიერ, მოწესრიგებულ სივრცეში სამიოდე წლის წინ ქაოსის მძლავრი ნაკადი შეიჭრა: 1992 წლის 11 ოქტომბერს (გახსოვთ, ალბათ, არჩევნების დღე იყო) ირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმში დილით, თერთმეტის ოც წუთზე ხუთი მძარცველი შეიჭრა. მათ ქალბატონი ელენე აბაზანაში ჩასვეს და თავად საქმეს შეუდგნენ... თორმეტს რომ ათი წუთი აკლდა, სახლის „გასუფთავების“ ოპერაცია წარმატებით დასრულდა. როგორც ქალბატონი ელენე ფიქრობს, მომხდურთა შორის ერთ-ერთი შესანიშნავად ერკვეოდა ნივთების ავ-კარგში, რის გამოც უშეცდომოდ იქნა დახარისხებული როგორც წასაღები, ასევე — დასატოვებელი.

მძარცველებმა წასაღებად შეარჩიეს ფერწერული ტილოები: ორი ფიროსმანი, ორი გუდიაშვილი, ერთი გამრეკელი, ერთი ტინტორეტო (XYI ს.). ამის გარდა, უძვირფასესი ფაიფურის ჭურჭელი, მათ შორის, ალექსანდრე ჭავჭავაძის საოჯახო სერვიზი 6 კაცზე და დავით სარაჯიშვილის საოჯახო სერვიზი 24 კაცზე. წაიღეს მთელი ძვირფასეულობა, რომელთა შორის იყო დეკაბრისტ მურავიოვის ქალიშვილის, ელენე მურავიოვას მიერ თავისი შვილიშვილისთვის (ანუ ჩვენი დღევანდელი მასპინძლისთვის) ნაჩუქარი უძვირფასესი საყურე და გულსაბნევი (რომლებზეც ქალბატონ ელენეს განსაკუთრებულად სწყდება გული) და 30-იან წლებში ირაკლი გამრეკელის მიერ შეძენილი სამმეტრიანი ოქროს ძეწკვი, რომელსაც ქალბატონი ელენე ქამრად ხმარობდა (თუმცა, როცა ქურდებმა მოუსწრეს, ძეწკვისგან ერთი მეტრილა იყო დარჩენილი — ქალბატონი ელენე ოქროს ნაწილ-ნაწილ ყიდდა, როცა მეტისმეტად გაუჭირდებოდა ხოლმე). მძარცველებმა წაიღეს მეფე ნიკოლოზის დროინდელი 11 ჭიქა და ფაიფურის შესანიშნავი დოქი, წარწერით „პეტრე პირველი“ (სხვათა შორის, ამ ნივთმა, ისევე, როგორც ტინტორეტოს ფერწერულმა ტილომ, რამდენიმე წლის წინ ერმიტაჟის დირექტორი, ბატონი პიეტროვსკი სრულიად აღაფრთოვანა). დაიკარგა, აგრეთვე, შესანიშნავი ვერცხლის ლამპარი; იგი ქალბატონ ელენეს 1942 წელს, სიკვდილის წინ აჩუქა საკუთარმა მამიდამ, რომელიც ბოდბეს მონასტრის იღუმენია იყო. თავის მხრივ, მას ეს ნივთი რუსეთის ერთ-ერთი მონასტრის იღუმენიამ, კოტე მარჯანიშვილის დამ აჩუქა. რაც მთავარია (ყოველ შემთხვევაში, ქალბატონი ელენესთვის), მძარცველებმა ოჯახიდან წაიღეს ხატები, მათ შორის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის მიერ 1944 წელს ნაჩუქარი მოვერცხლილი ძველი ქართული ხატი, რომელზეც გამოსახულნი არიან წმინდანები ელენე და კონსტანტინე.

ამ გამაოგნებელი ყაჩაღობის შემდეგ ორი წელი იყო გასული, როდესაც 1995 წლის სექტემბერში ღამის პირველ საათზე ქალბატონმა ელენემ საკუთარი ყურით მოისმინა, როგორ გამოაცხადა ტელევიზიით გამოსვლისას მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა კვირაიამ, რომ ნაპოვნია ირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმიდან წაღებული ფერწერული ტილოები (გარდა ტინტორეტოსი). შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნაპოვნია, აგრეთვე, წმ.ნიკოლოზის და მაცხოვრის ხატებიც.

ქალბატონი ელენე იხსენებს, რომ მისი სახლის გაძარცვის პირველსავე ღამეს მასთან დარეკა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა ილია მეორემ, რომელმაც ასე დაამშვიდა: „ქალბატონო ელენე, ნუ წუხხართ, სურათებიც დაგიბრუნდებათ და ხატებიც. სადაც არ უნდა იყოს, ხატები მაინც თქვენზე ლოცულობენ“.

ბატონი კვირაიას იმ გამოსვლის შემდეგ უკვე ათი თვე გავიდა და ქალბატონი ელენე კვლავ საკუთარ ნივთებს ელოდება.

# პატარა სახლის დიდი დიასახლისი ანუ სივრცე, რომელსაც ქაოსი ვერ ერევა



როგორც თავად ბრძანებს, ამ ათ თვეში დაიტანჯა და დასნეულდა. ჯერ ერთი, მისთვის ოფიციალურად არავის შეუტყობინებია, რომ ნივთები მოიძებნა. დიდი ძალისხმევის შემდეგ გაირკვა, რომ ეს ტილოები და ხატები ამჟამად ხელოვნების მუზეუმში ინახება, რადგან ირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმს რკინის კარიც კი არ გააჩნია.

ამის შემდეგ ეს რომანტიკულ-დეტექტიური ისტორია წმინდა სათავგადასავლო ჟანრში გადადის: ათი თვის განმავლობაში ყურადღების ცენტრში ექცევა ახალი საგანი — რკინის კარი, რომელიც აუცილებელია სახლ-მუზეუმისთვის, რათა



ამ მაგიდასთან მუშაობდა ირაკლი გამრეკელი

მან თავისი კუთვნილი ნივთები დაიბრუნოს. პოლიცია საქმეში რთავს მერიას, მერიის აზრი კი ამ საკითხზე ქალბატონი ელენესთვის დღემდე საიდუმლოდ რჩება.

ბოლოს და ბოლოს, ქალბატონი ელენე აწუხებს (როგორც თავად აღიქვამს) კულტურის მინისტრს, ბატონ ვალერი ასათიანს, რომელიც ძალზე ოპერატიულად აგზავნის ბატონ რეზო ნემსაძეს ამ საქმის სპეციალისტებთან ერთად და დღეს ქალბატონი ელენე დარწმუნებულია, რომ სულ მალე „რკინის კარის“ ეპოპეა უნდა დასრულდეს და ირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმი სამუდამოდ უნდა ჩაირაზოს ყაჩაღებისთვის.

არადა, ქალბატონი ელენე ტკბილმწარე ღიმილით იგონებს, რომ უძრაობის ხანაში, კომუნისტების დროს, იგი და ბატონი ერასტი (უფროსი ძმა) მამაპაპური ხის კარს გასაღებით ჩაკეტავდნენ ხოლმე და, თუნდაც მთელი თვით, სახლს უშფოთველად ტოვებდნენ.

ახლა იმის შესახებ გიამბობთ, როგორ მოიტანა ეს მუზეუმი ქალბატონმა ელენემ დღემდე.

სულ თავიდან დიასახლისმა საკუთარი ძვირფასი ნივთები გაყიდა და ისე შეიძინა მინები და ჩარჩოები ნახატებისთვის. ამავე ფულით შეუკვეთა მაკეტები. მაშინ ქალბატონი ელენე 42 წლის ბრძანდებოდა და თავიდანვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ მუზეუმს თავის ხალხს, მომავალ თაობას დაუტოვებდა უსასყიდლოდ.

წლები რომ გავიდა, მუზეუმს (სულ ორი ოთახია) რემონტი დასჭირდა. მაშინ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე გადაწყდა, რომ გამოიყოფოდა თანხა რემონტისთვის. ამავე ბიუროს გადაწყვეტილებით, ქალბატონი ელენე და ბატონი ერასტი მიამაგრეს პირველ „ლეჩკომბინატში“ (მეოთხე სამმართველოს სტაციონარში) და მინისტრთა საბჭოში. როგორც ქალბატონი ელენე იხსენებს, იმ დროს შესანიშნავად ცხოვრობდნენ, საკვები არ აკლდათ, ავადმყოფობის შიში არ ჰქონდათ და წელიწადში ორჯერ ბორჯომში ან გაგრაში ისვენებდნენ.

შემდეგ, ცხოვრება რომ აირია და თბილისში ომი დაიწყო, ის სახლი, რომელშიც ქალბატონი ელენე ცხოვრობს, ბინადართაგან სულ დაიცალა (სახლი ყოფილი ძერჟინსკის ქუჩაზე მდებარეობს, თითქმის, ბრძოლის ეპიცენტრში). ქალბატონი ელენე კი იჯდა თავის რომანტიკული წარსულით გაჯერებულ, ფანჯრებჩამტვრეულ, ბნელ და ცივ ბინაში და ფიქრობდა, რომ თუ მუზეუმს დაღუპვა ეწერა, თავადაც მასთან ერთად დაიღუპებოდა.

მაგრამ, საბედნიეროდ, წარსული გადარჩა და მასთან ერთად გადარჩა მომავალიც. სხვათა შორის, დაზიანდა სახლზე მიკრული მემორიალური დაფა. ღამის ოთხ საათზე, გამაყრუებელი სროლების შემდეგ, ქალბატონ ელენეს დაცემის ყრუ ხმა შემოესმა და მაშინვე მიხვდა, რაც მოხდა. ძალა მოიკრიბა და ქუჩაში გავიდა. სახლის წინ ოთხი ახალგაზრდა სიგარეტს ეწეოდა. როდესაც მათ გაიგეს, რომ მემორიალურ დაფაზე ამოკვეთილი სახელი და გვარი ქალბატონის მეუღლეს ეკუთვნოდა, დაფა შინ შემოუტანეს, დერეფანიც მიულაგეს და უთხრეს: „თქვენი ქმარი მხატვარი ყოფილა, ესე იგი, უსათუოდ ზვიადისტი იქნებოდა. ჩვენც ზვიადისტები ვართ. კარი კარგად ჩაკეტეთ, ის ოხრები არ შემოგეპარონ“.

დღეს სახლ-მუზეუმში ძველებური წესრიგია, თუ არ ჩავთვლით იმ ექვს ჩარჩოს, რომლებიც შემზარავად ცარიელია კედლებზე განფენილი სილამაზის ფონზე. მაგრამ ომის დროს თავად შენობა დაზიანდა — კედლები დაიბზარა და კარ-ფანჯარამ დეფორმაცია განიცადა, რის გამოც ან ძნელად მოძრაობს, ან, სულაც, გაჭედილია. იატაკიც, როგორღაც, მიბრეცილ-მობრეცილია. თუმცა, ირგვლივ ისეთი სისუფთავე და მყუდროება სუფევს, რომ ამდენ სატკივარს თავდაპირველად ვერც კი შეამჩნევს სტუმარი.

ეს, რაც მუზეუმს შეეხება. თავად ქალბატონ ელენეს კი გაჭირვებით მეტად უჭირს: დღეს მისი ერთადერთი შემოსავალია პენსია, ხოლო ნივთები, რომელთა გაყიდვა შესაძლებლად მიაჩნდა ოჯახის დიასახლისს, სრულებით ამოიწურა. ქურდობის შემდეგ ქალბატონმა ელენემ გაყიდა ბროლის ორი ვაზა, მოვერცხლილი ბროლის ლანგარი, მაგიდის ორი გადასაფარებელი ექვს-ექვსი ხელსაწმენდით და საბნის ორი შალითა — ყველა ნივთი, ცხადია, ძველებური და ძვირფასი იყო.

ქალბატონ ელენეს საჩოთიროდ მიაჩნია საკუთარ გაჭირვებაზე საუბარი და მადლიერებით იხსენიებს ყველას, ვინც ყურადღებით ეკიდება მის პრობლემებს.

სიტყვამ მოიტანა და, ქალბატონმა ელენემ აღნიშნა, რომ აღდგომის შემდეგ ორჯერ მიირთვა ხორციანი სადილი. ვერც კი მივხვდი, მის აღქმაში ეს ბევრია თუ ცოტა. ასეა თუ ისე, მისთვის განსაკუთრებული ამ ფაქტში არაფერია, რადგან მშვიდად და მადლიერებით ეგუება ყველაფერს, რასაც განგება განუწესებს.

სხვათა შორის, კარგ ცხოვრებასთან ერთად, ქალბატონ ელენეს დიდი მატერიალური გაჭირვებაც უნახავს. „გამოგიტყდებით, პირველი რიგიანი ვახშამი ჩემი ქორწილის სუფრასთან მივირთვი, ჩემს ოჯახს ისე უჭირდა,“ — ბრძანა ჩემმა მასპინძელმა, დედით და მამით უაღრესად კეთილშობილური ჩამომავლობის ქალბატონმა. ასე რომ, ქალბატონი ელენე დალხინებასაც და გაჭირვებასაც მშვიდად ხვდება, რადგან სულიერი თვალი სულ სხვა სივრცისკენ აქვს მიპყრობილი.

მაგრამ ამ ზამთარს მის უსიამოვნებებს სერიოზული ტრავმებიც დაერთო: სიბნელეში წაიქცა, მარჯვენა ხელი მოიტეხა და თვალი სერიოზულად დაიზიანა. დღემდე ორივე სამკურნალოა. ხელი თითქმის უმოქმედოა (ასკურავასთან მკურნალობდა ცოტა ხანს, მაგრამ, საყოველთაოდ ცნობილია, რა ჯდება ეს „სიამოვნება“), ხოლო თვალის ოპერაციას 700 ლარი სჭირდება.

სხვათა შორის, ქალბატონი ელენე იმდენად ყოჩაღია, რომ მარცხენა ხელი და თვალი ორმაგად აამუშავა და დიდ პრობლემად არც ესახება თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მაგრამ, ცხადია, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ასე ცხოვრება მართლაც შესაძლებელია მარტოხელა ადამიანისთვის ქალბატონი ელენეს ასაკში.

ვიდრე ამ წერილს მოვამზადებდი, ორჯერ ვეწვიე ქალბატონ ელენეს. ჯერ იმან გამაოცა, რომ დიასახლისი დღესაც თამამად აღებს კარს — შეშინებულიაო, ვერავინ დააბრალებს. შემდეგ სახლ-მუზეუმში გამეფებულმა წესრიგმა დამატყვევა და არც ის მინდა გამოვტოვო, რომ ქალბატონ ელენეს პირველი შეხვედრისას ლია ფერის გამოსასვლელი კაბა ეცვა, მეორე შეხვედრისას კი — მუქი.

დასასრულს, არასრულ ჩამონათვალს შემოგთავაზებთ იმ ადამიანებისას, რომელთა სახელებიც (როგორც მეგობრების) საუბრისას მრავალჯერ ახსენა ქალბატონმა ელენემ: პავლე ინგოროყვა და მისი მეუღლე ქეთევანი, ნატო ვაჩნაძე, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, შალვა ნუცუბიძე, სერგი წულაძე, სოლიკო ვირსალაძე, ელდარ და გიორგი შენგელაიები, კობა იმედაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) და ილია მეორე. უდიდესი სიამოვნებით გაიხსენა ქალბატონმა ელენემ საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტთან მისი ოჯახის ძველი მეგობრობაც — მე კი დაწვრილებით მიამბო, მაგრამ საჯაროდ ამის შესახებ საუბარი უხერხულად მიიჩნია, ალბათ, ისევ თავმდაბლობის და მოკრძალებულობის გამო.

**ია ანთაძე**

P.S. როდესაც ქურდები ბინაში შეიჭრნენ, ქალბატონ ელენეს უთხრეს: „ნუ გეშინიათ, ჩვენ ქართველები ვართ და არ მოგკლავთ“. როგორც ჩანს, ქალბატონ ელენეს გული აუჩუყა და ყაჩაღების მიმართ ნდობა ჩაუსახა ამ სიტყვებმა, რადგან თითქმის ორი საათის განმავლობაში აბაზანაში რომ იჯდა ხელფეხშეკრული, ამას ფიქრობდა: „წაიღონ ყველაფერი, აფხაზეთში ყოველდღე უამრავი ვაჟკაცი იღუპება. მე, ხანშიშესული ქალი, ცოცხალი რომ ვრჩები, ამისთვისაც მადლობა უფალს“. მართლაც, მადლობა უფალს და ულრმესი მადლობა ყაჩაღებს იმისთვის, რომ ეს ერთადერთი პირობა პირნათლად შეასრულეს.

თემის გაგრძელება მე-8 გვერდზე



# სიტყვა-ყველას

დღესდღეობით საქართველოში ძალიან მომრავლდნენ სხვადასხვა სექტები, რომლებიც მატერიალური დახმარებით თვალს უხვევენ მოსახლეობას. ისინი აჯერებენ ხალხს, რომ მხოლოდ ისინი შეძლებენ მათ გადარჩენას. ამ სექტების მიმდევრები ქუჩებში დადიან და ავრცელებენ თავიანთ რელიგიას. ოჯახებშიც კი მიდიან, რათა თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ უვიცი და უსუსური ადამიანები. ხალხს კი, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან უჭირს. ზოგს პურის ფულიც კი არა აქვს. ამიტომ, ისინი გადარჩენის გზას სწორედ ასეთ სექტებში ეძებენ.

ნელი ასანიძე

* * *

საქართველოს საპატრიარქო დიდ დახმარებას უწევს უპატრონო ადამიანებს. კარის წმინდა გიორგის ეკლესიასთან გახსნილია უფასო სასადილო, სადაც ასობით მშიერი ადამიანი იყრის თავს. საპატრიარქოში გახსნილია, აგრეთვე, „მისია და ევანგელიზაციის" განყოფილება, რომელსაც სათავეში უდგას მეუფე ნიკოლოზი.

* * *

რამდენიმე წლის წინ ჩვენს ქალაქში მგზავრობა სახიფათო და ძნელი იყო. ტრანსპორტის ერთადერთი სახეობა — მეტრო მოძრაობდა და მისი ნდობაც რისკთან იყო დაკავშირებული — გვირაბში შესული მატარებლის მგზავრები, ზოგი იუმორით, ზოგი კი ნერვულად ელოდა სადგურში მშვიდობით გამოსვლას. შუქის წამიერი ჩაქრობაც კი მგზავრთა პანიკას იწვევდა. ყველაზე ძნელი გვირაბში ფეხით სიარული იყო. საბედნიეროდ, მე როგორღაც გადავურჩი მსგავს თავგადასავლებს და არ განმიცდია სიბნელეში ვირთხებთან ერთად „სეირნობის სიამოვნება".

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პესიმისტურად უყურებდა მომავალს და უარესს ელოდა, დღეს ტრანსპორტის პრობლემა, ჩემი აზრით, მოგვარებულად შეიძლება მივიჩნიოთ. ახლა მეტროში ჩასვლის ისე აღარ გეშინია, როგორც ადრე. მაგრამ, განა არ შეიძლება, ბოლომდე ისიამოვნო ადამიანმა? რატომ არ შეიძლება, შუა ზაფხულში მაინც, როცა 23 საათისთვის ღამის ბინდი ქალაქში ჯერ ახალი ჩამოწოლილია, მეტრომ თუნდაც 24 საათამდე იმუშაოს?

ია თელია

* * *

განუხებთ აბასთუმნის ქუჩის მცხოვრები ნანა ბურჯანაძე მინდა გაგიზიაროთ ამ ქუჩის მცხოვრებთა სატკივარი და გთხოვოთ დახმარება. ჩვენს ქუჩაზე გარე ვაჭრობის აკრძალვა არაფრით არ მოხერხდა. უამრავი ბრძანება და დადგენილება გამოიცა, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორების ნაცვლად, დღითი დღე მატულობს პრობლემები. ჩვენს ქუჩაზე ცხოვრება თითქმის შეუძლებელი ხდება. დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორია ნამდვილ ბუნკერად იქცა. ტრანსპორტის მოძრაობა ამ მონაკვეთში თითქმის ჩაკეტილია. ტროტუარზე ერთმანეთის გვერდით ყრია გასაყიდი და გაფუჭებული პროდუქტი. ანტისანიტარული მდგომარეობა კატასტროფულია. ეხლა ზაფხულია და ლამის გავიგუდოთ უსიამოვნო სუნის გამო, ბუზების, სხვა მავნე მწერების და მღრღნელების ჯარი გვყავს შემოსეული, მობინადრეებს ფანჯრები ვერ გაგვიღია. ქუჩიდან ეზოში შესასვლელები ლამის ჩაკეტოს ნაგვის გორაკებმა. ბაზარი არ გვეყოფოდა, ახლა ლამის ეზოებში დაგვისხდნენ ათასი ჯურის მყიდველ-გამყიდველი. ბავშვები ვერ გაგვიშვია ეზოში სათამაშოდ. ასე თუ გაგრძელდა, ადვილი შესაძლებელია, რომ აბასთუმნის ქუჩა ინფექციური დაავადების კერად იქცეს.

## ორთაჭალის ნაგავსაყრელთან გავლაც კი შეუძლებელია

რამდენიმე წელია, რაც თბილისის ძირითად ნაგავსაყრელად ორთაჭალა გადააქციეს. გაზაფხულიდან შემოდგომამდე ნაგავსაყრელის ახლო-მახლო მცხოვრებლებს სიცოცხლე გვაქვს გამწარებული ნაგვის სუნისგან. ნუთუ არ შეიძლება, რომ ვინმემ ჩვენს პრობლემაზეც იფიქროს. ვისაც ამ საქმის გადაწყვეტა ევალება, რამდენიმე დღე იცხოვროს ჩვენს პირობებში და მერე გაიგებს, რას განვიცდით ნაგავსაყრელის მახლობლად მცხოვრებნი.

მიშიკო ლომიძე

## სად გადავყაროთ ნაგავი?

თბილისის ქუჩები, თვით ქალაქის ცენტრშიც კი, ნაგვითაა სავსე. მოსახლეობისა და გამვლელების მისამართით ხშირად გამოითქმება საყვედური, რომ ისინი ქალაქს ანაგვიანებენ და არ უფრთხილდებიან მის პრესტიჟს. არადა, ძალიანაც რომ მოინდომოს კაცმა, სანაგვე ყუთის ნახვა ერთობ გაძნელდება. ამ პრობლემის გადაჭრა კი, არა მგონია, ძალიან ძნელი იყოს. თვითონ რაიონების ხელმძღვანელობასაც შეუძლია, რომ საკუთარი ბიუჯეტით იყიდოს სანაგვე ყუთები და საჭირო ადგილებში დაალაგოს. ამით ნაწილობრივ მაინც გადაიჭრება ნაგვის პრობლემა, მის კვალდაკვალ კი ბუზების, ვირთხებისა და მაწანწალა ძაღლების პრობლემასაც ეშველება. თუკი რომელიმე ადგილობრივი ქარხანა დაიწყებს თანამედროვე, დახურული სანაგვე ყუთების დამზადებას, რამდენიმე ათეული კაციც დასაქმდება და ნაგვის პრობლემაც მოიხსნება.

ჯემალ ვარდოსანიძე

## რა იქნა შავი პური?

დრო იყო, თბილისში ერთმანეთის გვერდით იყიდებოდა თეთრი, შავი თუ რუხი პური. მომხმარებელსაც შეეძლო თავისი გემოვნების მიხედვით აერჩია, როგორიც უნდოდა. დიდი ხანია, რაც მაღაზიებში შავი პური ძნელად სანახავი გახდა. არადა, ამ დალოცვილს თავისი მუშტარი ყოველთვის ჰყავდა და ახლაც ეყოლება. ნუთუ არ შეიძლება, რომ რომელიმე ქარხანამ შავი პურის ცხობაც დაიწყოს? ჩემი და ჩემი მეზობლების მაგალითით, შემიძლია დანამდვილებით გითხრათ, რომ მას აუცილებლად ეყოლება მყიდველი და ვინც ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს, კმაყოფილი დარჩება.

მიხეილ კანდელაკი

# ბაზარი ქალაქში თუ ქალაქი ბაზარში?!

საქართველოს მოსახლეობა შეეჩვია ბაზრებზე არსებულ განუკითხაობას. იმდენად ჩვეულებრივი გახდა დახლებზე უწესრიგოდ დაყრილი, დილიდან საღამომდე რკინის კავებზე დაკიდებული ხორცი და სხვა მალფუჭადი პროდუქტი, რომ დღეისათვის საუბარია არა იმაზე, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ბაზარი, რომ ცოტა მაინც დაემგვანოს ცივილიზებულ ქვეყნებში მიღებულ ვაჭრობის ანალოგიურ ობიექტებს, არამედ იმაზე, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით ვაჭრობის ადგილებში დაცული უნდა იყოს ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები(?!)

აღმოჩნდა, რომ ბაზრებზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, ძირითადად ერთი და იგივე მდგომარეობაა — ანტისანიტარია, ღია ცის ქვეშ დაყრილი მალფუჭადი პროდუქტი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უსისტემოდ მოვაჭრეები...

გამონაკლისი არც ნავთლუღის ბაზარია, თუმცა ჩვენ არც იმის აღნიშვნას გავქცევივართ, რომ მისი მიმდებარე ტერიტორია შედარებით მოწესრიგებულად გამოიყურებოდა.

წერილში, „ნავთლუღის ბაზარს გაკოტრება ემუქრება", აღვნიშნავდით, რომ ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, რომელზეც განუკითხავი ვაჭრობაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, იჯარით აქვს აღებული „მავანს" და ვიმედოვნებდით, რომ იგი თვითონ გამოჩნდებოდა საქმის არსში უკეთ გარკვევის მიზნით.

ორშაბათს რედაქციაში მობრძანდა ბატონი ჯუმბერ ბარამიძე, რომელიც თურმე ყველა წესის და რიგის დაცვით ფლობს ნავთლუღის ბაზრის წინ მდებარე მეველეს ქუჩის ტროტუარის ნაწილს, სადაც კედლის გასწვრივ გაყოლებულია დახურული ტიპის დახლი არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობისათვის (საზამთროსა და ნესვის გარდა, რადგან მისი მოვაჭრეები ავტომანქანების ძარებიდან ვაჭრობენ და მათი დაყენების უფლება ჯ.ბარამიძეს კანონით აქვს).

ობიექტურნი რომ ვიყოთ, ვთქვათ ისიც, რომ ჯუმბერ ბარამიძეს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯ.დ.კ."-ს მეველეს ქუჩის მარჯვენა მხარე და მეველეს ჩიხი დაუკანონდა ავტომანქანების დასადგომად, ბაზრის კედლის გარედან დახურული დახლების გასნათავსებლად და კონტეინერული ტიპის შემნახველი საკნების მოსაწყობად ისნის გამგეობის 1995 წლის 18 აგვისტოსა და ქალაქის მერიის 1995 წლის 21 სექტემბრის განკარგულებების საფუძველზე.

იჯარა გაფორმებული და შეთანხმებულია ყველა ორგანოსთან, რომელთაც ეხებათ ამგვარი საკითხების გადაწყვეტა.

როგორც ბატონმა ჯუმბერმა ბრძანა და მერიის დადგენილებაშიც მითითებულია, განკარგულებები გაცემულია ნავთლუღის მიმდებარე ტერიტორიაზე სათანადო წესრიგის დამყარების მიზნით, სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 20 ივლისის №105 ბრძანებულების შესაბამისად.

მისივე განმარტებით, სასოფლო სამეურნეო და მალფუჭადი პროდუქტებით მოვაჭრეები მის ბაზრობას არ ეკუთვნიან და არც არაფერს იხდიან, რადგან მათი უმრავლესობა ლტოლვილია და უკიდურესი ზომების გატარება პოლიციასაც უჭირს. მიუხედავად ამისა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯ.დ.კ"-ს ხელმძღვანელობამ, ჩვენი სტატიის შემდგომ, არსებული მდგომარეობის ნაწილობრივ გამოსწორება სცადა.

ნათქვამის სისწორეში დასარწმუნებლად, დილითვე ვინახულეთ ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია.

სიტუაცია, იმ;ამად მართლა დამაკმაყოფილებელი იყო. ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მაქსიმალურად იყო აღკვეთილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოვაჭრეთა რაოდენობა, თუმცა მემწვანილეები მაინც ცდილობდნენ აქა-იქა დარჩენილი ცარიელი ადგილების დაკავებას.

გასაუბრების შემდგომ აღმოჩნდა, რომ მათ უმრავლესობას ბაზარში შესვლა საერთოდ არ უცდია, რადგან არ სურთ გადაიხადონ დახლთან დგომის დაწესებული საფასური — 2 ლარი...

მინაწერის მაგიერ: ბატონი ჯუმბერ ბარამიძე შეეცადა გავერკვიეთ სიტუაციაში. უნდა ითქვას — დარწმუნებულიც ვიყავით — იგი ამ ტერიტორიას უკანონოდ ვერ დაიკავებდა, ამიტომაც გაკეთდა აქცენტი იმ ორგანოებზე, რომლებმაც ეს უფლება გასცეს.

წერილში მინიშნებუ...
და პოზიციას არც ახლ...
ლით — სანტექნიკური ნ...
ბით ვაჭრობის დამატები...
ლების მინიჭება, ტროტუ...
იჯარით გაცემა მაშინ,...
არსებობს ბაზარი, არც ...
ვილიზებული ფორმაა. ...
იყოს, როგორც ვნახეთ, ...
არზე ვაჭრობის კანონი...
ბამ სიტუაციის გაუკონტ...
ლობა გამოიწვია — ...
მოვაჭრეებს დაემატნენ...
ნოდ მოვაჭრეები, რომ...
ბრძოლა, ბაზრის დირექც...
არა, პოლიციასაც უჭირს.

ჩვენ არ ვიჩემებთ, რ...
რიკა აღმოვაჩინეთ, არც...
ჯუმბერთან გვაქვს განსა...
ბული პრეტენზია, მაგრა...
ტია, ამგვარი ქაოსური ვა...
გამო, მიუხედავად კეთილ...
ნისა — მოწესრიგდეს ბ...
რიტორიაზე ვაჭრობის ...
— იქმნება საშიშროება, ...
რებელს მიეწოდოს ვადაგ...
ჯანმრთელობისთვის ...
პროდუქტი, რადგან ტერ...
ის დაცვა მალფუჭადი, შ...
მებელი პროდუქტით მო...
ბისგან ამ ეტაპზე შეუძ...
გახდა.

თუ რომელიმე შეზღ...
პასუხისმგებლობის საზ...
ბას (ამ შემთხვევაში შპს ...
ს) ეძლევა არასასოფლო-...
ნეო პროდუქციით ვაჭრო...
კითხის მოგვარების უ...
შას პოლიცია უნდა ეხმარ...
ამ შემთხვევაში კი, რ...
ადგილზე მოვაჭრეებმა გა...
პოლიციას არანაირი ფუნ...
აკისრია. ან შესაძლოა, ...
ბული კი აქვს ბაზრის მი...
ტერიტორიის განწმენდა...
რად მოვაჭრეებისგან, ...
თავს ადვილად იმართლებ...
ვქნათ, ადამიანებს პურის...
შოვნის საშუალებას ს...
მოვუსპობთო...

რედაქციის პოზიცი...
— ადამიანებს ვაჭრობის...
ლება უნდა მივცეთ, მით...
დღეს, როცა მოზღვავებუ...
ფლის პროდუქტი და მი...
ლება პრობლემაა, მაგრა...
დავიცვათ გარკვეული ...
რიგი, რის მიხედვითაც მ...
ნი ბაზრის ტერიტორია...
შევიდნენ, რათა ცივილ...
ნესით, შემოწმებული ...
ციით ივაჭრონ და მომხმ...
მოწამვლის საშიშროება ...
ავიცილოთ.

# დავისხათ თავზე ლაფი და ზედ ნაცარი წავიყაროთ?

გაზეთ „კავკასიონის" მკითხველს საშუალება ეძლევა, გაეცნოს მასალას ცნობილი ქართველი მხატვრის ირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმის შესახებ. ამ სახლში მომხდარი ძარცვა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და გახმაურებულია ბოლო წლების მსგავს მოვლენებს შორის.

ერთი საკითხია, რომ სახელმწიფომ ყოველი მოქალაქე უნდა დაიცვას — ამას, არ ვიცით, ჩვენი სახელმწიფო როდის მოახერხებს. მაგრამ მეორეა, რომ საზოგადო განძი, საუნჯე განსაკუთრებული ზრუნვის საგნად უნდა იქცეს — ამის მომავლისთვის გადადება უმძიმეს შედეგებს გვიქადის.

ირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმში დატრიალებული შემზარავი ამბავი ბევრ საზოგადო პრობლემას ამხელს. ამ პატარა ბინაში მოთავსებული განძის დაცვა გაცილებით მცირე თანხებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე დაკარგული ნივთების პოვნას დასჭირდა და ჯერ კიდევ დაკარგული ნივთების მოძიებას დასჭირდება. და თუ ეს ნივთები ვერ მოიძებნა, მაშინ ზარალი განუზომლად მოიმატებს. ეს პოზიცია უკვე ნაგებულია და მსჯელობა, სამწუხაროდ, post factum გვიხდება.

სხვათა შორის, ორიოდე კვირის წინ „კავკასიონი" წერდა მესტიის უნიკალურ მუზეუმზე, რომელსაც სასწრაფოდ ახალი შენობა ესაჭიროება. თუ კვლავ დახავსებული აზროვნების მდორე დინებას გავყვებით, ვიდრე ახალი შენობისთვის თანხას გავიმეტებთ, ღმერთმა ნუ ქნას, ათასჯერ მეტად შეიძლება ვიზარალოთ.

გარდა ამისა, განა ირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმის დღევანდელმა პატრონმა არ დაიმსახურა (უფრო სწორად, რით ვერ დაიმსახურა), რომ ხელისუფლებამ საქმის კურსში მაინც ჩააყენოს მის პირად ნივთებთან დაკავშირებით?

ვის აქვს უფლება, პატრონის გარეშე გადაწყვიტოს, სად უნდა ინახებოდეს მისი ქონების ნაწილი?

ან, იქნებ, ეს ქონება ზოგჯერ კერძოა (სანამ პრინციპულად ჯერ კიდევ არავის აინტერესებს) და ზოგჯერ — საზოგადო (როცა მავანს დააინტერესებს)?

რა ფაქტორებმა შეიძლება ათი თვის განმავლობაში გააჯანჯლოს ნაპოვნი ნივთების პატრონისთვის დაბრუნების მარტივი...
დურა?

დაბოლოს, ...
ხელმწიფო ...
იტოვებს, უპრ...
ჩაიბაროს ო...
მთელი მუზეუ...
ამ მუზეუმის ...
წინაშე არავი...
ვალეობა არ ...
აჩნდეს?

ან, იქნებ, ...
ლებას არ იმ...
მარტოხელა უ...
ლბატონი, რ...
არაფრად ...
„ჭკვიანების" ...
ყველაფერი გ...
მოიხმარე, მ...
მაინც აღარა...
ლისო!

თუ ამ კი...
სწრაფოდ არ ...
სუხი საქმით ...
სიტყვით, მხ...
ლაფდასხმა წ...
ნას კიდევ ...
მოუწევს (ილ...
მუზეუმიც არ ...
წყდეს!).

## ...ლენიფო ...ვრიდან ინყება

[illegible]

ლი, თუ ლარი ცხინვალის რეგიონშიც მოქმედებს, მაშ რა ხდება? რატომ ვერ მოგვარდა ეს პრობლემა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, რატომ იბრმავებენ თვალს დარიალი-ნატახტარის გზაზე საქართველოს სახელმწიფო იურისდიქციის დამცველი ორგანოები?

ისიც უნდა ითქვას, რომ სასაზღვრისპირა ზოლში განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ატრიბუტიკის დაცვა, რათა უცხოელი საზღვარზევე მიხვდეს ღირსების მქონე სახელმწიფოში სტუმრობას.

რადგან ჩრდილოეთიდან მომავალი კაცისთვის საქართველო დარიალის საბაჟოსთან ინყება და არა ნატახტართან, კეთილი ინებონ იმ ბატონებმა, ვისაც ეს ეხება და იქვე, დარიალთან მიახვედრონ სტუმარი, რომ საქართველოს სახელმწიფო მიწაზე დაადგა ფეხი, ხოლო ჩვენ მოქალაქეებს შეახსენონ, რომ ეს მათი სახელმწიფოა და მისი ქვეშევრდომობის მსურველებმა აუცილებლად უნდა დაიცვან მისი კანონები.

P.S. მინისტრთა კაბინეტის ბოლო სხდომაზე პრეზიდენტმა იხუმრა — აქტიურად მიმდინარეობს ქართულ-ოსური შერიგების პროცესი, ცხინვალში ქრთამს უკვე ლარებით იღებენო. მით უფრო გასაკვირია, რომ ნატახტარი-დარიალის მონაკვეთზე ქრთამს რუსული რუბლებით იღებენ, რაც ეროვნული მექრთამეების პატრიოტობაზე არ მეტყველებს.

## მოლოდინაშვილი ჟურნალისტებთან შეხვედრას ითხოვს

ნუგზარ მოლოდინაშვილის ქართველ ჟურნალისტებთან შეხვედრა გადაულახავ პრობლემად იქცა. გიორგი ხოშტარიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მოლოდინაშვილს კარგად იცნობს და თუ მოთხოვნა არ შეუსრულეს, შიმშილს არ შეწყვეტს. ამ ფაქტისადმი მოსამართლე ალადაშვილის გულგრილი დამოკიდებულება გასაკვირი არაა, რადგან იგი დიდი ხანია უგულებელყოფს მოლოდინაშვილის მოთხოვნებს, რამაც განაპირობა კიდეც შიმშილობის დაწყება, მაგრამ სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ განსასჯელის შიმშილით სიკვდილი უარყოფითად იმოქმედებს მართლმსაჯულების პრესტიჟზე და არც ისაა გამორიცხული, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის მღელვარების საბაბად იქცეს. მითუმეტეს, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, მერაბ კოსტავას ეზოში მოლოდინაშვილის მხარდამჭერთა მჯდომარე აქცია დაიწყო.

ადვოკატის მტკიცებით, მოლოდინაშვილისთვის ბრალდება არც ერთ მოწმეს არ დაუდასტურებია და კითხვაზე, უნახავთ თუ არა მოლოდინაშვილი, ყველა მოწმემ უარყოფითი პასუხი გასცა. ეს კი უფრო მეტად ძაბავს ვითარებას და გაურკვევლობასა და ბუნდოვანებას წარმოშობს. თუკი კანონმდებლობა მინიმალურ საშუალებას მაინც იძლევა, ყოველნაირად სასურველია, სასამართლომ მიიღოს ზომები და მოლოდინაშვილს პრესასთან შეხვედრის ნება დართოს.

ბოლოს და ბოლოს მართლმსაჯულებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს, რა აქვს განსასჯელს ჟურნალისტებისთვის ისეთი სათქმელი, რასაც უმკაცრესი სასჯელის შიშითაც კი არ ამბობს სასამართლოზე.

## ...როცა პასუხს არავინ აგებს, ...ს უპასუხისმგებლობა ეწოდება

[illegible]

პექტი წარმოაჩინა: აღმასრულებელი ხელისუფლება და მუნიციპალური სამსახურები პასუხს არ აგებენ სააქციო საზოგადოება „აგროინვესტის" მიერ შემოტანილ და გასაღებულ პროდუქციაზე. თავის მხრივ, „აგროინვესტს" ვალდებულება აღებული აქვს მარნეულის წისქვილკომბინატის და არა თბილისის წისქვილკომბინატების პურის ქარხნების დირექტორების წინაშე. ამ დასკვნების საფუძველზე მეწარმე და მომხმარებელი ჰაერში გამოკიდებულნი დარჩნენ.

ქვეყანაში რომ საჭირო ხორბლის რეზერვი არ არსებობდა, ეკონომიკის სამინისტრომ რომ არასწორად დაანგარიშებული პურის ფასები და რენტაბელობა მიაწოდა „რეკომენდაციად" მეწარმეებს, შიდა ბაზარზე მონოპოლისტი ფირმა რომ გაჩნდა და ალტერნატივის შესაძლებლობა გამოირიცხა, მერიამ გაფართოებულ თათბირზე უხარისხო ხორბლის გადამუშავებაზე თანხმობა რომ გაცა, ამაზე პასუხს არავინ აგებს. რატომღაც არავინ განმარტავს, სად წავიდა ბიუჯეტიდან ხორბლის რეზერვის შესავსებად გამოყოფილი თანხა? რატომ დაუფიქსირეს ხატყვიერად მეწარმეებს ფასები? რატომ არ მიეცა ყველა დაინტერესებულ პირს ხორბლის ან ფქვილის ქალაქში შემოტანის საშუალება? თუკი „აგროინვესტი" სააქციო საზოგადოება და კერძო სტრუქტურაა, რატომ ჩაერივნენ მისი პარტნიორის შერჩევაში „უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები", რომელთაც, „აგროინვესტის" ხელმძღვანელების თქმით, ფაქტობრივად, იძულებული გაუხდიათ ისინი, შეეძინათ დაბალი ხარისხის ხორბალი და რადგან ჩაერივნენ, რატომ არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ „უმაღლეს ეშელონებს" „აგროინვესტის" მოქმედებაზე?

პურის ფასების ლიბერალიზაციის პროცესის ამჟამინდელი განვითარება ყველა საფუძველს იძლევა, ითქვას, რომ პურზე ფასები მოუმზადებლად გათავისუფლდა. ყველამ იცოდა მოსალოდნელი ჩიხური სიტუაციის შექმნის შესახებ და ერთმანეთის წამხედურობით არ გაამჟღავნეს მოსალოდნელი საფრთხე. პრეზიდენტის, საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე იმის აღიარება, რომ რეფორმის განხორციელება მდგომარეობის რეალობიდან გამომდინარე ნაადრევია, აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების ბევრ წარმომადგენელს საკუთარი სკამის და გავლენის დაკარგვას უტოლდება და, ალბათ, ეს არის პრობლემის ამოსავალი წერტილი.

სიდღეისოდ ყველა ცდილობს პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრენას, თათბირების, პრესკონფერენციების კორიანტელი კი დადგა, მაგრამ ნებისმიერ ოფიციალურ შეხვედრაზე კონკრეტული პასუხისმგებელი პირი თუ ორგანიზაცია მაინც უჩინარია.

29 ივლისს სააქციო საზოგადოება „აგროინვესტში" გამართულ პრესკონფერენციაზე და მერიაში პურის საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებულ თათბირზე ცალსახად აღინიშნა, რომ პრესა არაობიექტურად აშუქებს საკითხებს, მცდარ, სუბიექტურ ინფორმაციას ავრცელებს, განზრახ ამწვავებს სიტუაციას. ე.ი. დამნაშავეა, ვინც წერს კუ ბალღინჯოთი დაავადებული ხორბლის შესახებ და არა ის, ვინც მისგან გამომცხვარ პურს სთავაზობს მოსახლეობას.

გამოდის, რომ დამნაშავე მხოლოდ მომხმარებელი და პრესაა. რადგან ერთს არ სურს უდაბლესი ხარისხის პურის ჭამა, მეორეს კი ეს საჯაროზე გამოაქვს. ტრაბახით არ ითქმის, მაგრამ სწორედ მასმედია და მომხმარებელი მოეკიდა სრული პასუხისმგებლობით პურის ფასების ლიბერალიზაციის პროცესს, მაშინ, როცა „უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებს" დაავიწყდათ, რომ თუ საკითხზე კონკრეტულად პასუხს არავინ აგებს, ამას უპასუხისმგებლობა ეწოდება.

ვინ არიან ეს ანონიმური „უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები", რასაკვირველია, ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ არ დასახელდებიან, თუმცა, ყველაფრიდან ჩანს, რომ უხარისხო ხორბლის შემოტანის მთავარი მიზეზი, არა გამოუცდელობა ან მიამიტობაა, არამედ „უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლების" (რომლებმაც უმასპინძლეს მათთვის სასურველ ფირმას) და კერძო სტრუქტურების (რომელთაც მისგან შეიძინეს ხორბალი) ერთმანეთში მჭიდროდ გადახლართული ინტერესებია.

როგორც „აგროინვესტის" ხელმძღვანელები აცხადებენ, მათ შეიძლება გაიმარჯვონ, რადგან ფრანგულმა მხარემ აღიარა, რომ კონტრაქტი უხეშად დაარღვია. გამარჯვება, ალბათ, კომპენსაციასაც გულისხმობს. როგორც ჩანს, ფრანგული ფირმაც არ დარჩება ზარალში, სხვაგვარად დაუჯერებელია, რომ ამგვარ მარტივ აფიორაზე დათანხმებულიყო. ვინც ნამდვილად წააგო, საქართველოს მოსახლეობაა, რომელიც იძულებული იყო „აეთვისებინა" უხარისხო ფქვილი, რომელსაც, რადგან განგაში ატყდა, გვპირდებიან, რომ უახლოეს ხანებში უმაღლესი ხარისხისაც ფქვილსაც შეურევენ.

## სიტყვა-ყველას

ამ ორი კვირის წინ ყოფილი საბჭოს ქუჩაზე გამოჩნდნენ საგზაო სამსახურის თანამშრომლები, რომლებმაც გზის შეკეთების მიზნით ქუჩა პნევმატური ჩაქუჩებით გადათხარეს და მერე, იმის ნაცვლად, რომ ყველა თხრილი ამოევსოთ, ძირითადი ნაწილი ოთხკუთხად ამოღრუებული დატოვეს. არის ახლა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მანქანების ძარების რახა-რუხი, რადგან ყოველ ერთ მეტრში ამგვარი ორმოებია.

საინტერესოა, რა სამუშაოს შესრულებაში ეთვლება საგზაო სამსახურს ქუჩების გადათხრა და მიტოვება?

აკაკი ძებისაშვილი

* * *

თბილისში ბოლო დროს მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა ელექტროენერგიით მომარაგების პრობლემა. სამწუხაროდ, ეს არ გვეხება ჩვენ — ცოტნე დადიანის №34 კორპუსის (მეტრო „ნაძალადევის" გვერდით) მცხოვრებთ. როცა მთელი ქალაქი გაჩახჩახებულია, ჩვენს უზარმაზარ კორპუსში უკუნი სიბნელე სუფევს. გვიფუჭდება სიმწრით ნაშოვნი პროდუქტები.

ჩვენი კორპუსელების ძალისხმევა ამ უცნაური მოვლენის ასახსნელად მუდამ კრახით მთავრდება — პასუხს არავინ გვაძლევს.

კორპუსის მცხოვრებლები

* * *

ცნობილია, რომ დღეს საბიუჯეტო ორგანიზაციები მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებიან, მაგრამ ის, რაც რეალურად ხდება, მოთმინების ყოველგვარ ზღვარს გადასცდა.

ის 6 ლარიც კი, რომელსაც შრომისთვის გვიხდიან, ძნელი ასაღები გახდა. ამიტომაცაა, რომ ქუჩაში მოსიარულე ადამიანთა უმეტესობა მხოლოდ მეტროს ღირებულების, 10 თეთრის ამარა გამოდის სახლიდან.

მაინტერესებს — რატომაა გაძნელებული ჩვენი კუთვნილი ხელფასების ბანკიდან გამოტანა? როგორც ვიცი, ზოგიერთ დაწესებულებას, კონკრეტულად — სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც საბიუჯეტო ანგარიშზე იმყოფებიან, 6-7 თვეა ხელფასი არ მიუღიათ.

ლია ბელიანიძე

* * *

თბილისის, განსაკუთრებით ძველი უბნების მოსახლეობა, ვირთხებმა დაგვჭამეს.

ადრე დადიოდა სანეპიდსამსახურის ჯგუფი, რომელიც მართლა დიდ საქმეს აკეთებდა და გვაძლევდა რაღაც წამალს (ან თვითონ ყრიდნენ); დღეს, არამცთუ ადგილზე მომსახურება, თვით სანეპიდსადგურში მისვლითაც ვერაფერს გახდებით, იმიტომ, რომ წამალი არა აქვთ.

იქნებ წვრილმანად გეჩვენოთ, მაგრამ, ვფიქრობ, ისევ უნდა აღდგეს ეს სამსახური.

ხომ არ შეიძლება ვირთხებს დავაჭმევინოთ თბილისი?

მარბო დიდიძე

გოცირიძის ქუჩის მცხოვრები

* * *

დაავადებული ვარ დიაბეტით, მთელი ქალაქი რომ შემოიარო, დიაბეტურ პურს გასაყიდად ვერსად ნახავ. რატომ გაქრა მაღაზიებში დიაბეტური პური? ვის ევალება ამ სპეციფიკური პროდუქციის გამოშვება, ვის ევალება ამ საკითხის მოგვარება?

ლევან მოლებაძე

* * *

თევდორე მღვდლის და აბასთუმნის ქუჩების გადაკვეთაზე თითქმის ერთი წელია გადათხრილია ტრანსპორტის სავალი გზა და ყრია სამშენებლო ბლოკები. მოძრაობა ჩაკეტილია ვაგზლის მოედნამდე. რაიმე სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოები არ მიმდინარეობს. გამაგებინეთ, რაშია საქმე?

იაგო დავითულიანი

## „მატადორი" თუ სატანჯველი?

იმ ფაქტს, რომ თბილისში ბევრი გასართობი დაწესებულება გაიხსნა და დედაქალაქს სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო, მივესალმები და საპრეტენზიოც არაფერი უნდა მქონდეს, რომ არა ერთი გარემოება: მეტრო „დელისის" მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლებს მოსვენება დაგვიკარგა ღამის კლუბ „მატადორიდან" გვიან ღამიდან გამთენიამდე გამომავალმა ხმამაღალმა, მძიმე როკის თუ მისი მსგავსი ჟანრის მუსიკებმა. კორპუსის მცხოვრებლებს შუაღამისას თავი სტადიონზე გამართულ დისკოტეკაზე უფრო გვგონია, ვიდრე საკუთარ კომფორტაბელურ ბინებში.

ჩვენს სატანჯველს კიდევ შუა პროსპექტზე კლუბში შეზარხოშებულთა ღრიანცელი და აყალმაყალი ემატება და ვართ ასე — ყოველ ღამით „სასიამოვნო კონცერტის" მოლოდინში.

ხომ შეიძლება ასეთი ღამის კლუბები ან ქალაქის განაპირა უბნებში განათავსონ, ან კლუბის მესვეურებმა მეტი მოკრძალება იქონიონ მაცხოვრებლების მიმართ, ბოლოსდაბოლოს კორიდის ხარები ხომ არა ვართ.

ლევან თოფურია

რედაქტორ-გამომცემლები
პასილ მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე
პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი

მორიგე რედაქტორი სოზარ სუბელიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.

# სიმართლისთვის

## „ჭეშმარიტებას იქა აქვს დასაბამი, საიდანაც ვარსკვლავიანი ცა დაგვყურებს“!

მერაბ მამარდაშვილი

გაზეთ „შანსში“ (№77) გამოქვეყნდა ბ-ნ ლევან ხანიკიძის წერილი სათაურით „კონდოტიერები“, რომლის კრიტიკის საგანია რობერტ სტურუა და მერაბ მამარდაშვილი. ჩვენც ვიცნობთ მათ მოღვაწეობას და თავს უფლებას ვაძლევთ, ვთქვათ, ეს კრიტიკა რამდენადაც წრფელია, იმდენად ტენდენციურია. რობერტ სტურუას დადგმებს, ასევე მამარდაშვილის აზრებს, ბევრი სიხარული მოუტანია ჩვენთვის. კამათიც გვქონია მათთან, მაგრამ მათ პატრიოტობაში ეჭვი არ შეგვიტანია, მათი შემოქმედების უშუალო აღქმა ამგვარი დაეჭვებისთვის საბაბს არ იძლეოდა. მაშ, რას ეფუძნება დღეს მათი კონდოტიერებად (დაქირავებულებად) გამოცხადება?

ჩვენ ასე გვწამს: რომელ ქვეყანაშიც არ უნდა დადგას რობერტ სტურუამ სპექტაკლი, მისი დადგმა სტილით („სტილი ადამიანია“) ყოველთვის ქართული იქნება. და თუ დადგმამ გაიმარჯვა, არც ერთ საზღვარგარეთელ თეატრალს აზრად არ მოუვა, ეს გამარჯვება იმავდროულად ქართული კულტურის გამარჯვებად არ მიიჩნიოს. როცა გერმანელმა ანკე როტერმა (ხელოვნებისმცოდნე) „ცარცის წრე“ ნახა, თქვა: „ჰო, ეს მგონი, ბრეხტია, მაგრამ უფრო ქართული, ვიდრე გერმანული“. „კავკასიური ცარცის წრე“ როტერმა სამჯერ ნახა ზედიზედ.

ამას წინათ, მოსკოვიდან რობერტ სტურუას სპექტაკლი „მაკბეტი“ აჩვენეს. წინასიტყვაობაში პატივისცემით მოიხსენიეს ქართული თეატრალური კულტურა და ამ კულტურის ბუნებრივი შედეგი — რობერტ სტურუას შემოქმედება. ვისმენდით კეთილ სიტყვებს და ეროვნული სიამაყის გრძნობა გვეუფლებოდა. ეს ხომ ქართული კულტურის წარმატება იყო?

საზოგადოდ კი, ნიჭიერ ხელოვანს სჭირდება ასპარეზი მსოფლიო მასშტაბით. კულტურის ექსპანსია მიმგებიანია, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც ჩვენია, რომელიც მძიმე მდგომარეობაშია და საჭიროებს პროპაგანდას. სტურუა კონდოტიერი კი არ არის, უპირველესად, თავისი ქვეყნის ღირსეული პროპაგანდისტია.

ესეც უნდა ითქვას, საზღვარგარეთ სარბიელი ყველასთვის (ვისაც ამის სურვილი აქვს) მისაწვდომი არ არის, ყველგან სასტიკი კონკურენციაა, ამიტომ უსაფუძვლოდ იმათი პატრიოტობაზე ლაპარაკი, ვინც თავის ქვეყნის ფარგლებიდან ვერ გადის, ისევე უმართებულოა, როგორც უსაფუძვლოდ იმათი არაპატრიოტებად გამოცხადება, ვინც გადის და ასპარეზს პოულობს.

რასაკვირველია, რობერტ სტურუა საზღვარგარეთის ყველა მოწვევას როდი იღებს სიხარულით, მაგრამ იძულებულია. რა ქნას, ოფლით პოულობს ლუკმას, მაგრამ არა მხოლოდ თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც, რომელთა შორის არიან მოხუცები, ავადმყოფები, ბავშვები და ლტოლვილებიც. „როცა შენ გშია, ეს მატერიალური საკითხია, მაგრამ როცა შია სხვას, მოყვასს შენსას, ეს უკვე სულიერი საკითხია“ (ქადაგებიდან).

კიდევ ერთი მაგალითი: 20 ივლისს ატლანტაში ოლიმპიადისადმი მიძღვნილი ზეიმის შემდეგ მოსკოვის ტელევიზიამ ჩართო მორიგი პროგრამა — „ტრიუმფი საფრანგეთში“. არ ვიცოდით, რა ტრიუმფზე იქნებოდა საუბარი და კინაღამ გამოვრთეთ ტელევიზორი, რა უყურებს ახლა ტელევიზორს ატლანტის გრანდიოზული სანახაობის შემდეგ-თქო. ვცდებოდით. აჩვენეს ფილმი, რომელიც ეძღვნებოდა პარიზში ხელოვანთა ტრიუმფის ლაურეატებს. ექვსი ტრიუმფატორიდან ორი ქართველი იყო: ბალერინა ანანიაშვილი და კინორეჟისორი იოსელიანი. მსახიობმა ტაბაკოვმა უპირველესად ანანიაშვილი ახსენა: ანანიაშვილის გამოსვლა ხელოვნების ნამდვილი ტრიუმფი იყოო. აჩვენეს ორი ფრაგმენტი. ვუყურებდით ღვთაებრივ ანანიაშვილს და ჩვენს თვალებში სიხარულის ცრემლი იდგა. ეს იყო ქართული ხულის დღესასწაული. და ეს ბუნებრივიც არის: აკი გვითხრა ანანიაშვილმა, — ცხოვრებაშიც და სცენაზეც მე მხოლოდ ჩემ სამშობლოზე ვფიქრობო.

ეს ეხებათ ჩვენთან თავის დროზე შერისხულ ლიანა ისაკაძეს, პაატა ბურჭულაძეს და სხვებს.

ბატონმა ლევანმა სტურუას ადრეც წაუყენა ბრალდებები, ახლა უბრალოდ გაუმეორა: ვფიქრობ, სტურუადან მან ხიდი გადო მამარდაშვილისკენ. მამარდაშვილს სჩვებიც ესხმიან თავს, ვერ უპატიებიათ გახმაურებული ფრაზა: — ჭეშმარიტება თვით სამშობლოზე მაღლა დგას! იმისთვის, რომ ნათელი გახდეს სულიერი მდგომარეობა მამარდაშვილისა, რომელმაც ეს ფრაზა წარმოთქვა და სიტუაცია, რამაც წარმოათქმევინა, საჭიროდ მიგვაჩნია, ახლო წარსული გავიხსენოთ. ბ-ნ მამარდაშვილს ჰქონდა სათქმელი თავის ხალხისთვის, განსაკუთრებით — ახალგაზრდებისთვის, ამიტომაც დატოვა მოსკოვი და მოაშურა თბილისს, სადაც ის მარსელ პრუსტის შესახებ ლექციების კურსს უკითხავდა სტუდენტებს. სხვათა შორის, ამ ლექციების წიგნისთვის მას (სიკვდილის შემდეგ) საფრანგეთის უკვდავთა აკადემიამ სპეციალური პრემია მიანიჭა, რომელიც ამ აკადემიის წევრმა მწერალმა მორის დრიუონმა ჩამოიტანა. ამის შესახებ იყო ცნობები გაზეთებში: „იზვესტიაში“, „ქართულ ფილმში“ და სხვაგანაც.

მამარდაშვილი ჩაება პოლიტიკურ დებატებში. თავს მოვალედ რაცხდა, ეთქვა, რასაც გრძნობდა, განიცდიდა. სახალხო ფრონტის ერთ-ერთ სხდომაზე (კინოს სახლში) მან საბჭოთა ხელისუფლებას კომპრომისისკენ მოუწოდა: „ხელისუფლებამ **უნდა გაათავისუფლოს ინფორმაციის საშუალებები**, ამით ის თავსაც გაითავისუფლებს იმ დამამცირებელი მდგომარეობიდან, რასაც ხელისუფლების უზურპაცია ჰქვია და თანაბარ პირობებს შექმნის დიალოგისთვისო“.

აქ ჩანს მამარდაშვილის შინაგანი კულტურა და რეალობის გრძნობა. მაგრამ მისი მოწოდება რადიკალისტებმა მიიღეს, როგორც დაღლილი ინტელიგენტის ლიბერალიზმი, გადაჭარბებული სიფრთხილე და სხვა. ვინც იცნობს მამარდაშვილის მოღვაწეობას, მან კარგად იცის, აზროვნების სფეროში რაიმე სიფრთხილეზე ლაპარაკი გამორიცხულია, მაგრამ რეალური პოლიტიკა სხვა არის. რადიკალისტები კი ისე ხელაღებით წყვეტდნენ ნებისმიერ პრობლემას, თითქოს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ. რაც მთავარია (ეს თითქოს პარადოქსია), ვერ იტანდნენ განსხვავებულ აზრს. იყო ერთი გაწევ-გამოწევა, ნაღვარი ფრაზებისა, დამამცირებელი ეპითეტებისა. იყო ექსტაზიც! ჩვენც განვიცდით ეს ექსტაზი, მაგრამ ნახტომისგან ყოველთვის რაღაც გვიცავდა, იქნებ განგება, იქნებ ფიზიკური მდგომარეობა ან იქნებ თანდაყოლილი ესთეტიზმი?

ერთხელ მამარდაშვილმა დატოვა დარბაზი, პირადად არ ვიცნობდით, მაგრამ გავყევით. ძლიერ აღელვებული ჩანდა, საკუთარ თავს რაღაცას ელაპარაკებოდა. ერთმა ქალბატონმა (ჩვენთვის უცნობმა) დამშვიდება დაუწყო. მამარდაშვილმა ნერვულად თქვა: „არა, არა, როგორც ჩანს, კვლავ მარტოობას უნდა მივაშუროთ“. პაპიროსი ამოიღო. ქალბატონმა დაუშალა, ნუ მოწევთო. მამარდაშვილმა ღიმილით მიუგო, მირჩევნია ამან მომკლას, ვიდრე — იმათმაო“, და ხელი დარბაზისკენ გაიშვირა.

რატომ კლავდნენ?

ბატონმა ნიკო ჭავჭავაძემ ერთ ინტერვიუში თქვა: — მამარდაშვილს სურდა, გონიერი საწყისი შეეტანა ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში, მაგრამ ოპონენტებმა ამ მოძრაობის დამუხრუჭების ცდა მიაწერესო.

აი, ბედის ირონია. მამარდაშვილი მოძრაობაში მთელი შეგნებით ჩაება. აი, რა უთხრა მან ფიზიკის ინსტიტუტში თავმოყრილ საზოგადოებას: „მე მზად ვარ, აქტიური მონაწილეობა მივიღო გამათავისუფლებელ მოძრაობაში, რადგან მესმის, სანამ დამოუკიდებლობას ვერ მივაღწევთ, ვერ დავინახავთ, ვერ გავიგებთ საკუთარ თავს. მარტო ამისთვის ღირს დამოუკიდებლობა“.

დრამატულ დღეებში მამარდაშვილი რადიკალისტურ ოპოზიციას სთხოვდა: „გავთავისუფლდეთ სტერეოტიპისგან, მოჩვენებებისგან, ფრაზეოლოგიისგან. ის, ვისაც მტრად ვაცხადებთ, ერთგვაროვანი არ არის, იქ არიან რეალისტებიც, ამიტომ საჭიროა დიფერენციული მიდგომა, საჭიროა ფიქრი, ანალიზი“. პრესაში კი წერდა: „ჩვენი ნამდვილი მოთხოვნილება პური კი არა, სამოქალაქო შეგნებაა, იმის მოთხოვნილება, რომ ავამოქმედოთ ჩვენი უნარი, დავდგეთ ყოველდღიური საზრუნავისგან მოშორებით, რათა შევძლოთ, გარედან დავინახოთ ჩვენი თავი, დავინახოთ, რა ხდება ჩვენს სულში და დავინახოთ, თუ როგორ აღმოცენდება ჩვენს გარშემო ის უმსგავსობა, რაც ჩვენს გარშემოა“.

დიახ, მამარდაშვილი გვაფრთხილებდა, მაგრამ, როგორც ბორხესის ერთი პერსონაჟი ამბობს: „ჭეშმარიტება ვერ აღწევს მეამბოხე გონებამდე“.

მეამბოხეთა ერთმა ლიდერმა დილის ერთ სხდომაზე (ფილარმონია) აფრიალა გაზეთი „თბილისი“ და განაცხადა: „მამარდაშვილს თავისი წერილი (იგულისხმება „აჩრდილები ჰქრებიან განთიადისას“) საბჭოთა პრესაში გამოუქვეყნებია, აქედან დაასკვენით, ვინ არის მამარდაშვილი, მეგობრებო“.

აი, დისკრედიტაციის იაფფასიანი ცდა!

როცა მამარდაშვილს სამშობლოს სახელით აიძულებდნენ გაჩუმებულიყო, ის შეეცადა აზროვნების წმინდა უფლება დაეცვა, მივიდა კათედრასთან და თქვა: „ხშირად ყოფილა შემთხვევა ისტორიაში და ჩვენც გამოვცადეთ ეს, რომ ხალხის, კანონის თუ სამართლის სახელით პიროვნება ჩაუწიხლავთ, აზრი ჩაუხშვიათ... ჭეშმარიტება კი, — მამარდაშვილმა ზევით აიხედა, — ყველაფერზე მაღლა დგას, ჭეშმარიტება თვით სამშობლოზე მაღლა დგას, ჭეშმარიტებას აი, იქა აქვს დასაბამი, საიდანაც ვარსკვლავიანი ცა დაგვყურებს“...

რა არის აქ გაუგებარი ან თუნდაც ჯერ არგაგონილი?

მაგრამ ამას მოჰყვა ახალი ვნებათაღელვა, შფოთი და წყევლა-კრულვა. გაგახსენდებოდათ:

„ვის შეუძლია მოთოკოს მათი მძვინვარება? ნეტა მას, ვინც უჩინრად ცხოვრობს მასსავე მსგავს უჩინართა შორის: სასახლეს მერჩია ერიხი. ზომიერება! რა ტკბილად ჟღერს თვითონ ეს სიტყვა, ცხოვრებაში კი არაფერია მისი ფასი. მაშინ, როდესაც მეტისმეტობას არასოდეს ხეირი არ დაუყრია კაცთათვის. ესაა წყევლა, შეჩვენება, ღვთის რისხვა, ჩვენს თავს მოწეული“ (ევრიპიდე, „მედეა“, ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი).

დღემდე მამარდაშვილი მიჩნეულია ერთადერთ ავტორად აზრისა: „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას (საკითხს თავის დროზე საფუძვლიანად შეეხო ბატონი ზურაბ კიკნაძე ერთ პოლემიკურ წერილში, რომელიც, თუ სწორად გვახსოვს, გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა). ჯერ ერთი, მამარდაშვილმა ეს აზრი ცხარე პოლემიკაში თქვა, და სულ სხვა ინტონაციით, ყოველ შემთხვევაში, სულაც არა სამშობლოს დაკნინების მიზნით. ამას ზემოთ უკვე შევეხეთ. მეორეც, მამარდაშვილამდე მსგავსი ფრაზა ბევრ დიდ პიროვნებას წარმოუთქვამს ან დაუწერია. ანტიკურმა პერიოდმა იცის ამის მაგალითები. ეს ჩვენზე უკეთ თავად ბატონ ლევანს მოეხსენება. ამიტომ ჩვენ უახლოესი ისტორიის ფაქტებს მოვიყვანთ. აი, რას წერს ჩაადაევი: („Апология Сумасшедщего“) „Прекрасная вещь любовь к отечеству, но есть нечто более прекрасное - то любовь к истине... любовь к истине приближает людей к божеству“ (შდრ. მამარდაშვილი „ჭეშმარიტებას იქა აქვს დასაბამი, საიდანაც ვარსკვლავიანი ცა დაგვყურებს“).

მაინც საკამათოა?

ერთი რამ ცხადია: ვერავინ უარყოფს ჩაადაევის ღრმა რუსულ ბუნებას და მის პატრიოტიზმს, მაგრამ ჭეშმარიტებას ყოველივეზე მაღლა აყენებს, თვით სამშობლოზედაც კი.

რატომ?

მართლა შეშლილია?

აი, ბერდიაევი რას ამბობს: ("Самопознание") "Я не знаю ничего банальнее националистического миросозерцания, нация, государство, емья, внешняя церковность, общественность, социольный колектив, космос, все - представляеться мне впоростепенным, даже прозначным и злым по с равнению с неповторимой и индивидуальной судьбой еловеческой - личности".

ბერდიაევმა ფრჩხილი გახსნა, აზრის თავისუფლება წინა პლანზე გამოჰყავს. ახლა გავიხსენოთ იობის თემა ძველი აღთქმიდან. აზრის, პიროვნების თავისუფლებას იცავს ღმერთი, შემოქმედი სამყაროსი. ღმერთი „ღვთისმგმობელ“ იობს იცავს ღვთის დამცველთა ძალდატანებისგან. ღვთისდამცველნი იობს აიძულებდნენ ღმერთის უმაღლესი სამართლიანობა ეღიარებინა, უბედურ იობს კი უკვე რწმენა ჰქონდა შერყეული და თავისი სინდისის წინაშე არ შეეძლო ამის აღიარება. მაშასადამე, ძალდატანება ადამიანის შინაგან თავისუფლებაზე ცხადდება ბოროტებად. საბოლოოდ, ღმერთი ამართლებს „ღვთისმგმობელ“ იობს და სჯის თავის „მომხრეებს“.

მაგრამ რასაც ჩაადაევი, ბერდიაევი, მამარდაშვილი ამბობენ, არ ნიშნავს ჭეშმარიტების დაპირისპირებას სამშობლოსთან და არც რაიმე სხვა რეალურ ფასეულობებთან.

ბერდიაევი ამბობს — „გარეგნული ეკლესიურობაო“. აი, ამ გარეგნულობაში „მარხია ძაღლის თავი. თუ ეკლესიურობამ თავისი სიღრმე დაკარგა“, ე.ი. ჭეშმარიტებას მოწყდა და გარეგნული გახდა, ის მყისვე ბოროტებად იქცევა. „უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“ (მოციქული პავლე), ამიტომაც სექტანტიზმი არსებითად უფლის სულის უარყოფაა. უფლისკენ ან ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზაზე ისლამისტი ფუნდამენტალისტები, რომლებიც დევნიან ნიჭიერ მწერალ რუშდის აზრის თავისუფლებისთვის, განა ჭეშმარიტებას, ღმერთს, ემსახურებიან? ფანატიზმიდან ველურობამდე ერთი ნაბიჯიაო და ჩვენ გვწამს, რომ „მკრეხელი“ რუშდი უფრო ახლოსაა ღმერთთან, ვიდრე მისი „ფანატიკოსი“ მტრები და ა.შ.

ჭეშმარიტება უზენაესია და გზა მისკენ მხოლოდ შინაგანი თავისუფლებით მიდის. თუ თავისუფლებას ხელი ეშლება, გზაც იკეტება. „გზა“, თუ ფართო მნიშვნელობით ავიღებთ ამ სიტყვას, — წერს მამარდაშვილი, — ის გზაა, რითაც ადამიანი გამოდის რაიმე სიბნელიდან, შთაბეჭდილებათა სიბნელიდან, არსებული სოციალური წესწყობილების სიბნელიდან, არსებული კულტურის სიბნელიდან, ამ კულტურის მატარებელი საკუთარი „მე“-ს სიბნელიდან, და უნდა წავიდეს სადღაც, საითკენაც თავისი პირადი უნიკალური გამოცდილების ისარი უნათებს, თანაც უნდა წავიდეს ხელოვნების „ყავარჯნებითაც“, თავისი არტეფაქტული ორგანოების შემწეობით“.

მამარდაშვილის ბედი ასეთია: კაცი, რომელმაც ყველაფერი იცის, მას ვერ გაუგებს.

**რეზო კვესელავა**
**რეზო ესაძე**

## მოზაიკა

მეცნიერებმა გამოაც...
ხეს — ბრაზილიის ჯუნგლ...
ში, სადაც ტყეები გაჩეხეს...
ახალ გზებს აშენებენ, თან...
თან მცირდება კოლიბრის...
ცხვი. თანაც ეს სათუთი ფ...
ნველები ვერ იტანენ ფაბრი...
ქარხნებისა და ავტომანქანე...
გამონაბოლქვს. საბედნიერ...
ჯუნგლები პერუშიც არის...
შეიქმნა ეროვნული პარკი...
მელიც ამაზონის ფაუნის...
ნაწილის გადარჩენის...
იძლევა. პარკს 15 ათას...
ტარზე მეტი ფართობი უკა...
იგი ყველაზე დიდია მთ...
სამხრეთ ამერიკაში. ვინაი...
ზონაში შესვლა აკრძალ...
აქვთ ტურისტებსა და მონა...
რეებს, შესაძლებელი გახ...
კოლიბრის, იაგუარების, ნ...
გების, ოცელოტების...
მღრღნელების ზოგი იშვი...
ჯიშის შენარჩუნება.

* * *

გარემოს დაბინძურ...
ზოგჯერ სრულიად მოუ...
ნელი შედეგები მოჰყვება...
ლმე. ჩრდილოეთ ინგლ...
ერთ-ერთ რაიონში მეთევზ...
მა შენიშნეს, რომ თევზ...
ანკესს აღარ ეკარებოდნენ...
მცა ამ მდინარეში თევზი...
ველთვის ბლომად იყო. ი...
ოლოგებმა დაადგინეს,...
ადგილობრივი ქარხნების...
წყალში ჩაშვებულმა ლით...
ჟანგმა გამოიწვია თევზ...
მხედველობის და მადის და...
ითება.

* * *

პანოიდან ასიოდე კილ...
ტრის დაშორებით კუკ-ფ...
გის ნაკრძალში ორი ათ...
მეტი იშვიათი მცენარეა...
მოყრილი. აქ ნახავთ პიმა...
ნიწვოვან ხეებს, ინდონე...
ლიანებს, იაპონურ ყვავილ...
ადგილობრივი ფლორის...
მომადგენლებს — გიგან...
გვიმრებს, რომლებიც პ...
ტის სხვა რაიონებში მრა...
მილიონი წლის წინ გადა...
დნენ. ბოტანიკოსთა დაკვ...
ბით, ისინი აქ თავს მშვ...
რად გრძნობენ. ამ უც...
მცენარეთა შორის არან...
უცნაური პეპლები და ხვ...
ბი დაფრინავენ. ჯერჯერ...
ამ ნაკრძალში შესვლის უფ...
ბა მხოლოდ მეცნიერებს...
გასაკვირი არცაა. ამას წ...
დადგინდა, რომ მფრ...
ხვლიკები პტეროდაქტი...
და პირველ ფრინველებზე...
რო ადრე არსებობდნენ...
პირველები აფრინდნენ...
ეს ჯერ კიდევ იურიულ...
რიოდში მოხდა.

* * *

ინგლისის ქალაქ კო...
ტერის ზოოპარკის მუშა...
მოახერხეს ზებრისა და...
შეჯვარება. ახალ ცხოველ...
ბრასავით ზოლიანი ფ...
აქვს, სხვა მხრივ კი არა...
განსხვავდება ვირისგან.

* * *

გაეროს ექსპერტთა...
სებით, მსოფლიოში ამ...
ყოველი ათი მოჭრილი...
სანაცვლოდ მხოლოდ ერთ...
გვება.

* * *

თუ მსოფლიოში ელ...
რონული მრეწველობის გ...
თარების ტემპი არ დაიკ...
2000 წლისთვის მიკრო...
თა ქარხნები იმდენსავე...
ნზისტორს გამოუშვებს,...
დენი ნეირონიც იქნებ...
დროს მთელი კაცობრ...
ტვინში. ამგვარად, ელ...
რონული ინტელექტის რ...
ნობა პირველად გაუტო...
ბუნებრივს.

## გაზეთი «კავკასიონი» ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით იწყებს ტურისტული ფირმების მიერ შემოთავაზებული მარშრუტების გამოქვეყნებას. რეკლამით დაინტერესებული ტურისტული ფირმები, ავია კომპანიები და სხვა ორგანიზაციები დაგვიკავშირდნენ შემდეგ ტელეფონზე: 29-48-05, ფაქსი: 23-52-12.

| მარშრუტი | ტურის სახე | დღეთა რაოდენობა, ვადები | ტრანსპორტის სახე | ცხოვრება, სასტუმროს კატეგორია | კვება, პროგრამა, მომსახურება | გასვლა | ფასი | შეღავათი ბავშვებზე | ფირმის დასახელება ტელეფონი-ფაქსი, მისამართი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | თვითმფრინავი | — | — | ყოველი კვირის ხუთშაბათს | 560 ლ. | — | „გზა" (ჭავჭავაძის პრ. 80), ტელ.: 23-07-20, 29-40-32, | |
| ფრანკფურტი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | ,,—,, | — | — | კვირის 1,3,5,6 დღ | 560 ლ. | — | | |
| კიოლნი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | თვითმფრ. | — | — | ხუთშაბათობით | 550 ლ. | — | ,,ორბელი" (ალმაშენებლის 123), ტელ.: 96-86-77. | |
| ფრანკფურტი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | ,,—,, | — | — | კვირის 1,3,5,6 დღ. | 550 ლ. | — | | |
| კიოლნი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | თვითმფრ. | — | — | ხუთშაბათობით | 550 ლ. | — | ,,ჰებე" (თავისუფლების მოედ. 7), ტელ.: 99-79-35. | |
| ფრანკფურტი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | ,,—,, | — | —* | კვირის 1,3,5,6 დღ. | 550 ლ. | — | | |
| კიოლნი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | თვითმფრ. | — | — | ხუთშაბათობით | 550 ლ. | — | „ტვირილა" (ჭავჭავაძის 80), ტელ.: 23-42-17, 29-06-32. | |
| ფრანკფურტი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | ,,—,, | — | — | კვირის 1,3,5,6 დღ. | 550 ლ. | — | | |
| კიოლნი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | თვითმფრ. | — | — | ხუთშაბათობით | 550 ლ. | — | ,,რეა" (ალმაშენებლის 193), ტელ.: 34-39-70. | |
| ფრანკფურტი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | ,,—,, | — | — | კვირის 1,3,5,6 დღ. | 550 ლ. | — | | |
| კიოლნი | მგზავრობა | 14 დღ. ვიზა | თვითმფრ. | — | — | ხუთშაბათობით | 550 ლ. | — | აფხაზეთის ტურ. დეპარტამენტი. (ჭავჭავაძის 80), ტელ.: 22-75-14. | |
| პარიზი | ექსკურსია | 8 | თვითმფრ. | 2*-3* | 2-ჯერადი | ჩარტერული რეისი | 1095 ლ-დან | 12 წლამდე 20 პროცენტი | „ტურისტრემშენი" (ჭავჭავაძის 80), ტელ.: 29-40-56, 29-28-72, 22-23-63. | |
| პარიზი-ნიცა | დასვენებით | 14 | თვითმფრ-მატარ. | 2*-3* | 2-ჯერადი. | ჩარტერული რეისი | 2370 ლ.-დან | 12 წლამდე 20% | | |
| ოქროს ქვიშა | დასვენებით | 14 | თვითმფრინავი | 2* | 2-ჯერადი | ყოველ კვირას | 925 ლ. | 12 წლამდე | საქ.-ავსტრიის ერთ.საწარმო „მეტეხი" (ალმაშენებლის 67). ტელ.: 95-11-02, 95-11-62. | ინდივიდ. ჯგუფური |
| ვარნა" | დასვენებით | 14 | თვითმფრინავი | 3* | 2-ჯერადი | ყოველ კვირას | 900 ლ. | 12 წლამდე | ,,ორბელი" (ალმაშენებლის 123), ტელ.: 96-86-77. | ინდივიდუალ. ჯგუფური. |
| ვარნა | დასვენებით | 15 | თვითმფრ.-ავტობუსი | 3* | 1-ჯერადი | ყოველ კვირას | თვითმფ.775 ლ. ავტობუს. 521 ლ. | 12 წლამდე | „ტვირილა" (ჭავჭავაძის 80), ტელ.: 23-42-17, 29-06-32 | ინდივიდუალური, ჯგუფური |
| ვარნა | დასვენებით | 11-15 | თვითმფრ. | 3* | 2-ჯერადი | ყოველ კვირას | 950 ლ. | 12 წლამდე | „გზა" (ჭავჭავაძის 80), ტელ.: 23-07-20 29-40-32. | |
| ანტალია | დასვენებით | 7-14 | თვითმფრ. ავტობუსი | 2,3,4,5* | 2-ჯერადი | ყოველ კვირას | 290 ლ.-დან ტრანსპორტის გარეშე | 6 წლამდე უფასო, 12 წლამდე ფასდაკლებით | ,,ორბელი" (ალმაშენებლის 123). ტელ.: 96-86-77. | |
| პრინცის კუნძ. | დასვენება | 11-14 | თვითმფრ. | 5* | სრული პანსიონი | ყოველ კვირას | 1161 ლ-დან | 12 წლამდე | „გზა" (ჭავჭავაძის 80), ტელ.: 23-07-20, 29-40-32, 23-15-49. | |
| კილიოსის კუნძ. | დასვენება | 11-14 | თვითმფრ. | 3* | 2-ჯერადი | ყოველ კვირას | 830 ლ-დან | 12-წლამდე | | |
| თეირანი | შოპტური | 7 | თვითმფრ. | 3* | 2-ჯერადი | ყოველ პარასკევს | 600 ლ. | — | ,,ორბელი" (ალმაშენებლის 123), ტელ.: 96-86-77. | |
| კაირო-ალექსანდრია | შემეცნებითი, შოპ-ტური | 6 | თვითმფრ. | 3* | 2-ჯერადი | ჩარტერ.რეისი. | 910 ლ. | 12 წლამდე | | |
| თელ-ავივი ან იერუსალიმი | შემეცნებითი, დასვენებითი | 8 | თვითმფრ. | 3*-4* | 2-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 1187 ლ-დან | — | „ტვირილა" (ჭავჭავაძის 80), ტელ.: 23-42-17, 29-06-32 | ჯგუფური |
| უკრაინა (ოდესა)-იტალია-ესპანეთი-მალტა-საბერძნეთი-თურქეთი | კრუიზი | 16 | თვითმფრ. თბომავალი ,,შოსტაკოვიჩი" | — | 5-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 1125 ლ-3125 ლ-მდე | — | | კაიუტის კლასის მიხედვით. ინდივიდ, ჯგუფური |
| უკრაინა (ოდესა)-იტალია-საბერძნეთი-თურქეთი | კრუიზი | 12 | თვითმფრ. თბომავალი ,,აივაზოვსკი" | — | 5-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 1000 ლ-2750 ლ-მდე | — | | კაიუტის კლასის მიხედვით, ინდივიდ, ჯგუფური. |
| ქობულეთი | დასვენებით | 15 | — | ინტურისტი, კერძო სექტორი | 2-ჯერადი, 3-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 435 ლ-დან 240 ლარი | — | | ჯგუფური, ინდივიდ. |
| ბორჯომი | დასვენებით | 15 | — | ტურბაზა ,,პლატო" | 3-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 150 ლ-დან-225 ლ-მდე | — | | ჯგუფური, ინდივიდ. |
| ბორჯომი | დასვენებით | 14 | — | ტურბაზა ,,პლატო" | 3-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 252 ლ. | — | ,,გზა" (ჭავჭავაძის 80). ტელ.: 23-07-20, 29-40-32. | ჯგუფური, ინდივიდ. |
| ქობულეთი | დასვენებით | 14 | — | ,,ინტურისტი | 2-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 406 ლ. | — | | ინდივიდ. |
| ქობულეთი | დასვენებით | 12 | — | კერძო სექტ. | 3-ჯერადი | ნებისმიერ დროს | 230 ლ. | — | | ჯგუფური |

## [ტრა]ნსპორტო [საშუა]ლებების, მისაბმელების [და ნო]მრიანი აგრეგატების [ერთი მ]ფლობელიდან მეორეზე [ურთიერ]თშეთანხმების [საფუძვ]ელზე შედგენილი [ერთობ]ლივი განცხადებით [გაფორ]მების წესი

### [დამტკიც]ებულია შინაგან საქმეთა [სამინისტ]როს 1996 წლის 9 ივლისის [ბრ]ძანებით

[illegible] საპოლიციის სარეგისტრაციო სამსახურები, სატრანს[პორტო საშუა]ლებებს, მისაბმელებს და ნომრიან აგრეგატებს [illegible] ურთიერთშეთანხმების შემდეგ შედგენილი [illegible] ხელმოწერებით დადასტურებული ერთობლივი გან[ცხადების საფ]უძველზე, დადგენილი ტარიფების შესაბამისად [illegible].

[illegible] განცხადება წარმოადგენს იურიდიულ დოკუ[მენტს, რომელი]ც ადასტურებს სატრანსპორტო საშუალების, [მისაბმელის] ან ნომრიანი აგრეგატის დროებით მფლობელობაში [illegible] გადაცემას, რის საფუძველზეც ხდება საგზაო [პოლიციის სარეგის]ტრაციო სამსახურში სატრანსპორტო საშუა[ლების illegible] ნომრიანი აგრეგატის აღრიცხვიდან მოხსნა, [ახალ] მფლობელზე გადაფორმება და შემდგომი [illegible].

[illegible] განცხადების ერთი ეგზემპლარი რჩება [illegible] საშუალების, მისაბმელის, ნომრიანი აგრეგა[ტის] აღრიცხვიდან მოხსნის ადგილზე, ხოლო მეორე ეძლევა [ახალ მფლობე]ლს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საგზაო [პოლიციის სარე]გისტრაციო სამსახურში რეგისტრაციისთვის [illegible].

[illegible] განცხადების პირველი ნაწილი განკუთვნილია [სატრანსპორტო] საშუალების, მისაბმელის, ნომრიანი აგრეგატის [illegible], ხოლო მეორე ნაწილი ახალი მფლობელის მიერ [illegible] ადგილის (დგომის ადგილის) მიხედვით რეგისტ[რაციისთვის].

[illegible] განცხადებას ავსებს სარეგისტრაციო სამსახურის [illegible] შემდეგი თანმიმდევრობით:

[პირვ]ელი ნაწილი:

[illegible] განმცხადებელი მხარეების პიროვნებებს პირადი [illegible] შემცველი დოკუმენტის მეშვეობით.

[illegible] სატრანსპორტო საშუალებას, ადარებს რეკვი[ზიტებს illegible] წარმოდგენილ ტექნიკური დათვალიერების [illegible]

– მხარეებს აწერინებს ხელს ერთობლივ განცხადებაზე. იურიდიული პირების ხელმოწერებს ამოწმებინებს ბეჭდით.

– იღებს რეგისტრაცია-მომსახურების ნიხრით გათვალისწინებულ თანხის ქვითარს.

– გასცემს სატრანზიტო ნომრებს.

– აკეთებს სარეგისტრაციო მოწმობაში შესაბამის ჩანაწერებს.

მეორე ნაწილი:

– ახდენს სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებას ან წარმოდგენილი აქტის შედარებას ერთობლივი განცხადების პირველ ნაწილთან. შეაქვს ახალი მფლობელის მონაცემები, ადასტურებს მათ ხელმოწერებს ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით.

– ღებულობს სარეგისტრაციო დოკუმენტებს.

– გასცემს სანომრე ნიშნებს და სარეგისტრაციო მოწმობას, რომელსაც ამოწმებს ბეჭდითა და ხელის მოწერით.

### საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო დანართი №1

## სატრანსპორტო საშუალებების, მისაბმელების და ნომრიანი აგრეგატების საგზაო პოლიციაში მხარეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე რეგისტრაცია-მომსახურეის ტარიფების ნუსხა.

### დამტკიცებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს 1996 წლის 9 ივლისის № 587 ბრძანებით

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 19 მაისის № 139 განკარგულების თანახმად, სატრანსპორტო საშუალებების, მისაბმელების და ნომრიანი აგრეგატების რეგისტრაცია-მომსახურების ტარიფები განისაზღვროს ამერიკული დოლარის შესაბამისი ექვივალენტით გამოხატული ლარებში, გამოშვების წლებისა და ძრავის სიმძლავრის მიხედვით შემდეგი ოდენობით:

1. – მსუბუქი ა/მანქანებისთვის, რომელთა ხნოვანება არ აღემატება 2 წელს, ძრავის სიმძლავრის ერთი ცხენის ძალაზე – 2$ ან ძრავის მოცულობის 1 კუბ.სმ-ზე – 10 ცენტი.

– 2-დან 5 წლამდე შესაბამისად 1.7$ ან 8.5 ცენტი

– 5-დან 10 წლამდე „ – „ 1.2$ ან 6 ცენტი

– 10-დან 15 წლამდე „ – „ 1$ ან 5 ცენტი

– 15 წელზე მეტი „ – „ 0.8$ ან 4 ცენტი

2. მსუბუქი ა/მანქანების ძარის გადაფორმება:

– 2 წლამდე ხნოვანების – 80$

– 2-დან 5 წლამდე – 55$

– 5-დან 10 წლამდე – 40$

– 10 წელზე მეტი – 25$

3. სატვირთო ა/მანქანებისა და ავტობუსების გადაფორმება:

– 5 წლამდე ხნოვანების – ძრავის სიმძლავრის ერთი ცხენის ძალაზე 2$

– 5-დან 10 წლამდე – 1.5$

– 10-დან 15 წლამდე – 1.2$

– 15 წელზე მეტი ხნის – 1.0$

– სატვირთო ა/მანქანების კაბინის ან ჩარჩოს გადაფორმება – 40$

– სატვირთო ა/მანქანების ფურგონის ტიპის ძარის ან ავტობუსების ძარის გაფორმება – 80$

4. – სატრანსპორტო საშუალებათა ძრავის გადაფორმება, რომელთა სიმძლავრე არ აღემატება 100 ცხენის ძალას ან 2000 კუბ.სმ. – 40$

– 100 ცხენის ძალაზე ან 2000 კუბ.სმ.-ზე მეტი – 55$

5. სატრანსპორტო საშუალებათა მისაბმელების გადაფორმება:

– მსუბუქი ა/მანქანების, რომელთა წონა არ აღემატება 750 კგ-ს – 24$

– 5 ტონამდე ტვირთამწეობის – 70$

– 5-დან 10 ტონამდე ტვირთამწეობის – 100$

– 10-დან 20 ტონამდე ტვირთამწეობის – 150$

– 20 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის – 200$

6. – მოტოციკლები, რომელთა ხნოვანება არ აღემატება 5 წელს, ძრავის სიმძლავრის ერთი ცხენის ძალაზე – 2.0$

– 5-დან 10 წლამდე – 1.5$

– 10 წელზე მეტი ხნის – 80 ცენტი

7. – დროებით მფლობელობაში მიღებული მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების, მისაბმელის რეგისტრაცია-მომსახურებისთვის ერთი თვე – 1$, ხოლო სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების და მათი მისაბმელების ან ნახევრადმისაბმელების – 1 თვე – 2$.

8. თუ სატრანსპორტო საშუალება ერთი სახელმწიფო ორგანიზაციიდან სხვისდება მეორე სახელმწიფო ორგანიზაციაზე, რეგისტრაცია-მომსახურების თანხა განისაზღვროს 40 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარით.

9. თუ სატრანსპორტო საშუალება გასხვისებისას არ გადის უწყების დაქვემდებარებიდან, რეგისტრაცია-მომსახურების თანხა განისაზღვროს 30 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარით.

10. ერთობლივი განცხადების შედგენიდან სატრანსპორტო საშუალების 10 დღიდან 3 თვემდე დაგვიანებით რეგისტრაციისას ახალ მფლობელს რეგისტრაცია-მომსახურების თანხა გაეზარდოს 25 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარით, ხოლო 3 თვეზე მეტი ხნოვანების ერთობლივი განცხადების წარმომდგენს 50 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარით.

11. გასხვისებული სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია-მომსახურების თანხის გასაანგარიშებლად, როცა შეუძლებელია ძრავის სიმძლავრის ზუსტად დადგენა, აღნიშნული თანხა გამოთვლილ იქნეს მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების წლიური ტექნიკური დათვალიერების და საგზაო ფონდის გადასახადების გაანგარიშების გასაშუალებული არსებული ცხრილის მიხედვით.

12. ავტომოტოტრანსპორტის ხნოვანება დადგინდეს სატრანსპორტო საშუალებების გამოშვების წლის ჩაუთვლელად.

13. იმ სატრანსპორტო საშუალებებისთვის, რომელთა გამოშვების წელი დაუდგენელია, გადაფორმების გადასახადი დაწესდეს 5-დან 10 წლამდე ხნოვანების ავტომოტოტრანსპორტისთვის განკუთვნილი ნიხრით.

14. სატრანსპორტო საშუალებებისთვის, რომლებიც დაზიანებულია საგზაო-სატრანსპორტო ან სხვა შემთხვევების გამო, გადასახადი დაწესდეს შესაბამისად ძრავის სიმძლავრისა და წლების მიხედვით იმ პროცენტული რაოდენობის გამოკლებით, რომლებიც დგინდება დაზიანების ხარისხის მიხედვით სათანადო დოკუმენტების საფუძველზე (ადმინისტრაციული ოქმი, შსს საექსპერტო კრიმინალისტური სამმართველოს დასკვნა).

15. სატრანსპორტო საშუალებათა, მისაბმელების და ნომრიანი აგრეგატების გადაფორმებისთვის დაწესებული გადასახადის გადახდა ხდება განმცხადებლებიდან ერთ-ერთი მხარის მიერ, ურთიერთშეთანხმებით.

16. საბაჟო ორგანოებიდან წარმოდგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტით სატრანსპორტო საშუალებების (აგრეგატების) მისაბმელების რეგისტრაციისას, გადაფორმების საგადასახადო თანხა განისაზღვროს სატრანსპორტო საშუალების წლოვანებისა და ცხენის ძალების მიხედვით ზემოთ მითითებული ტარიფების 50 პროცენტით.

17. სატრანსპორტო საშუალების მფლობელის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში რეგისტრაციის მომსახურების თანხა – 5 ლარი გადაიხდება მოხსნის ადგილზე, ხოლო 5 ლარი გადაფორმების ადგილზე.

18. სარეგისტრაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ცნობების გაცემა – 1 ლარი.

19. სატელეტაიპო კავშირით სარგებლობის ღირებულება – 6 ლარი.

20. ავტომოტოტრანსპორტის, მისაბმელების და ნომრიანი აგრეგატების ერთი მფლობელიდან მეორეზე სატრანსპორტო საშუალების გადაცემისთვის გადაფორმების თანხის გადახდა მოხდება გაერთიანებული ქართული ბანკის ფილიალებში, სადაც მოქალაქეებს ეძლევა გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი საგზაო პოლიციაში წარსადგენად.

21. სატრანსპორტო საშუალებების, მისაბმელების და ნომრიანი აგრეგატების ერთობლივი განცხადებით, რეგისტრაციისა და მომსახურების თანხის გადახდისგან თავისუფლდებიან მემკვიდრეობით გადაცემული სატრანსპორტო საშუალების მფლობელები, სამამულო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები.

**საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო**



## იყიდება

■ ვაშლიჯვარში ოროთახიანი ბინა ლოჯით. საერთო ფართი 61 კვ.მ, ცხრასართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ტელ.: 93-55-69, იკითხეთ ციცო.

■ ერთოთახიანი იზოლირებული ბინა ტელეფონით, გადაკეთებული ორ ოთახად. მეტრო „დელისთან" მ.თამარაშვილის ქუჩაზე, რვასართულიანი სახლის მე-8 სართულზე. რკინის კარებით, აქვს სხვენზე გაზრდილი სათავსო. საგარაჟე ადგილი, ტელ.: 39-59-61. საწყისი ფასი 12000.

■ ბახტრიონის ქუჩაზე, იპოდრომთან ოროთახიანი ბინა ლოჯით და 40 კვ.მ. მიშენებით, სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, ტელეფონით. ტელ.: 38-49-24.

■ სამოთახიანი ბინა, ორმაგი მიშენებით, აივნით, მეტრო ღრმაღელესთან, სანზონის 2ა, რვასართულიანი კორპუსის პირველ სართულზე (მოსკოვის პროექტი). აქვს მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ბინა სუფთაა. აქვს, აგრეთვე, ცალკე კაპიტალური, ორადგილიანი გარაჟი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 60-60-55, იკითხეთ ვალოდია.

■ სასწრაფოდ იყიდება ოთხოთახიანი სუფთა ბინა ნაძალადევის რაიონში გადასასვლელ ხიდთან. სამსართულიანი სახლის მესამე სართულზე. მაღალჭერიანი, საერთო ფართი 57 კვ.მ. ღია აივნით. აბაზანით, სარდაფით, სამზარეულო, საწყისი ფასი 35000 დოლარი. ტელ.: 95-32-51 (ნინო ან დათო).

■ ვერაზე 4-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი, პრივატიზებული იზოლირებული ბინა ლოჯით, ტელეფონით, სარდაფით ოთხსართულიანი, ერთსადარბაზოიანი სახლის ბელეტაჟზე ან იცვლება ნაკლები ფართობის ბინაზე. ტელ.: 23-32-26.

■ სასწრაფოდ ოთხოთახიანი ლვოვის პროექტის სუფთა ბინა ვარკეთილში. 60 კვ.მ. ფართობით. ფასი 7500 ლარი. ტელ.: 66-21-36, 31-08-35, იკითხეთ მარინა.

■ კერძო სახლი მიწის ნაკვეთით 500 კვ.მ, სვანეთის უბანში. ტელ.: 96-69-74.

■ სამოთახიანი ბინა ტელეფონით, დინამოს სტადიონთან და 5-სართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-31-95.

■ სამოთახიანი კუთხის ბინა, მიშენებული ლოჯით და გადახურული აივნით. სარდაფით, მანქანის სადგომით. დიღმის მასივში. ფასი 25000 დოლარი, ან იცვლება კერძო სახლზე ეზოთი. ტელ.: 95-89-13.

■ ორსართულიანი საკუთარი სახლი. ფართი 320 კვ.მ, 300 კვ.მ. ეზოთი, მარნით, კაპიტალური გარაჟით. ტელეფონით. ფასი 25000 დოლარი. ტელ.: 34-43-83.

■ სოფელ დიღომში 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 2 სათბურით, თითო სათბურის ფართობია 300 კვ.მ, მიწის ნაკვეთი ხეხილიანია. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-61-44. მისამართი: სოფელი დიღომი, ზემო უბანი — სუთიაშვილი თენგიზი.

■ სასწრაფოდ ოროთახიანი, მაღალჭერიანი სარემონტო ბინა. ოთახები — 44 და 18 კვ.მ. ორი აივნით, ტელეფონით, საკუთარი სამზარეულოთი ქვემო სოლოლაკში, ე.წ. პურის მოედანზე, ეგზოტიკურ ადგილას, სამსართულიანი სახლის მესამე სართულზე. კარგი პერსპექტივით. ფასი 14000 დოლარი. ტელ.: 38-01-11.

■ ხუთოთახიანი მაღალჭერიანი სარემონტო დიდი ბინა ალმაშენებელზე, კინოთეატრ „აპოლოსთან". საერთო ფართი 250 კვ.მ. ხუთსართულიანი სახლის მეოთხე სართულზე, მიშენებით, ორი სარდაფით, აივნით. მანქანის სადგომით. საწყისი ფასი 150000 ლარი. ტელ.: 38-01-11.

■ ოთხოთახიანი სარემონტო კერძო სახლი ეზოთი, სვანეთის უბანში. საერთო ფართი 300 კვ.მ. სათავსოებით და ტელეფონით. ფასი 20000 დოლარი. ტელ.: 38-01-11.

■ სამოთახიანი არასტანდარტული ბინა საბურთალოზე, ბახტრიონის ქუჩაზე, 9-სართულიანი სახლის მეორე სართულზე. ფასი 40000 დოლარი. ტელ.: 38-01-11.

■ ან ქირავდება ოროთახიანი ბინა, საცხოვრებელი ფართი 50 კვ.მ, შუშაბანდი 30 კვ.მ, ტუალეტი და სამზარეულო, იზოლირებული სამსართულიანი სახლის მესამე სართულზე. აქვს სარდაფი და მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-46-60, თინა.

■ 8-ოთახიანი არასტანდარტული ბინა ვერაზე, სამსართულიანი სახლის მესამე სართულზე. საერთო ფართი 2570 კვ.მ. ფასი 300000 ლარი. ტელ.: 38-01-11.

■ სამოთახიანი სუფთა, იზოლირებული ბინა, დიდი ლოჯით; ალმაშენებლის ქუჩის დასაწყისში. საერთო ფართი 120 კვ.მ, ჭერი 4X30. ფასი 27000 დოლარი. ტელ.: 95-19-68.

■ სამოთახიანი ბინა, საერთო ფართი 64 კვ.მ. სოფელ დიდ ლილოში. აეროპორტის ხიდებიდან 3 კმ-ის დაშორებით. ორსართულიანი კორპუსის მეორე სართულზე. პატარა ეზოთი და სარდაფით. წყალი და ტუალეტი ეზოშია. 6000 კვ.მ. ვენახით. ფასი 7500 ლარი. ტელ.: 61-05-48, დღისით, 51-59-70, საღამოს.

■ 4-ოთახიანი ბინა ვერაზე. ფართი 100 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-67-06.

■ ლოტკინზე კერძო ორსართულიანი სახლი ეზოთი, საერთო ფართობი 450 კვ.მ. 8 ოთახით, 2 აბაზანით, 2 სამზარეულოთი, გარაჟით, ტელეფონით, თავისი გათბობით; აგრეთვე მაღაზია თავისი გაფორმებით, ზღაპით და ბეჭდით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-86-31, ალექსი.

■ კერძო სახლი ორი ოთახით (20,6+17,5) ბელეტაჟით, შუშაბანდით, დამხმარე სათავსოებით, ტელეფონით. იმავე ეზოში, ცალკე, პირველ სართულზე ორი ოთახი (27+18) ბაღით, ყოფილ „მალაკნის" ბაზართან, 9 ძმის ქუჩა № 26. საერთო ფასი 20000 დოლარი. ტელ.: 51-43-28, ელიზა.

■ 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა, საერთო ფართით 80 კვ.მ. ქავთარაძის ქ. 25. ლეჩკომბინატის პირდაპირ მესამე კორპუსი, მესამე სართული, ბინა 14. ტელ.: 30-08-66, ფასი 40000 დოლარი.

■ კოჯორში სამსართულიანი სახლი, შესასვლელთან თითოეული სართული 110 კვ.მ, ფასი 25000 დოლარი. ტელ.: 67-47-09.

■ მიწის ნაკვეთი თელეთის საგარაკო ადგილას. გარემონტებული ორსართულიანი, მანსარდიანი სახლით. ცალკე შენობაში მოთავსებულია სამზარეული, აბაზანა, ტუალეტი, სარდაფი. ეზო გაზონებშია. არის საცურაო აუზი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-32-85.

■ ტიპიური სუფთა ოროთახიანი ბინა დიდუბეში გამოფენის პირდაპირ, 8-სართულიანი სახლის მე-4 სართულზე, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-44-06.

■ წყნეთში 2-სართულიანი კორპუსის პირველ სართულზე ოთხნახევრიანი იზოლირებული ბინა. ტელეფონით, ბოსტნით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. ბინა ბელეტაჟზეა, კუთხის მიშენების პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-86-55.

■ 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სამსართულიანი სახლის პროექტით, აშენებული პირველი სართულით. ამბროლაურის რ-ნის სოფ. ხოდევი. ტელ.: 37-62-56, 72-09-62.

■ სამოთახიანი იზოლირებული ბინა მეორე სართულზე ორთაჭალაში საშობაო სახლთან. სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, მიწის პატარა ნაკვეთით, ტელ.: 37-62-56.

■ სამოთახიანი ლოჯიანი ბინა 8-სართულიანი სახლის მესამე სართულზე მიშენებით (42 კვ.მ), ჭერი 2,75 სმ. გოგირდის ცხელი წყლით, ტელეფონით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, სარდაფით. საბურთალოზე იპოდრომთან. საწყისი ფასი 35000 დოლარი. ტელ.: 38-45-32.

■ საბურთალოზე სამოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა იოსებიძის ქ. 65. რემონტით, ტელეფონით, სარდაფით და მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-34-36. იკითხეთ პირადად ლულუ.

■ კერძო სახლი ნაძალადევის რაიონის სამხედრო კომისარიატთან ახლოს. საცხოვრებელი ფართობი 110 კვ.მ, ეზოს ფართობი 400 კვ.მ. ყველანაირი ხილით და ვაზის ხეივნით. აქვს კაპიტალური გარაჟი და სარდაფები ბუხრით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-33-53.

■ დასავლეთ საქართველოში, ოზურგეთის რ-ნის სოფ.ვაკიჯვარში (საკურორტო ზონა) ორსართულიანი კაპიტალური სახლი მიწის ნაკვეთით (3000 კვ.მ), ხეხილის ბაღი. ფასი შეთანხმებით. ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ ბათუმში, პუშკინის ქ. 67. ბ. 21. ტელ.: 2-47-93 (ბათუმი).

■ კუტუზოვის ქუჩაზე მაღალჭერიანი, არასტანდარტული 4-ოთახიანი ბინა, მესამე სართული, 2 აივნით, მანქანის სადგომით, სარდაფით, ტელეფონით. 130 კვ.მ. საერთო ფართობით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-58-49.

■ ბათუმში სამოთახიანი კუთხის ბინა, ზღვასთან ახლოს. ფარნავაზ მეფის (ყოფილი ტელმანის) 172, მე-4 სართული, ბინა 27. კაპიტალურად გარემონტებული, ავტოფარეხით ან მის გარეშე. ფასი შეთანხმებით. შესაძლებელია გაცვლაც თბილისის ბინაზე. ტელ.: 7-37-19, 7-18-51 (ბათუმში); 38-36-18 (სამუშაო საათებში), ჯამბული, 99-93-00 (20 საათის შემდეგ) გივი.

■ სამოთახიანი, ნახევრადგარემონტებული (შავი სამუშაოები დასრულებულია), კარგი პროექტის ბინა 16-სართულიანი სახლის მე-14 სართულზე, ვარკეთილში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 98-61-72, ანა.

■ ოროთახიანი სუფთა ბინა იტალიურ ეზოში, სამსართულიანი სახლის პირველ სართულზე ავეჯით, კედელში ჩასმული ხუთი კარადით, ჭერის სიმაღლე 4,80 სმ, ოთახები (19+10+11), სამზარეულოთი და აბაზანით, ტელეფონით, მანქანის სადგომით, ორი სარდაფით. საწყისი ფასი 22 ათასი ლარი. მისამართი ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაია) 14. ტელ.: 51-42-31, საღამოს საათებში იკითხეთ თემური ან ლეილა, 39-64-52, ავთო.

■ კარგად გარემონტებული კეთილმოწყობილი სახლი ავტოსადგომით, გლდანის მასივის ბოლოში საერთო ფართით 120 კვ.მ, სახლი შემოღობილია რკინის მესერით. ტელ.: 39-15-11.

■ ერთოთახიანი, ამხანაგური ბინა, გარემონტებული, სარდაფით და ავტოფარეხით, რომელსაც გვერდზე აქვს მიშენებული ერთი ოთახი — 16 კვ.მ. დაბლა მარნით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 62-46-63, იკითხეთ ზაირა.

■ კაპიტალური ნაგებობის სახლი სოფელ კრასნოგორკაში, სართიჭალიდან 14 კმ-ში, სამი ოთახი, სამზარეულო, შუშაბანდი, სარდაფი, სხვენი, სამეურნეო ნაგებობები. მიწის ნაკვეთი 27000 კვ.მ. ფასი 1500 დოლარი. ტელ.: 73-59-36.

■ წყნეთში კიროვის ქუჩაზე ერთოთახიანი (22 კვ.მ.) იზოლირებული ბინა შემინული ლოჯით (12 კვ.მ.), სამზარეულოთი, აბაზანა-ტუალეტით, აივნით მეორე სართულზე. ფასი 18 ათასი ლარი. ტელ.: 22-43-28, თემური.

■ 3-ოთახიანი კუთხის ბინა, ლოჯით და გადახურული აივნით. სარდაფით და მანქანის სადგომით, დიღმის მასივში. ფასი 25000 დოლარი. ან იცვლება კერძო სახლზე ეზოთი. ტელ.: 95-89-13.

■ 22 კვ.მ. ფართის ირთოთახიანი იზოლირებული ბინა, მაღალ ბელეტაჟზე, ვაკეში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-22-88.

■ ერთოთახიანი სტანდარტული ბინა ბუკიას ბაღთან, მერვე სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-59-27, 38-22-82.

■ ვაკეში წყნეთის ქუჩაზე ოროთახიანი სუფთა ბინა მიშენებით, მესამე სართული. ტელ.: 23-03-17, ფასი 25000 დოლარი.

■ ხუთოთახიანი ბინა მუხიანში, ცხრა სართულიანი სახლის მე-5 სართულზე, საერთო ფართი 100 კვ.მ, გარაჟით ორი მანქანისთვის და სარდაფით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 63-27-57.



## ვიყიდი

■ ერთოთახიან ლოჯიან ან 1,5-ოთახიან არასტანდარტულ იზოლირებულ ბინას საბურთალოს ბოლოში: ქავთარაძის, ვაჟა-ფშაველას ან ნუცუბიძის ქუჩის ბოლოს ან ნუცუბიძის მეორე-მესამე მ/რ-ში. ტელეფონით, მაღალ პირველ სართულზე, ბინის ქვეშ სარდაფით. ტელ.: 39-59-51, 7000 დოლარის ფარგლებში.

■ ბახტრიონის ან ფანასკერტელის ქუჩაზე, ოროთახიან, არატიპიურ, გარემონტებულ ბინას 20 ათასი დოლარის ფარგლებში. სასურველია ავტოფარეხით ან მანქანის სადგომით. თექვსმეტსართულიან, მაღლივ კორპუსებს ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ.: 38-58-52.

■ ორ ან სამოთახიან ბინას საბურთალოზე. პირველ და ბოლო სართულს ნუ შემოგვთავაზებთ — 15-დან 22 ათასი დოლარის ფარგლებში. ტელ.: 37-35-00.

■ იზოლირებულ ოროთახიან პატარა ბინას ან იზოლირებულ კარგ ოთახს ლოჯით, ტელეფონით, მარჯანიშვილის ქუჩის მიდამოებში. გთხოვთ დამირეკოთ საღამოს საათებში. ტელ.: 66-80-64.

■ საბურთალოს ცენტრში ოროთახიან ბინას 25000 ლარის ფარგლებში. ტელ.: 95-30-35, დღისით, 22-00-46, საღამოს.

■ ვარკეთილის, ახმეტელის ან სარაჯიშვილის მეტროსთან ახლოს არასტანდარტულ სამოთახიან სუფთა ბინას ტელეფონით, მანქანის სადგომით (პირველი და მაღალი სართულების გარდა), 8700 ლარის ფარგლებში. ტელ.: 95-30-35, დღისით.

■ საბურთალოს ცენტრში 4-ოთახიან არასტანდარტულ მაღალჭერიან ბინას მე-2, მე-5 სართულებზე, 50000 დოლარის ფარგლებში. ტელ.: 95-30-35, დღისით, 23-35-53, საღამოს, თამრიკო.

■ კომპაქტურ (პატარა) მექანიკურ საბეჭდ მანქანას. ქართული შრიფტით. შეღავათიან ფასებში. ტელ.: 51-53-29.

■ მუშა მდგომარეობაში მყოფ ავტომანქანას 500 ლარის ფარგლებში. ტელ.: 61-33-45. იკითხეთ ლორინა.

■ ერთოთახიან ბინას საბურთალოზე, მეტროსთან ახლოს, 11000 ლარის ფარგლებში. პირველ და ბოლო სართულებს ნუ შემომთავაზებთ. ტელ.: 38-18-06, ლია.

■ როიალს. ტელ.: 22-46-49.

■ ერთოთახიან ბინას დიღმის მასივში. ტელ.: 51-21-90, 51-25-01, იკითხეთ რუსიკო ან გია.

■ 2-ოთახიან სუფთა ბინას საბურთალოზე 17 ათასი დოლარის ფარგლებში. ტელ.: 39-84-23.

■ ერთ ან ოროთახიან ბინას საბურთალოზე. ტელ.: 39-01-81.

■ ბოლო დროს გამოშვებულ, კარგ მდგომარეობაში მყოფ „ზაპოროჟეცის", „ტავრიის" ან „ოკა-ს" მარკის ავტომანქანას ხელმისაწვდომ ფასებში. ტელ.: 39-75-58, იკითხეთ შალვა.

■ სასწრაფოდ ოროთახიან სუფთა ბინას საბურთალოს ცენტრში (ბახტრიონისა და ანგის ქუჩების მიდამოებში) 20 ათასი დოლარის ფარგლებში. ტელ.: 37-06-29, იკითხეთ დოდო.

■ ხანდირო თოფს „იჟ-27ე" — 12 კალიბრის. ტელ.: 37-52-79 (საღამოს საათებში), 98-81-07 (რამაზი).

■ ფერად ტელევიზორს (ნახმარს) კარგ მდგომარეობაში. ტელ.: 23-55-39.

■ დუბლიაჟის ქაღალდს დიდი რაოდენობით. დარეკეთ: 39-75-58. იკითხეთ შალვა. დარეკეთ 14 საათიდან.

■ ოროთახიან ბინას 10000 ლარის ფარგლებში ტელ.: 23-26-84.

■ კალცინირებულ სოდას და სულფანოლს. ტელ.: 93-89-03. 10-დან 14 საათამდე.

■ 1,5 ან 2-ოთახიან ბინას მეტროსთან ახლოს. ტელ.: 22-12-07. ეხვაია ელისო.

■ მაღალი ხარისხის ეტიკეტის ქაღალდს. ტელ.: 23-29-85.

■ 2-ოთახიან ან 1,5 ოთახიან ბინას პოლიტექნიკურ ინსტიტუთან ახლოს. ტელ.: 63-34-95, 38-50-87.

■ ოროთახიან ან ოთხნახევრიან გარემონტებულ ბინას დიღმის მასივში. სასურველია პირველი და მეორე მიკრორაიონი. ტელ.: 38-30-30. იკითხეთ ნინო ან ჟუჟუნა.

■ ერთოთახიან ბინას ქალაქის ნებისმიერ რაიონში 1200 ლარის ფარგლებში. ტელ.: 23-26-84.

## ვცვლი

■ ოთხოთახიან ბინას ორ ოროთახიან ან (2+1) ბინაზე. დიღმის მასივში 14-სართულიანი სახლის მე-13 სართულზე (მუდმივად არის დენი, წყალი და ლიფტი). ორი ლოჯით, სათავსოებით, ავტო სადგომით, ტელეფონით, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-82-24, 29-06-60.

■ ოროთახიან ბინას აბასთუმნიდან თბილისში ერთოთახიანზე. ტელ.: 23-51-81.

■ სამოთახიან ბინაში ან ვყიდი ოთხოთახიან ბინას ვაკეში, შატბერაშვილის ქ. 4-ში, შვიდსართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ტელ.: 29-06-11.

■ აგარაკს ოროთახიან ბინაზე თბილისში. აგარაკი იმყოფება თბილისის ზღვის თავზე. ოთხოთახიანი ბინა ბელეტაჟზე, ხეხილის ბაღით, ცალკე მიწის ნაკვეთით. ეზოში სხვა დამხმარე ნაგებობები დგას. შემოღობილია ქართული აგურით. შესაძლებელია აგარაკის გაყიდვაც. ტელ.: 96-65-42.

■ ერთ და ოროთახიან ტელეფონიან იზოლირებულ ბინებზე ან ვყიდით ოთხოთახიან არასტანდარტულ ბინას ვერაზე ბეტრაშვილის ქუჩაზე (ფართი 70 კვ.მ.) ლვინის ქარხანასთან 10-15 მეტრში, 2 ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. მსურველებს შეგიძლიათ დარეკოთ საღამოს 6 სთ-ის შემდეგ: 29-40-94, 23-50-86.

■ სასწრაფოდ ახალ, მაღალი ხარისხის ნორკის ქურქს 48 ზომის, 6,5 ტონა ფურცლოვან ლითონზე (სისქე 1-3 მმ). ტელ.: 34-72-36.

■ სამოთახიან ბინას, აგურის სახლის პირველ სართულზე, მოსკოვის



## ავტობირჟა

ვყიდი მსუბუქ ავტომანქანას „ზი-ვი", ასაწყობ მდგომარეობაში. ...ვასი ნაწილებით. ფასი 700 დოლარი. ტელ.: 34-43-83.

ვყიდი ავტომანქანა „ვაზ 21-07" 1984 წლის გამოშვება. ფასი 2500 ლარი. ტელ.: 95-73-37.

ვყიდი თეთრ 07-ს, თეთრი ფე-რის. 1983 წლის გამოშვება, 2800 ლარი. ტელ.: 31-62-83.

ვყიდი სატვირთო თვითმცლელ ავტომანქანას „ზილ 130", ფასი შეთანხმებით. ტელ.: 73-59-36.

ვყიდი მანქანა — 09-ის ბარბრიზს, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-36-54, კარლო.

## ვაქირავებ



■ საოფისედ ოროთახიან იზოლირებ ულ ბინას ალ-მაშენებელზ ე, ფილარმო-ნიის გვერ-დით. ავეჯით და ტელეფონით. ფასი 300 ლარი. ტელ.: 38-01-11.

■ ...ერთ ოთახს სამოთახიან ბინაში ...ერთ ქალზე. საბურთალოს ქუჩა-ზე. ტელ.: 37-14-70.

■ ...ბინას მელიქიშვილზე, სასტუმრო „საქართველოსთან". ფასი შეთა-ნხმებით. ტელ.: 23-32-26.

■ ...ტაბიძის ქუჩაზე, ვაკის პა-რკთან სამოთახიან კეთილმო-წყობილ ბინას. ავეჯით და მანქა-ნის სადგომით. ტელ.: 23-17-31.

■ ...ოთახიან ბინას ავეჯით და ტელეფონით, საბურთალოს ქუ-ჩაზე. ტელ.: 38-49-24.

■ ...-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინის ერთ ოთახს 8-სართულიანი სახლის მე-7 სართულზე. სტუ-დენტებზე. მისამართი: ვაჟა-ფშა-ველას მეექვსე კვარტალში. ფასი ...0 დოლარი. ტელ.: 30-19-95, ...კითხეთ ეთერი.

■ ...კერძო სახლში ოთხოთახიან ბი-ნას ვაკის პარკთან. ფასი შეთანხ-მებით. ტელ.: 38-01-11.

■ ...ვაქირავებ ოთახნახევრიან გარე-მონტებულ ტელეფონიან ბინას ...მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტ-თან", ფასი შეთანხმებით; სამოთა-ხიან ბინას ტელეფონით, მეტრო „პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან". ტელ.: 37-23-78, 37-29-73.

■ ...ოთახიან იზოლირებულ ბი-ნას მეტრო „დელისთან" ავეჯით. ფასი 100 ლარი. ტელ.: 74-48-92.

■ ...წყნეთში ბინას. ტელ.: 22-80-55.

■ ...ოთახნახევრიან ბინას ტელეფო-ნით, ვაკის პარკთან, მოსაშვილის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-31-95.

■ ...ვაკეში, ა.წერეთლის პროს-პექტზე 120 კვ.მ. ფართს, სასა-წყობო და კომერციული საქმია-ნობისთვის. ტელ.: 34-63-64, ...გოგა.

■ ...ფალოზე, მეტროსადგურ „...ცირიძესთან" ახლომდებარე ...სართულიანი სახლის მე-5 სა-რთულზე 1 ოთახიან იზოლირე-ბულ ბინას, საჭირო ავეჯითურთ, ...ში 100 ლარად. ტელ.: 74-45-92.

■ ...ოთახიან ბინას, ლოჯით, 8-სა-რთულიან სახლში მე-6 სართუ-ლზე ავეჯით, ტელეფონით. ხინა-...მუდმივადაა. ფასი შეთანხ-მებით. ტელ.: 29-10-60.

■ ...ოთახიან ტელეფონიან ბინას, ...ის მასივში, ხიდთან, პირვე-...თოთხმეტსართულიანი სა-...ბოლო სართულზე. ფასი ...შეთანხმებით. ტელ.: 98-25-63.

■ ...ოთახს ქალისთვის ოთხოთა-...ბინაში ვერისუბანში ფილარ-...მონიასთან ფასი შეთანხმებით. ფა-...40 კვ.მ. მეორე სართული. ...: 99-67-76, 22-43-50.

■ მაღლა წყნეთში ორსართულიან, კაპიტალურ აგარაკს. ტელ.: 22-80-55.

■ ერთოთახიან იზოლირებულ ბი-ნას ტელეფონით ვაკეში, არაყიშ-ვილის ქუჩაზე. ფასი შეთანხმე-ბით. ტელ.: 23-29-43, 38-35-52.

■ ოროთახიან ბინას ლოჯიით, ტე-ლეფონით, ნაწილობრივ ავეჯით. ხუთსართულიანი სახლის პირ-ველ სართულზე მაღალი ბელე-ტაჟით, მანქანის სადგომით, მეტ-რო „სამედიცინო ინსტიტუტ-თან". ფასი 200 დოლარი. ტელ.: 37-23-38, 37-20-73.

■ გეპატიჟებით შავ ზღვაზე: ქობუ-ლეთში, ეზოიანი სახლის მეორე სართულზე შეღავათიან ფასებში ქირავდება საძინებელი ოთახები, პირველ სართულზეა სასადილო, ხუთი წუთის სავალზეა ზღვა, სა-დგური, ბაზარი. ტელ.: 63-67-34.

■ ოროთახიან ტელეფონიან სუფ-თა ბინას მანქანის დასაყენებელი ადგილით, პირველ სართულზე, მაღალ ბელეტაჟზე. მეტრო „სა-მედიცინო ინსტიტუტთან". ტელ.: 37-23-78.

■ ერთოთახიან იზოლირებულ ბი-ნას ერთი ან ორი გოგონასთვის, გამსახურდიას გამზირზე მეტრო „პოლიტექნიკურთან" 8-სართუ-ლიანი სახლის მე-8 სართულზე. პირველი აგვისტოდან. ტელ.: 38-43-79.

■ დოლიძის ქუჩაზე ერთოთახიან, გარემონტებულ იზოლირებულ ბინას, 8-სართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ფასი 80 დოლარი. ტელ.: 36-23-00, წულუკიძე ეთერი.

■ არაგვისპირელის ქუჩაზე, ჩუღუ-რეთის რაიონში პატარა კერძო იზოლირებულ ბინას. ფასი 50 დოლარი. ტელ.: 36-23-00.

■ უცხოელებზე ოროთახნახევრი-ან გარემონტებულ ბინას ორსარ-თულიანი კერძო სახლის პირველ სართულზე მაღალი ბელეტაჟით, უცხოური ავეჯით, ფერადი ტე-ლევიზორით, კონდიციონერით, სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ტელ.: 95-04-46.

■ ერთ ოთახს ვერაზე ტელეფო-ნით და საჭირო სათავსოებით. მხოლოდ სტუდენტ გოგონაზე. ფასი 100 დოლარი თვეში. ტელ.: 98-77-73.

■ ოროთახიან, არასტანდარტულ ბინას საოფისედ. ალმაშენებლის გამზირზე. ფილარმონიასთან. პი-რველ სართულზე. ავეჯით და ტელეფონით. თვეში 300 ლარი. ტელ.: 38-01-11.

## ვიქირავებ



■ ქართული ბურის საც-ხობ თონეს ან თონესთვის გამოსადეგ სათავსოს. ტელ.: 39-86-39.

■ ერთოთახიან ბინას მეტრო „ნაძა-ლადევთან" ახლოს. ტელ.: 37-23-78, იკითხეთ ეკა.

■ უცხოელს სურს სასწრაფოდ იქირაოს 5-6 ოთახიანი გარემონ-ტებული ბინა ავეჯის გარეშე, გა-რაჟით ქალაქის ცენტრში. 2-3 წლით. ტელ.: 95-30-35 (დღისით), 23-35-53, 38-00-66 (საღამოს), იკითხეთ თამრიკო.

■ 30 კვ.მ. ფართობის გასტრონომს ან შესაბამისი ფართის შენობას ქალაქის ცენტრში კომერციული საქმიანობისთვის. ტელ.: 29-28-77 (ბინა), 93-19-93 (სამსახ.) გოგა.

■ ერთ ან ოროთახიან ბინას ვერა-ვაკის მიდამოებში, 100 დოლა-რის ფარგლებში. ვარ ერთი სტუ-დენტი გოგონა. ტელ.: 23-20-11 ან 23-38-96 (იკითხეთ ნანა ან მაიკო).

■ ორგანიზაცია იქირავებს მსუბუქ ავტომანქანას მძღოლის გარეშე. ტელ.: 93-66-28.

## სხვადასხვა

■ ვყიდი კარავს 6 კაცზე. ძალიან იაფად. ტელ.: 23-32-26.

■ ვამზადებ გერმანულში. ტელ.: 98-45-53.

■ ვყიდი სხვადასხვა ჯიშის დახერ-ხილ ხის მასალას. ფასი შეთანხმე-ბით. ტელ.: 36-48-25 (დღე), 37-04-06 (საღამო), იკითხეთ სოსო.

■ ვყიდი გერმანულ ორლულიან (ვერტიკალური) სანადირო თოფს. გამოშვებულია „ზაუერის" ქარხანაში. კარგ მდგომარეობაში. მოხატული, რეგისტრირებული, გილზების ამომგდები ეჟექტო-რით. ფასი 1800 დოლარი. შეიძ-ლება გაცვლა ნახმარ ნორმალურ მდგომარეობაში მყოფ „ჟიგულ-ში". ტელ.: 23-19-62 (დილის 8-დან 11 სთ-მდე).

■ მოვამზადებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლის მოსწა-ვლეებს და აბიტურიენტებს უმა-ღლეს დონეზე. ტელ.: 98-24-09, დარეკეთ საღამოს საათებში, იკი-თხეთ მარინა.

■ ვყიდი ხელის საკერავ მანქანას „ზინგერი". ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-72-75.

■ ვყიდი ძველებურ კაკლის ხის „დსო"-ს. ფასი 1500 ლარი. ტელ.: 95-19-68.

■ ვყიდი წითელის ДСП-სგან დამ-ზადებულ მასიურ კომოდს — ან-ტრესოლი (ლოგინის ჩასაწყობი და ა.შ.) ზომა 2მX1 მ (სიმაღ-ლე)X55 სმ (სიგრძე). ფასი 300 ლარი, სეკრეტერი (დასახური სა-წერი მაგიდა თაროებით). ფასი 300 ლარი. და საკერავი მანქანა „ზინგერი". ფასი 140 ლარი. ტელ.: 36-10-52, 98-39-46.

■ ვამზადებ მოსწავლეებს ინგლი-სურ ენაში, სახლში მისვლით. ტელ.: 39-25-56, იკითხეთ მანანა. დარეკეთ 7 სთ-ის შემდეგ.

■ ვყიდი ჩეხურ ბროლის 16-სანთ-ლიან ჭაღს. ფასი 1300 ლარი; ბრო-ნზეს ოთხპლაფონიან ჭაღს და ბრონზეს ორპლაფონიან ბრას. ორივეს ფასი ერთად 500 ლარი. ტელ.: 95-24-68 (თამრიკო).

■ ვყიდი სახურავის გადასახურ თუნუქს — 200 ცალი. სიგრძე 2 მ და 60 სმ, სიგანე — 1 მ.26 სმ. ფასი შეთანხმებით; ჩეხური პრო-ექტის ოთხოთახიანი ხის განყო-ბილებას — კარ-ფანჯარას, უმა-ღლესი ხარისხის ფიჭვით. ტელ.: 78-57-70, 8 საათის შემდეგ. შავი ზღვის ბაზრობაზე, 114-ე ჯიხური.

■ ვყიდი საქსოვ მანქანას „ნევა-7", ფასი 200 ლარი. ტელ.: 95-31-74.

■ ვყიდი წავკის ვულკანური წარ-მოშობის სამშენებლო წიდა-ბე-ტონს, ფასი ადგილზე 6 ლარი. ტელ.: 22-82-24, 29-96-60.

■ ვყიდი გერმანულ პიანინოს „რო-ინიში". ახალი, ფასი 1000 ლარი; გერმანულ სამზარეულოს, ნახ-მარს, კარგ მდგომარეობაში. რვა ნაჭერი. ფასი 350 ლარი; ავტომა-ნქანაზე დასამონტაჟებელ კა-რავს, ფასი 250 ლარი; ანტიკვა-რულ ჩიბუხს, ფასი 60 ლარი. ტელ.: 62-33-08, იკითხეთ დათო.

■ ვყიდი ანტიკვარულ ავეჯს: წითე-ლი ხის მაკაგონის მაგიდას 6 პერ-სონისთვის სავარძლით, წითელი ხის მაკაგონის ვიტრინას, კაკლის ხის გასაშლელ მაგიდას 40 პერ-სონისთვის და „ზინგერის" ფირ-მის ხელით საკერავ მანქანას. ტელ.: 36-55-42, 6 სთ-ის შემდეგ.

■ ვყიდი როიალს „ბეკერი". ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-36-54. იკითხეთ კარლო.

■ ვყიდი კამერა-მაცივარს „მინსკ", ტევადობა 5 ტ. 1991 წელს გამო-შვებული, თითქმის უხმარი. ფასი 1500 ლარი. ტელ.: 23-51-81.

■ უნივერსიტეტის ლექტორი ამზა-დებს ნებისმიერ მსურველს 14 წლის ზევით, ინგლისურ ენაში არასტანდარტული მეთოდით. ბინაში მისვლით, ფასი ხელმისაწ-ვდომია. ტელ.: 63-67-34.

■ ვყიდი სამრეწველო დანიშნუ-ლების კამერა-მაცივარს. ტელ.: 23-51-81.

■ ვყიდი სარეცხ მანქანას „ვიატკა" — ავტომატი 14 — ახალი, შე-ფუთული. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-10-60.

■ შეღავათიან ფასებში ვამონტაჟებ ელექტრო გაყვანილობას და წყლის გამაცხელებლებს. ტელ.: 38-33-46, იკითხეთ გოგა.

■ ვყიდი დიზელ-გენერატორს 250-დან 300 კილოვატამდე. ტელ.: 34-33-75.

■ ვყიდი გერმანულ პლედებს ორ ცალს. ტელ.: 95-44-79.

■ ვყიდი ყურძნის ელექტრო სა-წურს თავისი წნეხით. იწურება ხელითაც. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-41-85.

■ ვყიდი ფინურ დანადგარზე დამ-ზადებული უმაღლესი ხარისხის წიფლის პარკეტს. ზომები 30X65 და 40X5, ტელ.: 98-70-07.

■ ვამეცადინებ გონებრივად ჩამო-რჩენილ, სმენადაზიანებულ, ყრუ და უმეტყველო ბავშვებს. ტელ.: 98-22-94, 60-69-18, 78-24-86.

■ ვყიდი ახალ სარეცხ მანქანას, ფა-სი 200 დოლარი. ტელ.: 98-29-11.

■ ვყიდი გერმანულ პიანინოს „რო-ინიში", 1000 ლარი; გერმანულ სამზარეულოს, ნახმარი, 8 ნაჭე-რი. ფასი 350 ლარი. ტელ.: 62-33-08.

■ ვყიდი მანქანას „მალიუტკა", ფასი 37 ლარი. ტელ.: 60-70-79. იკი-თხეთ ჟუჟუნა, დილით ან საღამოს.

■ ვყიდი კარავს (პალატკას) 6 კაც-ზე, ხელსაყრელ ფასში; მავთუ-ლის ბადეებიან გალიებს (ქათმე-ბისა და კურდღლებისთვის), ზო-მით 2X1,2X0,6; ფასი ხელსაყრე-ლი. ტელ.: 23-32-26.

■ ვყიდი მაცივარს „ჩინარი" გაუხს-ნელი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-21-61.

■ ვყიდი სუპერმოდელ გერმანულ პიანინოს „როინიში". ფასი 1000 ლარი. ტელ.: 31-25-01, 31-10-29.

■ ვყიდი ხელითნაქსოვ, ძველებურ ხალიჩებს, სპერსულს. ტელ.: 34-79-65, 35-95-55, ქეთინო. ფასი შეთანხმებით.

■ ვყიდი სამგზავრო მაცივარს, ჩე-ხურ მეგაფონს, სანადირო რეზი-ნის კომბინიზონს, კარავს, საძილე ტომარას, გასაბერ ლეიბს და ნავს, სასადილოს მაგიდას ექვსი სკამით (გასაშლელი, ბულგარეთის), ჟუ-რნალის მაგიდას, წიგნების თარო-ებს (ჩეხური), არაბულ ტახტს. ტელ.: 72-26-68.

■ ვყიდი პიანინოს „ვაინბახი", ფასი შათანხმებით. ტელ.: 31-47-83.

■ ვყიდი გერმანული წარმოების ან-ტიკვარული წარმოების თოფს „ზაუერი", კალიბრი 16, ფასი 500 დოლარი. ტელ.: 95-89-13.

■ ვყიდი ახალ პიანინოს „პეტრო-ვი", ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-81-60, თენგიზი.

■ ყურის ბიბილოების გახვრეტა ამერიკული პისტოლეტით და ამერიკული საყურეებით, უმტკი-ვნეულოდ მიღება ყოველ დღე 2-დან 5 სთ-მდე. მის: მეტრო „დიდუბე" დილმის მასივი, მეორე კვარტალი, მეთექვსმეტე კორპ. პირველი სართული (მედეა). ტელ.: 51-53-29.

■ ვყიდი ფერად ტელევიზორს „ელექტრონ-პალსეკა-61 CB", დისტანციური პულტით. ფასი 250 ლარი. ტელ.: 60-67-59.

■ ვყიდი ფერად კინოფირს 8 მლ და ველოტრენაჟორს, ფასი შე-თანხმებით. ტელ.: 98-62-29.

■ ვყიდი პიანინოს „როინიში", ფასი 1350 ლარი; ყინულის გენერა-ტორს, ლ-50, ფასი 300 ლარი; ხორცის საკეპ მანქანას (ელექტ-რო) MM-300, ფასი 400 ლარი; საბურავს 240-508 ორი კომპ-ლექტი, კამერით, 130 ლარი; რკი-ნის გასაშლელ მაგიდას 1,40X60, 1 ცალის ფასი 35 ლარი. ტელ.: 95-73-37, 95-94-70, მიშა.

■ ვყიდი სხვადასხვა ფორმისა და ფერის გემოვნებით გაფორმე-ბულ აბაჟურებს, ლამფებზე, ჭე-რზე, ტორშერზე ჩამოსაკიდს. ტელ.: 99-02-73.

■ ვყიდი მუსიკალურ ინსტრუმენტს ჩეხური წარმოების საყვირს „სუ-პერ არიოზო", ფასი 300 ლარი. ტელ.: 99-02-73.

■ ვყიდი კონდიციონერს БК-2000, ფასი 120 ლარი. ტელ.: 95-48-62, მარინა.

■ ვყიდი სასადილო გარნიტურს, ბეჟი ფერის, ახალს, ვიტრინას, დესოს, მაგიდას და 8 სკამს, ფასი 12000 ლარი. ტელ.: 22-71-80.

■ ვყიდი ნატურალურ თაფლს (აკა-ციის და ცაცხვის), ფასი 8 ლარი. ტელ.: 22-42-99 (იკითხეთ რამაზი).

■ ვასწავლი გიტარაზე დაკვრას. სწავლების გარანტიით. მოკლე ვადებში პოპულარულ ქართულ სიმღერებს და კლასიკას. ტელ.: 96-34-51, 96-22-33.

■ ვყიდი სასწრაფოდ ავეჯს — სამ-ზარეულო „ნონა", რუმინული ვიდეო მაგნიტოფონი „პანასონი-კი" — ჟ 50", ტელევიზორი „პა-ნასონიკი" ეკრანი 72 სმ., ტელე-ვიზორი „რადუგა 716" დეციმე-ტრული, ფერადი. ტელევიზორი „იუნოსტი" შავთეთრი მუშაობს 12 და 220 ვოლტზე. კონდიცი-ონერი „БК-1500", სარეცხ მან-ქანას „ვოლნა", საბეჭდ მანქანას, ქართული შრიფტით, ფეხის სა-კერ მანქანას „ჩაიკა 2M". წყლის გამაცხელებელს ატმორს ისრაე-ლის გამოშვება. ტელ.: 72-26-31.

■ ვყიდი იაპონური წარმოების მტვერსასრუტს „ნაციონალი"; წვენების საწურ „მულინექსს"; იაპონურ ჩაის მუსიკალურ სერ-ვიზს 6 კაცზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-84-45.

■ ფირმა იყიდის უცხოურ ჭურ-ჭელს. ტელ.: 95-94-70.

■ ვყიდი პიანინოს „როინიში", ფასი 1000 დოლარი. ტელ.: 95-73-37.

■ ვყიდი ახალ მაცივარს „სნაიგე 117", წარმოებული ლიტვაში, მსოფლიო სტანდარტების დო-ნეზე, დიდი გასაყინი კამერით, შე-ფუთულ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 71-04-05.

■ ვყიდი კაფელს, მეტლახს, უნიტაზს (ნიჟარა კომპლექტში) და სამზა-რეულოს მაგიდას თავისი ოთხი სკამით. ტელ.: 98-57-67 (სახლი), 99-05-33 (სამსახური), მაია.

■ ვყიდი იუგოსლავურ „კედელს" პალირების გარეშე, სუფთა ხე. ფასი 1200 დოლარი, ტელ.: 99-05-33 (11-დან 4 სთ-მდე), 73-19-26 (4-დან ნებისმიერ დროს). იკი-თხეთ თამრიკო.

■ ვყიდი გერმანულ კაბინეტს, ლ-2 მარკის კაკლის ხისგან დამზადე-ბული. გამოშვებული 1956 წელს, საუკეთესო მდგომარეო-ბაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-11-71.

■ ვყიდი შავი ფერის ანტიკვარულ ნახევრადსაკონცერტო გერმა-ნულ როიალს „შრედერს", საიუ-ბილეო გამოცემას, ფასი შეთანხ-მებით. ტელ.: 23-25-21.

■ ვილებ დაკვეთას — ვწეწავ და ვრეცხავ მატყლს, შევკერავ ლე-იბსა და საბანს. ტელ.: 31-63-47, მარიკა.

■ ვყიდი კაფელს, მეტლახს, უნი-ტაზს, ნიჟარას, სამზარეულოს მა-გიდა-სკამებით და შვიდეული. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 99-05-33 (დღისით), 98-40-35, 98-57-67 (საღამოს).

■ ვასრულებ ელექტროშეკეთე-ბით სამუშაოს. ტელ.: 37-58-27, საღამოს საათებში.

■ ვყიდი ფერად კინოფირებს 8-მი-ლიმეტრიანი, სუპერი და ახალი ველოტრენაჟორს. ფასი შეთანხ-მებით. ტელ.: 29-35-36, 29-27-67.

■ ვყიდი ინგლისური ჯიშის კოკერ-სპანიელის ლეკვებს შავი ფერის. ფასი 150 დოლარი. ტელ.: 51-19-12.

■ ვამზადებ მოსწავლეებს რუსულ ენაში. ვასწავლი სალაპარაკო ენას. ხარისხი უზრუნველყოფი-ლია. ტელ.: 71-81-93.

■ ვყიდი პიანინოს „კრასნი ოქტიაბ-რი" 39 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხ-მებით. ტელ.: 36-46-60, თინა.

■ ვყიდი შალის გერმანულ ხალიჩას „სუპერი" 3,5-2,5. ფასი შეთანხ-მებით. ტელ.: 31-45-39, გოცირიძე.

■ ვყიდი საქსოვ მანქანას „ნევა-3". საწყისი ფასი 200 დოლარი. ტელ.: 71-70-05.

■ ვთარგმნი ნებისმიერ ტექსტს ინგ-ლისურიდან ქართულად და პი-რიქით. 1 გვერდის ფასია 2 ლარი. ტელ.: 23-24-79.

■ ვყიდი მაცივარს „ტ-125": ექვსკა-რებიანი, ახალი. ზომა: სიმაღლე — 2,10 სმ, სიგანე — 1,70 სმ. ფასი 1250 ლარი. ტელ.: 22-79-66.

■ ვყიდი გერმანულ კედელს „კლოტზნერი", ხუთნაჭრიანი ზომა 4,40 სმX2,10 სმ. ჟურნალის მაგიდას და ორ სავარძელს, კარგ მდგომარეობაში, ფასი 1000 ლა-რი. ტელ.: 22-79-66.

■ ვყიდი გასაშლელ დივანს ორსა-წოლიანს, უნგრული წარმოების თეთრეულის ჩასაწყობით, 2 სავა-რძლით და ჟურნალის მაგიდით. ფასი 250 ლარი. ტელ.: 22-79-66.

■ ვყიდი 1,7 ტონა ტევადობის რკი-ნის კასრს, იაფად. ტელ.: 66-37-41, 23-26-47, 34-47-61.

■ ვყიდი კაპიტალურ გარაჟს ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე 56 (მეც-ხრე საავადმყოფოსან). ტელ.: 22-37-09.

■ მოვამზადებ აბიტურიენტს სახე-ლმწიფოსა და სამართლის საფუძ-ველში. აჩქარებული ტემპით (შე-იძლება ბინაზე მისვლითაც). ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-13-58.

■ ვყიდი ავეჯს: გერმანულ საძინე-ბელს, პიანინოს „ბელარუსი", ვე-ნურ სკამებს, ტელევიზორს, „საი-უნგი", გასაშლელ დივანს. ტელ.: 96-46-01.

■ ვყიდი „ქართულ მწერლობას", 8 ტომი, „ქართულ პროზას" — 19 ტომი, საბავშვო ბიბლიას ინგლი-სურ ენაზე, ამერიკაში გამოცე-მულს, ილუსტრირებულს, ვებს-ტერის დიდ ლექსიკონს (ილუსტ-რირებულს — 20000 გვერდი). ტელ.: 23-40-32.



მეუღლე ლილი, შვილები ლიანა, ვახტანგ ნანიტაშვილები, სიდედრი ლოლა ვასაძე, სიძე შურა ჭელიძე, რძალი ნანა ქარხალაშვილი, შვილიშვილები სანდრო, გიორგი ჭელიძეები, ნატო, ნუცა ნანიტაშვილები, შვილთაშვილი სანდრო ჭელიძე. მძახლები ოლია ქარხალაშვილი, ნათელა ჭელიძე, ტარიელ გაბუნია, დისშვილები გურამ, ვიოლა ჯაფარიძეები ოჯახებით, მზია, გულიკო პაქსაშვილები, ცისანა, ცეცო ჩოზაძეები, მარლენ ბურჯანაძე, რძალი მარგალიტა ნანიტაშვილი ოჯახებით, ცოლისდები მედეა ნონეშვილი, ლამარა როყვა, ნანული ორაგველიძე, ნანი, გურამ ვასაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბორის გრიგოლის ძე ნანიტაშვილი

პანაშვიდი 30, 31 VII; 5 საათზე, დაკრძალვა 1 VIII; 4 საათზე
მისამართი: ქ. თბილისი, ზანდუკელის 13 (ყოფილი ჯავახიშვილის ქუჩა)

# რაც კარგები ვართ...

ატლანტაში მართლა აფეთქდა ბომბი, მსხვერპლიც იყო... რაც ზოგიერთმა ჩვენთაგანმა ის პოლიციელი აგინა, ხახალეიშვილი რომ შეაჩერა და შესაძლო ნალმზე ასაფეთქებლად არ გაუშვა... მართალი ყოფილა ის კაცი, რას ვერჩოდით, რატომ დავატეხეთ გინება და რისხვა, თავის საქმეს წესიერად და პატიოსნად აკეთებდა, მაგრამ რა ვქნათ, ყოველთვის სხვისთვის გვიყვარს ჩვენი უხეირობის გადაბრალება.

– შევეშვათ, ცოტა ხნით მაინც, იმ პოლიციელს, ხახალეიშვილსაც, ჩვენთვის უარესი ბომბი პარასკევ ღამეს აფეთქდა, თანაც არა ერთი. როგორ ველოდით იმ ღამეს, ერთი ბრინჯაოს მედლის ამარა მყოფნი მოუთმენლად ველოდებოდით ასპარეზობათა დაწყებას და გვჯეროდა, რომ იმ ღამით რამდენიმე მედალს, მათ შორის ოქროსაც ავიღებდით. პირველი ნაღმი მაშინ გასკდა, როდესაც „ევროსპორტზე" პისტოლეტით მსროლელ ქალთა დაჯილდოების ცერემონიალს მოვკარით თვალი და პრიზიორთა შორის ნინო სალუქვაძე არ იყო. მერე იყო და 60 კგ. ძიუდოისტთა პაექრობას მივაჩერდით ნაშუაღამევს და, რომ აღარ გამოჩნდა ეკრანზე გიორგი ვაზაგაშვილი, ის ვიფიქრეთ, ნაღდად ფინალშიაო — აბა, იმას ხომ არ ვიტყოდით, ვინმე იტალიელთან, ან მონღოლთან წააგებდაო. იჭიდავეს მე-3 ადგილისთვის, ჯერ ქალებმა, შემდეგ კაცებმა, ქალთა ფინალიც გაიმართა და მოუთმენლობამ რომ აგვიტანა, მერეღა გაირკვა, ტყუილად ვნერვიულობდით — ფინალში იტალიელი და იაპონელი იყვნენ, ხოლო ვაზაგაშვილი, საერთოდ არ გამოჩენილა ეკრანზე. მერე კაკაურიძემ წააგო ვიღაც არაბთან და იმის იმედიღა დარჩა, იქნებ მიქიაშვილმა მაინც აიღოს მედალი ძალოსნობაშიო — არა, პიროს დიმასს რომ ვერას დააკლებდა, კარგად ვიცოდით, მაგრამ... ეკრანზე ხან გერმანელი ძალოსანი ჩანდა, ხან ვინმე სომეხი ბიჭი, მერე დიმასმა სულ თამაშ-თამაშით დაამყარა რეკორდები და მხოლოდ გამთენიისას გავიგეთ — მიქიაშვილი მეცხრე ადგილზე გასულა.

იგივე განმეორდა შაბათს, შემდეგ კვირასაც. ერთი ის იყო, კობა გოგოლაძემ კუბელი გალახა — ესეც საქმეა, მართალია, ჯერ მედალი არ არის, მაგრამ კუბელის ცემა სამოყვარულო რინგზე, ხუმრობა არ გეგონოთ. იმნაიშვილმაც ისროლა, ბიგანიშვილიც ამთავრებს აფროსნობას და მედლები კი არ ჩანს. ვისი იმედიღა უნდა გვქონდეს? — პირველ რიგში, ალბათ, თავისუფალი სტილით მოჭიდავეების და იმის, რომ წუხელ გიორგი კანდელაკი უძლეველ კუბელს, ფელიქს სავონს იგივეს გაუკეთებდა, რაც გოგოლაძემ გონსალესს უქნა. იქნებ მუხრან გოგიასაც აეწია მძიმე შტანგა, ისე რა თქმა უნდა, ვერა, როგორც ბერძენთა წარმომადგენელმა კახიაშვილისმა ჰქნა, მაგრამ, მაინც... იქნებ ვახტანგ იაგორაშვილსაც ძალუძს ძველებურად მედლის მოპოვება, ღმერთმა ქნას...

ისევ ხახალეიშვილს დავუბრუნდები. ახლა რომ ვფიქრობ, ძალიანაც კარგი გააკეთა ამერიკელმა პოლიციელმა, ჩვენი დაბნეული ძიუდოისტი რომ შეაყოვნა. ახლა იმის თქმა მაინც შეგვიძლია, ნაღდი ოქროს მედალი დავკარგეთ და ამ აბსურდულმა ამბავმა სხვებზეც, პირველ რიგში კი ძიუდოისტებზე იმოქმედა და ვინ იცის, ამის წყალობით რამდენიმე მედალი დავკარგეთო. კიდევ ვიმეორებ, ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარს — ყოველგვარი წარუმატებლობების მიზეზი სადმე სხვაგან მოვძებნოთ და ყველაფერი რაღაცას, თუ ვიღაცას გადავაბრალოთ. წარმოვიდგინოთ, რომ ხახალეიშვილს მონაწილეობა მიეღო ასპარეზობაში და ისევე დაემთავრებინა ტურნირი, როგორც ვთქვათ ვაზაგაშვილს. ახლა რომ ვფიქრობ, ეს ამბავი ნამდვილად აღარ გამიკვირდებოდა; რა, ვაზაგაშვილის ოქროსი ნაკლები იმედი გვქონდა? მაშინ ხომ ვეღარაფერს ვერ დავაბრალებდით ჩვენს წარუმატებლობებს. ასე რომ, იქნებ ასეც სჯობდა.

ერთი კი ახლავე უნდა ითქვას — ერთი თვის, ორი თვის, თუნდაც ნახევარი წლის გულმოდგინე ვარჯიშის შედეგად, ოლიმპიური მედალი არ მოიპოვება. ამას დიდი შრომა სჭირდება — წლობით. ამას ფულიც სჭირდება და სახელმწიფოსგან დიდი ყურადღებაც. ბერძნებს შევხედოთ — ორიოდე ოლიმპიადის წინ მათგან ერთი ოქროს აღებაც გვიკვირდა, დღეს კი დიდი ფული ჩაიყარა ბერძნულ სპორტში, სახელმწიფოც დაინტერესდა და შედეგიც სახეზეა. უჭირთ ჩვენს სპორტსმენებს, მათი ბრალი არ არის, ეს მათი უბედურებაა...

– ისევ უნდა გავათენო ღამე. იქნებ დღეს მაინც... არადა, ყველამ მოიგო უკვე — ფრანგმა, არაბმაც და სირიელმა ქრისტიანმა, კანადელმა ზანგმა და აფრიკელმა ზანგმა, ვიღაც აზიელებმა და ჩვენმა მეზობელმა სომხებმა, სხვებმა და სხვებმა... ჩვენ კი ერთი ბრინჯაოს მედალი გვაქვს, იმის თქმა კი ხშირად გვიყვარს ხოლმე — რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო...

**გიორგი ბერიკაშვილი**

**P.S.** სამშაბათიც თენდება. მუხრან გოგიას მოლოდინში მამლებმა ყივილი დაიწყეს — ყველა გამოვიდა ფიცარნაგზე ქართველი ძალოსნის გარდა. როგორც ბოლოს გავიგეთ, გოგიამ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. კიდევ ერთი ქართული გამოცანა...


**თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1996-97 სასწ. წ. შემდეგ სპეციალობებზე**

(ქართული და რუსული სექტორი):

იურიდიული ფაკულტეტი (დღისა და დაუსწრებელი სწავლება): საერთაშორისო სამართალი, სამართალმცოდნეობა, ბიზნესის სამართალი;

ეკონომიკური ფაკულტეტი (დღისა და დაუსწრებელი სწავლება):

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ბიზნესმცოდნეობა, აუდიტმცოდნეობა, საბაჟო და საგადასახადო საქმის მენეჯერი, საფინანსო-საბანკო საქმე;

ფსიქოლოგიური ფაკულტეტი: (დღის სწავლება) ფსიქოთერაპია, რეკლამის ფსიქოლოგია, კონფლიქტოლოგია;

ჰუმანიტარული ფაკულტეტი: უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, სპარსული), ჟურნალისტიკა, დაწყებითი განათლების მეთოდიკა.

ადგილი — პრესტიჟული

ფასები — ხელსაყრელი

ინსტიტუტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით, პერიოდულად ლექციებს წაიკითხავენ საზღვარგარეთელი სპეციალისტები. ინსტიტუტში უცხო ენების სწავლება მიმდინარეობს გაძლიერებული პროგრამით. გვაქვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლინგაფონური კაბინეტი და კომპიუტერული ლაბორატორია. წევამდელთათვის უზრუნველყოფილი იქნება სწავლების უწყვეტი ციკლი. სტუდენტები სურვილისამებრ სტაჟირებას გაივლიან ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში. ფრიადოსნები გათავისუფლდებიან სწავლის ქირისგან და დაენიშნებათ სტიპენდია. წარჩინებული სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან სამუშაო ადგილით. ინსტიტუტში გრძელდება სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან სტუდენტთა გადმოსვლა — II, III და IV კურსებზე.

საბუთების (ატესტატი ან დიპლომი, ოთხი ფოტოსურათი) მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-დან 17 საათამდე.

მიმდინარე სასწავლო წელს ექსპერიმენტის წესით აბიტურიენტები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ (ზოგადი გასაუბრებით).

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქუჩა № 70 (მეტრო პოლიტექნიკური, სასტუმრო „აჭარის" გაგრძელებაზე).

ტელეფონები: დღისით: 36-34-06, საღამოს: 36-26-89, 74-23-21, 36-53-92



**შპს «კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია»**

**იწვევს სამუშაოდ**

**ფინანსურ მენეჯერს.**

**აუცილებელია: ინგლისური ენის ცოდნა, მუშაობის გამოცდილება.**

**სამუშაოდ მიიღებიან 35 წლამდე ასაკის მოქალაქეები.**

**მსურველებმა მიაკითხეთ წერეთლის გამზ. № 114**

(შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" ქარხანა)


## ოლიმპიადის საერთო ცხრილი 29 ივლისისთვის (მოწინავე ათეული)

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 20 | 26 | 9 | 55 |
| რუსეთი | 15 | 11 | 9 | 35 |
| საფრანგეთი | 12 | 6 | 12 | 30 |
| ჩინეთი | 9 | 11 | 6 | 26 |
| იტალია | 9 | 5 | 8 | 22 |
| გერმანია | 8 | 11 | 18 | 37 |
| ავსტრალია | 7 | 7 | 15 | 29 |
| პოლონეთი | 6 | 5 | 2 | 13 |
| რუმინეთი | 4 | 3 | 4 | 11 |
| უნგრეთი | 4 | 2 | 5 | 11 |

## რუსეთის სატელევიზიო არხების ოლიმპიური პროგრამა სამშაბათისა და ოთხშაბათისთვის (დრო თბილისისაა)

**სამშაბათი 30 ივლისი**

ORT

**14.00 — 16.00** — მძლეოსნობა
**18.00 — 19.00** — თამაშების დღიური
**00.30 — 03.00** — თამაშების დღიური, ძალოსნობა

RTR

**11.25 — 11.55** — ტანვარჯიში
**12.30 — 14.55** — წყალში ხტომა
**19.20 — 20.55** — ტანვარჯიში
**21.35 — 22.05** — თამაშების დღიური
**00.05 — 02.30** — ფრენბურთი, კრივი, მაგიდის ჩოგბურთი

**ოთხშაბათი 31 ივლისი**

ORT

**14.00 — 16.00** — ხუთჭიდი, კრივი
**18.00 — 19.00** — თამაშების დღიური
**00.30 — 02.30** — ბადმინტონი, თამაშების დღიური, კრივი

RTR

**11.35 — 11.55** — ტანვარჯიში
**12.30 — 14.55** — ფრენბურთი
**19.30 — 20.55** — ფეხბურთი, თამაშების დღიური
**00.35 — 02.35** — ველოსპორტი, თავისუფალი ჭიდაობა, მშვილდოსნობა.

# ოლიმპიადის დღიური

## პარასკევი, 26 ივლისი

26 ივლისს ასპარეზობაში ჩაებნენ მძლეოსნები. გათამაშდა მედლების ერთი კომპლექტი — 20 კმ. სპორტულ სიარულში ვაჟთა შორის მოულოდნელად იმარჯვა ეკვადორელმა ჯეფერსონ პერესმა, რომელმაც შეძლო ფავორიტების — რუსი და მექსიკელი მოსიარულეების დამარცხება. ვაჟთა შორის ბირთვის კვრაში პირველი-მეორე ადგილები ამერიკელებმა რენდი ბარნსმა და ჯონ გოდინამ დაიკავეს. მესამე ადგილზე უკრაინელი ბაგაჩი იყო.

თუ ამ დღეს მძლეოსნებმა მხოლოდ დაიწყეს შეჯიბრი, მოცურავეებმა მედლების ბოლო ხუთი კომპლექტი გაითამაშეს. მასპინძლებმა სამი ოქროს მედალი მოიპოვეს — ვაჟთა შორის გულაღმა ცურვაში 200 მ-ზე იმარჯვა ბრედ ბრიჯუოთერმა, ქალთა შორის 50 მ-ზე თავისუფალი სტილით ემი ვან დიქენმა, ხოლო 4X100 მ-ზე კომბინირებულ ესტაფეტაში ამერიკელმა ვაჟებმა მსოფლიო რეკორდი — 3.34.84 დაამყარეს და ადვილად მოუგეს რუსებსა და ავსტრალიელებს. დანარჩენი 2 ოქრო ავსტრალიელთა საკუთრება გახდა — ქალთა შორის 200 მ. ბატერფლაით მოიგო სიუზან ო ნეილმა, ხოლო ვაჟთა მარათონში — 1500 მ-ზე თავისუფალი სტილით ცურვაში თანამემამულე დენიელ კოვალსკის აჯობა კერინ პერკინსმა, რომელიც ბოლო წამს მოხვდა ოლიმპიადაზე და ბევრს უკვე ჩამოწერილი ჰყავდა.

დამთავრდა ძიუდოისტთა ტურნირიც — ვაჟთა შორის 60 კგ. წონაში პირველი იყო იაპონელი ტადახირო ნომურა, ხოლო 48 კგ. ქალებში ნომურას თანამემამულე რიოკო ტამურას სძლია ჩრდილოკორეელმა სუნმა.

სამჭიდელმა ცხენოსნებმა გუნდურის კვალად გაითამაშეს პირადი პირველობის მედლები — პირველი-მეორე ადგილები ახალზელანდიელმა ცხენოსნებმა დაიკავეს. ორი ოქროს მედალი ხვდათ წილად ჩინელ მსროლელებს — ლი დუიო ჰოლნგმა მოიგო ქალთა შორის სტანდარტული პისტოლეტით სროლა, ხოლო ვაჟებში მოძრავ სამიზნეებზე ყველაზე ზუსტი იყო იანგ ლინგი.

მორიგი მსოფლიოს რეკორდები იქნა დამყარებული ძალოსანთა შორის — ბერძენი პიროს დიმასი აშკარად ყველაზე ძლიერი იყო 83 კგ. წონით კატეგორიაში. მან 180 კგ. აიტაცა, 212,5 კგ. აჰკრა და ორჭიდის ჯამში 392,5 კგ. დააგროვა.

## შაბათი, 27 ივლისი

ყურადღების ცენტრში იყო მძლეოსანთა ასპარეზობა, უფრო ზუსტად კი, ვაჟთა და ქალთა შორის 100 მ-ზე რბენაში ფინალური გარბენები. ქალთა შორის აბსოლუტურად განმეორდა ოთხი წლის წინანდელი შედეგი — ჩემპიონობისთვის ამერიკელები გეილ დივერსი, გვენ ტორენსი და უბერებელი იამაიკელი ლამაზმანი მერლინ ოტი იბრძოდნენ. ჩემპიონი ფოტოფინიშმა გამოავლინა — დივერსმა თავისი მეორე ოლიმპიადა მოიგო — 10,94 წმ. იგივე შედეგით მეორე ადგილზე ოტი გავიდა, რომელიც უკვე მეხუთე თამაშებია, საპრიზო ადგილებზე გადის. ტორენსი მათ ორი მეასედი წამით ჩამორჩა.

ძალზე დრამატულად განვითარდა მოვლენები ვაჟთა გარბენში. რამდენჯერმე დაფიქსირდა ფალსტარტი და ისე მოხდა, რომ ბარსელონას თამაშების ჩემპიონი, ბრიტანელი ლინფორდ კრისტი დისკვალი-



დონოვან ბეილი

ფიცირებულ იქნა. ბოლოს და ბოლოს, გარბენს სტარტი მიეცა და წინ ნამიბიელი ფრენკ ფრედერიკსი გაიჭრა, მაგრამ დისტანციის მეორე ნახევარში ფანტასტიურად ირბინა კანადელმა მსოფლიოს ... დონოვან ბეილიმ, რომელმაც ... მორჩენა და ახალი მსოფლიო რ... — 9,84 წმ. ოლიმპიური ჩემპიონ... მოიპოვა. ფრედერიკსი მეორე ... 9,89, ხოლო მესამეზე ტრინიდად... ბოლდონი გავიდა — 9,90.

სენსაციურად დამთავრდა ... ვაჟთა შორის სამხტომში — ... მსოფლიოს რეკორდსმენი, ... ბრიტანელი ჯონათან ედვარდს... ნობა ახალი ოლიმპიური რეკორ... 18,06 მ. მოიპოვა ამერიკელმა კენ... ნმა. ქალთა შორის შუბის ტყორ... ლმა ჰელი რანტანენმა მოიგო — ...

შაბათს მედლების 7 კომპლ... თამაშეს აკადემიური ნიჩბოსნო... ტებმა — ორი ოქრო ავსტრალი... ბოსნებმა მოიპოვეს, ხოლო ... პირველი ადგილი წილად ხვდა ... ლებს, იტალიელებს, კანადელებ...



ჩარლზ ოსტინ...

რიელებს და ბელორუსებს ორ... გამოვლინდა სანიჩბოსნო სლალ... პირველი ადგილები ჩეხებმა და ... ბმა მოიპოვეს — სლოვაკი მაი... ნაკი საუკეთესო იყო კანოისტ... ხოლო ჩეხმა ქალმა სტეპანკა ... ვამ ყველას აჯობა ერთადგილიან... ბით ასპარეზობაში.

დამთავრდა ასპარეზობა ... ნებისმიერი შაშხანით 50 მ-ზე ... მარჯობიდან სროლაში ახალი ... რეკორდით — 1273,9 ქულა ... ნგმა ჟან-პიერ ამამ. მრგვალ სტე... ლაში ყველას აჯობეს იტალიელ... პირველი და მესამე ადგილები ... ჩემპიონი ენიონ ფალკო გახდა...

ორი ოქროს მედალი მ... ნგმა ... 4 კმ-ზე გამოდევნებით გუნდურ... და ქალთა სპრინტში. სადაც ... იყო ფელისია ბალანგა.

91 კგ-მდე წონის ძალოს... ოლიმპიური ჩემპიონობა მოი... ალექსეი პეტროვმა — 402,5 ... ბიჩ-ვოლეის, ანუ პლაჟ... თა ფინალი ბრაზილიელთა შ... იქცა — ანდრა პირესისა და ... დუეტმა ორ პარტიაში დამა... როდრიგეს — აერიკის ჩემპ...

იმედების პირველი კ... თამაშეს წყალში მხტომელებ... კიდან ხტომაში ქალთა შორის ... მოიპოვა ჩინელმა სპორტსმ... ფუმ.

## კვირა, 28 ივლის...

სენსაციური შედეგებით ... წყალბურთელთა ოლიმპიურ... ასპარეზობის მთავარი ფავორ... გრუპეში ... ბში დამარცხდნენ და მსოფლ... მედლებისთვის მატჩში შეხვ... ნეთს — დამატებით დროში ... იტალიელებმა მოიგე... სილონის ოქრო ატლანტის... დაცვადეს. მთავარი ფინალში ... და ხორვატიის გუნდები შე... ლებმა 7:5 მოიგეს და პირვე... ოლიმპიური ჩემპიონი გახ...

ძალოსანთა შორის გა... ონის წონებში 99 კგ. წონით... დიდებულად იასპარეზა კახ... (საბერძნეთი). მან საკუთარ... ლო ყაზახეთის წარმომად... შანსი არ დაუტოვა მეტოქე... მოიპოვა ოლიმპიური ჩემპ... პარალელურად სხვა... ლონი რეკორდი დაამყარა... 235 კგ და ორჭიდში... ამ დღეს ბერძენთა... ბაზრამ...

# ოლიმპიადის დღიური

ვე—14 გვერდიდან

...ოქროს მედალი მოიპოვა — ტანმოვარჯიშე ...ლთისანიდიამ უველას აჯობა ვაჟთა შორის ...ვარჯიშში. რგოლებზე ვარჯიშში ბადალი ...ტალიელ მსოფლიოს ჩემპიონს იური ჩეჩის. ...შნოს სახელოვანი ბელორუსი ტანმოვარ-...ლონის თამაშების ექვსგზის ჩემპიონის, ვი-...ბოს წარუმატებელი გამოსვლა. ჭერჭერო-...ვარიშზე მხოლოდ მრავალჭიდში მობოვე-...ლოს მედალია. ტაიჭზე ვარჯიში შვეიცარიე-...ტამენმა მოიგო, ხოლო ქალებში, ორძელსა



ნადა შუია

...ში იმარჯვეს შესაბამისად — რუსმა ჩურკი-...ინელმა ამონარიმ.

...ოსანთა ასპარეზობაში აღინიშნა მორიგი სე-...დამარცხდა ოლიმპიური თამაშებისა და მსო-...ვალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, სიმა-...ვრომელი კუბელი ხავიერ სოტომაიორი. 239 ...პირველი ადგილი მასპინძელთა წარმომა-...ოსტინმა დაიკავა. სირიელმა ქალმა ჩადა ...ვა შვიდჭიდელთა პაექრობაში. ვაჟთა შო-...ტურნირი მოიგო უნგრელმა კიშმა, ხოლო ...ის 5000 მ-ზე სირბილი ჩინელმა ვანგმა. ...ის მარათონულ რბენაში დიდი უპირატე-...რჩვა კუთოპიელმა ფატიმა რაბუმ.

...რდა პლაჟბურთელთა ოლიმპიური ტურ-...შორის პირველი-მეორე ადგილები მასპინ-...კავეს, მესამეზე კანადელი სპორტსმენები

...ური ჭიდაოსნობის ოსტატებმა მედლების ...კომპლექტი გაითამაშეს — 3 ოქრო მოიპო-...ლებმა, 2 რუმინელებმა, თითო ჰოლანდიე-...ანიელებმა.

\+ \+ \+

...რთელ ვაჟთა ტურნირზე გაიმართა მეო-...ური მატჩები: არგენტინელებმა შანსი არ ...ესპანელებს და 4:0 დაამარცხეს მეტოქე-...ფინალში პორტუგალიელებს შეხვედრი-...ც დამატებით დროში, „ოქროს გოლის" ...დამარცხეს ფრანგები 2:1. მეორე ნახევარ-...ზილიის და ნიგერიის გუნდები ითამაშე-...ლებმა საკმაოდ იოლად, 2:0 სძლიეს მექსი-...მარიო ზაგალოს გუნდს მძიმე ბრძოლის ...უხდა განელებთან მატჩში — ბრაზილიე-...ებდნენ და ამ დროს რონალდომ საკმაოდ ...ცაში გაათანაბრა ანგარიში. შემდეგ იგივე ...და ბებეტომ ორი ულამაზესი გოლი გაი-...ხვედრაც 4:2 დამთავრდა.

...თელ ქალთა შეჯიბრში კი უკვე ფინალი-...ლინდნენ — ნახევარფინალებში ჩინეთმა ...მარცხა — 3:2, ხოლო მასპინძლებმა და-

მატებით დროში 2:1 სძლიეს ნორვეგიელებს.

დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა ჯგუფური ტურნირები. მე-5 ტურში შემდეგი შედეგები აღინიშნა: „ა" ჯგუფი — აშშ — ხორვატია 102:71, ლიტვა-ჩინეთი 116:55, არგენტინა-ანგოლა 66:62.

„ბ" ჯგუფი — იუგოსლავია-პუერტო-რიკო 97:86, ავსტრალია-საბერძნეთი 103:62, ბრაზილია-კორეა 127:97.

მეოთხედფინალებში ითამაშებენ — აშშ-ბრაზილია, ლიტვა-საბერძნეთი, იუგოსლავია-ჩინეთი, ავსტრალია-ხორვატია.

ბეისბოლისტთა ტურნირზე ექვსი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით ლიდერობენ კუბელები. აშშ-ის გუნდს 5 მოგება და ერთი წაგება აქვს, ნიკარაგუას 4 მოგება, იაპონიასა და იტალიას 2-2, ხოლო კორეას, ავსტრალიასა და ჰოლანდიას თითო მოგება აქვთ.

დამთავრდა ჯგუფური ტურნირები ფრენბურთელ ქალთა შეჯიბრშიც. წაუგებლად იასპარეზეს ბრაზილიელმა და ჩინელმა ფრენბურთელებმა. მეოთხედფინალებში ითამაშებენ — ბრაზილია-კორეა, ჩინეთი-გერმანია, რუსეთი-ჰოლანდია და აშშ-კუბა.

ხელბურთელ ქალთა ასპარეზობაში გაიმართა მე-2 ტურის შეხვედრები. „ა" ჯგუფი — ნორვეგია-გერმანია 28:23, კორეა-ანგოლა 35:19.

„ბ" ჯგუფი — უნგრეთი-აშშ 30:24, დანია-ჩინეთი 33:21

დასასრულს მიუახლოვდა ბალახის ჰოკეისტთა ჯგუფური ტურნირებიც. მართალია, ინდოელმა ვაჟებმა მე-5 ტურში დაამარცხეს ესპანელები 3:1, რომლებიც მანამდე უდანაკარგოდ ასპარეზობდნენ, მაგრამ ჯგუფიდან მაინც ვერ გავიდნენ, ისევე, როგორც პაკისტანელები — ამ ჯგუფიდან ნახევარფინალში ესპანეთისა და გერმანიის გუნდები გავიდნენ. მეორე ჯგუფიდან ცნობილია ერთი ნახევარფინალისტი — ავსტრალიის ჰოკეისტთა ნაკრები.

\+ \+ \+

ცნობილი გახდა რამდენიმე სპორტსმენის ვინაობა, რომელთაც ჩაუფლავდათ დოპინგ-ტესტი და დისკვალიფიცირებულ იქნენ. მათ შორის არიან რუსები — მოცურავე კორნილოვი (200 მ. ბრასი) და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე გულიევი (48 კგ.) ორივე მათგანს ჩამოერთვა ბრინჯაოს მედლები.



კახი კახიაშვილი

\+ \+ \+

გუშინ, 29 ივლისს გათამაშდებოდა მედლების 18 კომპლექტი. ამ დროისთვის უკვე ცნობილი იყო 10 კმ-ზე სპორტულ სიარულში გამარჯვებულის ვინაობა — პირველობა რუსმა ქალმა ნიკოლაევამ მოიპოვა. მძლეოსნები მედლების კიდევ 7 კომპლექტს გაინაწილებდნენ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომა და 400 მ-ზე სირბილი. მედლების 5 კომპლექტი თამაშდებოდა ტანვარჯიშში, 2 — აფროსნობაში, თითო — მაგიდის ჩოგბურთში, წყალში ხტომასა და ძალოსნობაში.

ფეხბურთი

# „დინამო" — „მოლდე": ამ მეტოქის დამარცხება სავსებით შესაძლებელია

პარასკევს გამართულმა უეფას თასის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრამ მეტოქედ ნორვეგიის „მოლდე" გვარგუნა. ვერაფერს ვიტყვით, ნორვეგიული კლუბი არ განეკუთვნება ევროპული ფეხბურთის გრანდებს და თბილისელთათვის ამ გუნდის დამარცხება რეალურია. მით უმეტეს, რომ ჩვენს მეტოქეებს დაარსების დღიდან მაინც და მაინც არაფრით გამოუჩენიათ თავი, არც ქვეყნის ჩემპიონატში და არც ევროპულ სარბიელზე. გუნდი 1911 წ. დაარსდა, მაგრამ პირველ წარმატებას 1974-1975 წწ. სეზონში მიაღწია, როცა ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში გადავიდა და ნორვეგიის ვიცე-ჩემპიონი გახდა. ეს იყო და ეს. 70-იან წლებში ნორვეგიულ კლუბს რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის აღარ მიუღწევია. გუნდმა ორჯერ იასპარეზა უეფას თასის გათამაშებაში, მაგრამ ორივეჯერ პირველივე ეტაპზე დამარცხდა. 1975-1976 წწ. „მოლდე"-"ესტერი" (შვედეთი) 1:0, 0:6. 1978-1979 წწ. „მოლდე" — „ტორპედო" (მოსკოვი) 0:4, 3:3.

ოთხმოციან წლებში კლუბის წარმატებათა ნუსხა მხოლოდ რამდენიმე თარიღით შემოიფარგლება: 1982 და 1989 წწ. გუნდი ორჯერ გავიდა ნორვეგიის თასის გათამაშების ფინალში და ორჯერვე ხელი მოეცარა. 1988-1989 წწ. სეზონში კი „მოლდემ" უეფას თასზეც იასპარეზა, მაგრამ პირველივე ეტაპზე გამოეთიშა გათამაშებას: „მოლდე" —"ვარეგემი" (ბელგია) 0:0, 1:5.

უველაზე დიდ წარმატებას კლუბმა შარშანდელ სეზონში მიაღწია, როცა ვერცხლის მედლებთან ერთად ნორვეგიის თასსაც დაეუფლა. თასის ფინალში „მოლდემ" ანგარიშით —3:2 დაამარცხა „ლინი". მაგრამ ევროპულ სარბიელზე კლუბმა კვლავ კრახი განიცადა, თუმცა, წინა წლებთან შედარებით მცირეოდენ პროგრესს მიაღწია და პირველი ეტაპი ღირსეულად გადალახა. 1995-1996 წ.წ.- თასების თასი: „მოლდე" — „დინამო-93" (ბელარუსი) 1:1, 2:1, „მოლდე"- „პარი სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი) 2:3, 0:3.

წელს ნორვეგიის „მოლდე" ევროპული თასების გათამაშებაში მეხუთედ მიიღებს მონაწილეობას. წინა ოთხ გათამაშებაში გუნდმა 10 თამაში ჩაატარა. აქედან 2 მოიგო, 5 წააგო და 3 ფრედ დაამთავრა. ბურთების შეფარდება — 10:26.

წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში 16 თამაშიდან 27 ქულით „დინამოელთა" მეტოქე, ჯერჯერობით მესამე ადგილზეა. გათამაშებას კი 36 ქულით ქვეყნის ჩემპიონი „რუსენბორგი" ლიდერობს. 30 ქულით მეორე ადგილზეა „ლილესტრიომი".

რაც შეეხება თბილისის „დინამოს" გუნდი სერიოზულად ემზადება ამ მატჩებისთვის. როგორც ვიცით, ბალტიისპირეთიდან დაბრუნების შემდეგ თბილისელებმა პირველი საკვალიფიკაციო შეხვედრები ჩაატარეს ლუქსემბურგის „გრევენმახერთან" და ორი თამაშის ჯამში დაამარცხეს მეტოქე. კვირას კი ქვეყნის ჩემპიონმა საქართველოს სუპერთასის პირველ გათამაშებაში, ბათუმში დიდი ანგარიშით 4:0 დაამარცხა ადგილობრივი „დინამო" და თასის პირველი მფლობელი გახდა (გოლები გაიტანეს: იაშვილი, ყიზილაშვილი (2) და ცქიტიშვილი. ამ მატჩში თბილისელთა შემადგენლობაში გამოჩნდნენ ტრავმირებული კახა კალაძე და დიმიტრი კუდინოვი. მეორე ტაიმში მოედანზე გამოვიდა გელა ინალიშვილიც. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 6 აგვისტოს მატჩს საქართველოს ჩემპიონი სრული საბრძოლო შემადგენლობით შეხვდება. აქვე გთავაზობთ პარასკევს გამართული წილისყრის შედეგებს:

ვასუტასი (უნგრეთი) — ბერი თაუნი (უელსი)
ბეითარი (ისრაელი) — ბოდო გლიმტი (ნორვეგია)
ჰელსინბორგი (შვედეთი) — დინამო 93 (ბელარუსი)
კოშიცე (სლოვაკეთი) — სელტიკი (შოტლანდია)
ლეგია (პოლონეთი) — ჰაკა (ფინეთი)
რაპიდი (რუმინეთი) — ლოკომოტივი (ბულგარეთი)
შლემა უონდერერზი (მალტა) — ოდენსე (დანია)
ირაკლისი (საბერძნეთი) — აპოელი (კვიპროსი)
კროაცია (ხორვატია) — სპარტაკი (რუსეთი)
პარტიზანი (იუგოსლავია) — ნაციონალი (რუმინეთი)
ლუნგბიუ (დანია) — მურა (სლოვაკეთი)
ჰალმშტადი (შვედეთი) — ვარდარი (მაკედონია)
სკონტო (ლატვია) — მალმიო (შვედეთი)
დინამო (რუსეთი) — ჯაზი (ფინეთი)
ჟალგირისი (ლიტვა) — აბერდინი (შოტლანდია)
ჰაიდუკი (ხორვატია) — ტორპედო (რუსეთი)
არაუ (შვეიცარია) — ლანტანა (ესტონეთი)
დინამო (ბელარუსი) — ბეშიქთაში (თურქეთი)
ჰიკ (ფინეთი) — ჩერნომორეცი (უკრაინა)
კაზინო (ავსტრია) — ვოივოდინა (იუგოსლავია)
ქსამაქსი (შვეიცარია) — ანორთოსისი (კვიპროსი)
სიგმა (ჩეხეთი) — ჰუტნიკი (პოლონეთი)
აკრანესი (ისლანდია) — ცსკა (რუსეთი)
ტიროლი (ავსტრია) — სლავია (ბულგარეთი)
სლოვანი (სლოვაკეთი) — ტრაბზონსპორი (თურქეთი)

კახა ფაჩუაშვილი


საუკეთესო სახლები!
საუკეთესო უბანში!
შეძლებული ხალხის შესაფერისი!



ქალაქის ცენტრში, ვაკეში, შენდება "უბანი", რომელიც იყოფა 4 საცხოვრებელ კვარტლად, ყოველი კვარტალი შედგება 8 ინდივიდუალური სახლისგან

მსურველებს შეუძლიათ მიიღონ წილობრივი მონაწილეობა მშენებლობაში, რაც მათ საშუალებას მისცემს, სასურველი სახლი გაცილებით იაფად შეიძინონ.

იჩქარეთ, იჩქარეთ, იჩქარეთ!

მსურველები დაგვიკავშირდით
1 სექტემბრამდე:
ჩვენი ტელეფონებია: 98-78-93; 98-78-37: 22-05-15: 22-02-14:


# ფორმულა—1

...გერმანიაში, ...ტრასაზე გაიმა-...ლა-1 კლასის ავ-... შორის მსოფ-...იონატის მე-11 ...აოდ დაძაბული, ...რბოლა, რომე-...ხანს „ბენეტო-...იელი პილოტი ...რგერი ლიდერო-...ოდ, მაინც მთა-...ნიტის, ინგლისე-...პილის გამარჯ-...ულდა. ეს „უილი-... ლიდერის მე-7 ...იყო მიმდინარე ...მეორე ადგილზე ...ალეზი ("ბენე-... გავიდა, მესამე-... თანაგუნდელი, ...ვილნევი. მსო-...იონი, გერმანელი ...მახერი ("ფერა-... ადგილს დას-ჯერდა. მეხუთეზე „მაკლარენის" შოტლანდიელი პილოტი დევიდ კულტჰარდი გავიდა, ხოლო მეექვსეზე — ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო ("ჯორდანი").

მეთერთმეტე ეტაპის შემდეგ პილს 73 ქულა აქვს. მეორე ადგილზე მყოფ ვილნევს — 52, ალეზი 31 ქულით მესამეა და ორი ქულით უსწრებს შუმახერს. კონსტრუქტორთა პირველობაში „უილიამს-რენოს" 125 ქულა აქვს და დიდი უპირატესობით ლიდერობს.



# სახალისო თურმეობითი





## მარი კიურის მაგალითი

თურმე, ქალისთვის, რომელიც მეცნიერული კვლევა-ძიებითაა დაკავებული, გათხოვება და შვილების გაჩენა სულაც არ ნიშნავს მეცნიერული კარიერის დასასრულს, საწინააღმდეგოდ ფართოდ გავრცელებული შეხედულებისა. ამას ცხადყოფს ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებული სპეციალური გამოკვლევა. ის ქალები, რომლებიც მეცნიერულ მუშაობას ოჯახური მოვალეობის შესრულებას უხამებენ, არანაკლებ წარმატებას აღწევენ. აღმოჩნდა, რომ შეერთებულ შტატებში გათხოვილი ქალები წელიწადში საშუალოდ 3 სტატიას აქვეყნებენ, გაუთხოვრები კი 2,2. ასევე გასაოცარია ის, რომ სამი წლის პერიოდში — ბავშვის გაჩენამდე და გაჩენის შემდეგ — გამოქვეყნებულ სტატიათა რაოდენობა 1,5-დან 2,7-მდე იზრდება. შესაძლოა, ამ ქალებს ქმრები ეხმარებიან, თავის თავზე იღებენ ოჯახის საქმის ნაწილს. ასეა თუ ისე, სუსტი სქესის წარმომადგენლებს აქვთ სერიოზული საფუძველი მიბაძონ მარია სკლოდოვსკაია-კიურის, რომელიც, როგორც ცნობილია, გათხოვილი იყო, ჰყავდა ორი ქალიშვილი და მიღებული ჰქონდა... ნობელის ორი პრემია.

## ანტინარკოტიკული ლომები

თურმე, კარაკასში, ვენესუელას დედაქალაქში, ორი ახალგაზრდა ლომი გადის სპეციალური მომზადების კურსს. მის დამთავრების შემდეგ, ისინი ჩაებმებიან პოლიციის რთულსა და სახიფათო საქმიანობაში. ლომებს ასწავლიან ნარკოტიკების აღმოჩენას — დადგენილია, რომ ლომებს 10-ჯერ უფრო ძლიერი ყნოსვა აქვთ, ვიდრე ძაღლებს.

## გარეცხილი კნუტი

თურმე, ერთი სტოკჰოლმელი დიასახლისი მოგუდულმა კნავილმა აიძულა გამოეთიშა სარეცხი მანქანა, რომელიც უკვე 20 წუთი მუშაობდა მაქსიმალური სიჩქარით. სარეცხში მან აღმოაჩინა თავისი საყვარელი ორი კვირის კნუტი. ეს შემთხვევა კიდევ



ერთხელ გვარწმუნებს, რომ ამ ცხოველების ლეგენდად ქცეული სიცოცხლისუნარიანობა სინამდვილეს შეესაბამება. ინტენსიური რეცხვის შედეგად კიტსიმ (ასე ჰქვია კნუტს) მხოლოდ ერთი თათის მოტეხილობა მიიღო და მცირედი შიში ჭამა.

## გიყვარს კარტოფილი — აკადემიკოსი ხარ!

თურმე საფრანგეთში არსებობს კარტოფილის თავგამოდებული თაყვანისმცემლის, აგრონომ ანტუან პარმანტიეს სახელობის აკადემია. კარტოფილი პირველად საფრანგეთში 1717 წელს გამოჩენილა მეფის სუფრაზე, მაგრამ მისი ფართო დანერგვა-გავრცელება დაახლოებით 70 წლის შემდეგ დაწყებულა. ამჟამად, საქვეყნოდ ცნობილ ფრანგულ სამზარეულოში კარტოფილის გარეშე თითქმის არც ერთი კერძი არ მზადდება. „მიწის ვაშლს" — ასე უწოდებენ მას ფრანგები — სუფრაზე საპატიო ადგილი უჭირავს. პარმანტიეს აკადემია ანუ „კეთილშობილ ძირხვენეულას დიადი ორდენი" — ეს არის ასოციაცია გურმანებისა, რესტორნების მეპატრონეებისა და მზარეულებისა, რომლებიც ეტრფიან კარტოფილს და ეწევიან მის მიზანმიმართულ პოპულარიზაციას.



## ყველას თავისი გემოვნება აქვს

თურმე, დელფინები მუსიკას არა მხოლოდ ყურადღებით უსმენენ, არამედ, როგორც ნამდვილი მელომანები, გამოირჩევიან ნატიფი გემოვნებით. ეს დასკვნა ეკუთვნის ამერიკელ მეცნიერ დონ ვაგნერს, რომელიც ამ ცხოველებს სპეციალურ ლაბორატორიაში აკვირდებოდა. აღმოჩნდა, რომ დელფინები უპირატესობას კლასიკურ მუსიკას ანიჭებენ, და მათ საყვარელი კომპოზიტორებიც ჰყავთ, მაგ. ბახი. უსმენენ რა მის მუსიკას, ისინი კიდევ უფრო მეტ კეთილგანწყობას ამჟღავნებენ ადამიანების მიმართ, ვიდრე ჩვეულებრივ. ეს ეხება როგორც იმ დელფინებს, რომლებიც დელფინარიუმში არიან, ასევე იმათ, რომლებიც თავისუფლად ცხოვრობენ. რაც შეეხება როკ-მუსიკას, ის დელფინებში სრულ დაბნეულობას იწვევს.

თუმცა, ყველას თავისი გემოვნება აქვს. შვედი მეცნიერის, ლარს კნუტსონის ცნობით, ღორებს, რომლებსაც ის მრავალი წლის განმავლობაში აკვირდება, მხოლოდ როკ-მუსიკა უყვართ. დელფინებისგან განსხვავებით, ისინი კლასიკას ვერ იტანენ და ერთმანეთში ჩხუბს იწყებენ, როცა ბახსა თუ ბეთჰოვენს ასმენინებენ.

## წარმატების საიდუმლო



თურმე, ლონდონში არის რესტორანი, რომლის მფლობელი აბსოლუტურად მელოტია. ასევე მელოტია ყველა, ვინც ამ რესტორანში მუშაობს; მზარეულები, მიმტანები, დამლაგებლები. რესტორანი ფრიად პოპულარულია და წარმატებით უმკლავდება კონკურენტებს. მისი რეკლამა ასე ჟღერს: „ჩვენთან წვნიანში ვერასოდეს იპოვნით თმის ღერს!"

## კევი — მძღოლის მეგობარი

თურმე, საჭესთან ძილის საწინააღმდეგო უებარი საშუალებაა კევის ღეჭვა. ეს ექსპერიმენტის გზით დაადგინეს იაპონელმა სპეციალისტებმა.

აღმოჩნდა, რომ ღეჭვა უფრო ინტენსიურად და უფრო მეტი ხნის განმავლობაში ახდენს ტვინის მოქმედების სტიმულირებას, ვიდრე, ვთქვათ, ფინჯანი ყავა. დადგენილია, აგრეთვე, რომ თავისი ეფექტურობით კევის ღეჭვას ვერ შეედრება ვერც საჭესთან სიმღერა და ვერც სველი პირსახოცით სახის გაგრილება.

## ოჰ, ეს თავმდაბალი მამაკაცები!

თურმე, ფრანგ ქალებს მიაჩნიათ, რომ მათი ქმრები ოჯახში უფრო მეტ საქმეს აკეთებენ, ვიდრე ამას ხმამაღლა აღიარებენ. ერთ-ერთი ჟურნალის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქმრების 97 პროცენტი მუ-



დმივად შლის სუფრას, 77 პროცენტი ასწორებს ლოგინს, 59 პროცენტი ასუფთავებს ბინას მტვერსასრუტით, 47 პროცენტი რეცხავს ჭურჭელს, 41 პროცენტი დადის საყიდლებზე. მაგრამ ყოფილა ისეთი საოჯახო საქმეებიც, რომელთა კეთება ქმრებს დიდად არ ეპიტნავებათ. ესენია: ნაგვის გადაყრა, ბავშვების დაბანა, ღილების მიკერება.

## ტკბილეული — წამალი?

თურმე, ჩვენ გაუცნობიერებლად გვიყვარს ტკბილეული, როგორც დეპრესიის წამალი. ასე დაასკვნეს ამერიკელმა მეცნიერებმა, მათ ექსპერიმენტის საშუალებით დაადგინეს, რომ ნახშირწყალბადი ხელს უწყობს თავის ტვინში ისეთი ნივთიერების წარმოქმნას, რომელიც სასიკეთოდ მოქმედებს ჩვენს განწყობაზე.

## სტრესის წამალი — მხართეძოზე წამოწოლა

თურმე, ნერვული სტრესისგან გახათავისუფლად საუკეთესო საშუალებაა ლოგინში წოლა. „უბრალოდ ჩაწექით ლოგინში და იწექით ყოველგვარი ფიქრის გარეშე" — გვირჩევს ცნობილი ინგლისელი ექიმი ტ. გიბსონი. მას მიაჩნია, რომ სრულ სიმშვიდეს შეუძლია ეფექტურად განკურნოს ადამიანი ნერვული დაძაბვისგან. და კიდევ ერთი რჩევა — ნუ გაატარებთ ლოგინში 48 საათზე მეტს, თორემ სტრესი შეიძლება ახლა უკვე უსაქმურობისგან გაგივითარდეთ.



## ტელემთქნარება

თურმე, ნიუ-იორკის ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ ერთ მშვენიერ დღეს გადაცემები ფრიად ორიგინალურად დაამთავრა — ეკრანზე გამოჩნდა კაცი, რომელიც გემრიელად ამთქნარებდა. თავისთავად ცხადია, ეს გადაცემების დასასრულსა და ძილისკენ მოწოდებას



ნიშნავდა. ტელემაყურებელთა რეაქციამ არ დააყოვნა. სტუდია აივსო იმ მაყურებელთა წერილებით, ვისაც უძილობა აწუხებდა. ისინი ითხოვდნენ ტელემთქნარების გაგრძელებასა და გახანგრძლივებას. ტელეკომპანიამ ყურად იღო მაყურებელთა თხოვნა. ახლა ცისფერ ეკრანზე კაცი ამთქნარებს გაუჩერებლად ხუთი წუთის განმავლობაში.

## ნუთუ ასეთი ყბედები ვართ?

თურმე, ამერიკელმა მეცნიერებმა სპეციალური გამოკვლევით დაადგინეს, რომ ადამიანი ყოველ ცის... მარე დღეს საშუალოდ ერ... თი საათის განმავლობაშ... ლაპარაკობს. ასე რომ, მთე... ლი ცხოვრების მანძილზ... ჩვენ დაახლოებით 2,5 წელ... ვატარებთ ლაპარაკშ... ჩვენს მიერ ყველაფერი ხმ... მაღლა ნათქვამი ქაღალდზ... რომ გადავიტანოთ, „ჩვენ... მჭევრმეტყველებების სრუ... ლი კრებული" იქნება 100... ტომი, თითოეულ ტომში ... 400 გვერდი!

## ალები გაზარმაცდნენ?!

თურმე, ქალაქ ტორო... ტოში (კანადა) არსებობ... სპეციალური ატელიე მა... ტოხელა, უცოლო მამაკაც... ბისთვის. ამ ატელიეში აკ... რებენ ღილებს, აუთოებ... შარვლებს, კემსავენ წინდე... და ამ სახის კიდევ სხ... მომსახურებას სთავაზობ... მსურველს. მაგრამ საოცარ... ის არის, რომ ამ სახელოსნ... კლიენტების უმრავლესობ... შეადგენენ... ქალები!

## კროსვორდი

შვეულად: 1.პარიზის ცნობილი საპყრობილე; 2. ზოგ სახელმწიფო ფედერაცია... შემავალი სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული ერთეული, რომელსაც აქვს თვითმმართ... ლობა; 3. თეთრი ყურძნის ჯიში; 4. სპეციალური სადგომი ხელით ცეცხლსასრო... იარაღის მიზანში სროლისთვის; 5. ქალაქი სიღნაღის რაიონში; 6. რადიოს, ტელევიზ... გადაცემათა შემადგენლობა; 9. მოწყობილობა ნაწერის, ნახატის, ფოტოსურათის მ... მანძილზე გადასაცემად; 12. ქიმიური რეაქციის შედეგად მიღებული დენი; 1... სამშობლოს გარეთ მცხოვრები პირი; 17. ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში; 18. შექსპირ... ტრაგედიის გმირი; 20. ფარული შესაძლებლობა, უნარი; 21. რაიმე მთელის ყვე... ნაწილის ერთობლიობა, პროპორციულობა; 26. ყველაფრით შემკობილი თვალწარმტაც... ადგილი; 27. ქიმიური ელემენტი; 28. დიდი მსხვილი ჯოხი; 29. წერილობითი თხოვ... საჩივარი;

თარაზულად: 7. შემოქმედებითი წარმოსახვა; 8. უზარმაზარი ფიზიკური ... ზნეობრივი ძალის მქონე; 10. დამახასიათებელი სუნის მქონე გაზი, წარმოიქმნ... ელექტრული განმუხტვის შედეგად. გამოიყენება წყლისა და ჰაერის გასაწმენდად; 1... მაგარი, გლუვი ზედაპირის მქონე კლდე ან ქვა; 14. წყლული; 15. ჟესტებითა ... მიმიკით აზრების გამოხატვა; 16. ინფორმაციის რაოდენობის ორობითი საზო... ერთეული; 18. ცხენების ჯოგი; 19. გეომეტრიული სხეული; 22. პატრონი, მესვეურ... 23. ხრიკი, ფანდი; 24. წინასწარ სტამბური წესით დაბეჭდილი მოხსენება კონგრეს... და მისთანებზე წაკითხვამდე; 25. მსუბუქი ნამცხვარი; 27. ნოტიო, ჩახურებული ფქვილ... 29. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 30. საღებავი ნივთიერება, რომელიც იძლევა ფერ... 31. პირი, რომელიც რაიმეთი არის გატაცებული;



რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.